

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნათია სურმანიძე

ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
ჯემალ ხარიტონაშვილი

თბილისი

2020

აბსტრაქტი

სურმანიძე ნათია

ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუცია, ეკონომიკური რეფორმა, გარდამავალი ეკონომიკა, ინსტიტუციური „ხაფანგი“, მდგრადი განვითარება.

ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც ეკონომიკა არაეფექტიან მდგომარეობაშია და საჭიროა გარდაქმნები ეფექტიან მიმართულებაზე გადასასვლელად. საქართველომ განვლო გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის რთული გზა, რომლის შესწავლა და გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლო პერსპექტივების გამოვლენისა და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობი რეფორმების გასატარებლად. ის ფაქტი, რომ ქვეყნის განვითარების დონე არადამაკმაყოფილებელია, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური რეფორმების გამოცდილების შესწავლას აქტუალურს ხდის.

კვლევის მეცნიერული სიახლე და ინოვაციურობა: სადისერტაციო ნაშრომი ანალიტიკური მეთოდით შესრულებული ფუნდამენტური კვლევაა საქართველოში განხორციელებული ინსტიტუციური გარდაქმნების შესახებ, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის ეკონომიკის არსებულ და წარსულ მდგომარეობას და ცდილობს, ლოგიკური დასკვნები გააკეთოს ეკონომიკის სამომავლო კურსისა და განვითარების მიმართულების შესახებ.

ნაშრომის ძირითადი სიახლეები და ინოვაციურობა მდგომარეობს შემდეგში:

✓ ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებისა და სხვა ქვეყნებთან მიმართებით ჩატარებული კომპარატივისტული ანალიზის კუთხით გამყარებულია მსჯელობა, რომ ეკონომიკური რეფორმების წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე.

✓ საქართველოს ეკონომიკის მთავარი საფრთხეა ჯერ კიდევ სრულყოფილად ჩამოუყალიბებელი ინსტიტუციები, რომელიც არაეფექტიანი განვითარების მიმართულებას აძლევს ქვეყანას, ხოლო მისი დაძლევა დიდ სირთულეს წარმოადგენს, რაც დასტურდება საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს ლიდერი და ჩამორჩენილი პოზიციების ანალიზით.

✓ ქვეყნის მდგრადი განვითარების ძირითადი ფაქტორებია მწვანე ეკონომიკა და მცირე მეწარმეობა და შევეცადეთ დაგვედასტურებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან მათ განვითარებაზე ზრუნვა. მოგვხდინა ამ ფაქტორების ინტერპრეტირება ქართულ რეალობაში.

✓ მცირე მეწარმეთა გამოკითხვით დავადგინეთ, რომ სახლემწიფომ უნდა გაზარდოს ამ ინსტიტუციის გასამლიერებლად გატარებული ღონისძიებებისა და რეფორმების პოპულარიზაცია, რათა მეწარმეებს მიეცეთ ამ შესაძლებლობების გამოყენების შანსი.

✓ დედოლარიზაციის რეფორმასთან მიმართებით მოყვანილია რამდენიმე ქვეყნის მაგალითი დინამიკაში და ახსნილია, რომ დედოლარიზაცია მაკროეკონომიკური პოლიტიკის კურსისგან არ უნდა იყოს გამიჯნული. უფრო მეტიც, დედოლარიზაციის პოლიტიკა მაკროეკონომიკურ თეორიასთან მჭიდრო კავშირის გარეშე არაეფექტიანი იქნება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის რეფორმებზე დაყრდნობით ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, დასკვნების გამოტანა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად სამომავლო პერსპექტივების გამოვლენა.

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარეობს შემდეგი ამოცანები:

➤ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან, უცხოური გამოცდილების შესწავლა და შედარება ქართულ მაგალითებთან;

➤ „მოკური თერაპიის“ შეფასება სტატისტიკური მონაცემებსა და ექსპერტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით;

➤ საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გამოკვეთა გარდამავალი პერიოდის რეფორმების განხორციელების პროცესში;

➤ საქართველოს საფინანსო სისტემის განვითარების ეტაპების შესწავლა 90-იანი წლებიდან დღემდე;

➤ პრივატიზაციის პროცესის თავისებურებებში გარკვევა და კერძო საკუთრების ფორმირების პროცესის გამოკვლევა;

- საქართველოს ლიბერტარიანული არჩევანის ორსახოვანი ბუნების გაანალიზება საერთაშორისო რეიტინგებზე დაყრდნობით;
- მცირე მეწარმეების გამოკითხვა საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შესაფასებლად;
- ინსტიტუციური „ხაფანგის“ არსში გარკვევა და მაგალითების მოყვანა ქართული თუ უცხოური გამოცდილებიდან;
- უკანასკნელი ეკონომიკური ხედვების შესწავლა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო ინსტიტუციური გარდაქმნების შეთავაზება;

კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც ზოგადი, ისე სტატისტიკური მეთოდები. კერძოდ, სტატისტიკური მასალის ძირითადი ნაწილი აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური გვერდებიდან. იმისათვის, რომ მიგველო კვლევისთვის ადეკვატური მაჩვენებლები, გამოვიყენეთ სტატისტიკური ანალიზი, სინთეზი, დაჯგუფება და ა.შ. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში დინამიკისთვის დაგვჭირდა დეკადებად დაგვეჯგუფებინა მონაცემები, ზოგ შემთხვევაში კი - სინთეზი.

ჩავატარეთ ორი სახის ანკეტური გამოკითხვა, შედეგები გრაფიკულად ავსახეთ და შევაჯამეთ მულტივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის საფუძველზე. სადაც შედეგების ასახსნელად ხშირად ვიყენებთ რამდენიმე ცვლადს, რომელთაგან ერთი მიჩნეულია დამოუკიდებლად, ხოლო დანარჩენი ცვლადები კი - მასზე დამოკიდებულად. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა ჩვენი კვლევა ყოფილიყო პრაგმატული და ობიექტური.

კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები წარმოადგენს თანამედროვე ექსპერტულ მოდელებსა და მიდგომებს, რომლებსაც აქტიურად იყენებენ ინფორმაციის გადამუშავების პროცესში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მეცნიერები.

კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში წარმოდგენილი თეზისები, დასკვნები და შემუშავებული

რეკომენდაციები არის ვალიდური და ადეკვატური, გამყარებული სტატისტიკური მასალით და პრაქტიკული მაგალითებით, რაც კვლევას პრაქტიკულ ღირებულებას სძენს და რომლებიც შეუძლიათ რეფორმატორებმა საქმიანობის პროცესში გამოიყენონ, საკითხით დაინტერესებულმა მკვლევარებმა საგნების - „ეკონომიკის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიკა“, „მსოფლიო ეკონომიკა“ - სწავლების პროცესში.

Abstract

Institutional Reforms in the Transition Economy of Georgia

Natia Surmanidze

Key words: institution, economic reform, transitional economy, institutional “trap”, sustainable development.

The need for economic reforms arises when the economy is in an inefficient state, and transformation is necessary to transition to an effective trajectory. Georgia has passed the difficult path of an economy in transition, the study and understanding of which is crucial for identifying future prospects and promoting sustainable development reforms. The fact that the level of development of the country is unsatisfactory makes the study of the experience of economic reforms of independent Georgia actual.

New findings and innovation of the research: the research is a fundamental study of institutional transformations in Georgia that complexly examines the current and past state of the economy and seeks to make logical conclusions about the future course and trajectory of the economy:

- From the point of view of institutional reform and comparative analysis of other countries, there is a strong argument that the success of economic reforms largely depends on political will.
- The main threat to the Georgian economy is the lack of well-established institutions that put the country on the path of ineffective development. And overcoming it is a major challenge, as evidenced by the analysis of Georgia's international rankings and lagging behind.
- The green economy and small entrepreneurship are key factors in sustainable development, and we have tried to prove the importance of government care on their development. We had to interpret these factors in Georgian reality.
- In a survey of small entrepreneurs, we found that the state should increase the popularity of measures and reforms to strengthen this institution in order to give entrepreneurs a chance to use opportunities.

➤ Examples of some countries in relation to dodecorization reform are presented in the dynamics and it is explained that dodecorization should not be separated from the course of macroeconomic policy. Moreover, the policy of de-dollarisation would be ineffective without close links to macroeconomic theory.

The purpose of the research is to study, analyze, pass conclusions and identify future prospects for sustainable development based on Georgia's transitional economy reforms.

The following tasks are derived from the above objectives:

- Analysis of Georgia's economic situation since independence, study of foreign experience and comparison with Georgian examples;
- Assessment of "shock therapy" based on statistics and expert opinion;
- Highlighting the role of international organizations in the transition process;
- Studying the development stages of the Georgian financial system from the 1990s to the present;
- Understand the peculiarities of the privatization process and examine the process of private property formation;
- Analyze the dual nature of Georgia's libertarian choices based on international ratings;
- Survey of small entrepreneurs to evaluate economic reforms in Georgia;
- To clarify the essence of the institutional "trap" and to give examples from Georgian or foreign experience;
- Studying the latest economic visions and proposing the institutional transformations needed to ensure sustainable development;

Both general and statistical methods are used in the research process. In particular, most of the statistical material is taken from the official pages of the National Statistics Office of Georgia, the World Bank, the UN Food and Agriculture Organization and other international organizations. We used statistical analysis, synthesis, grouping, and so on to obtain adequate indicators for the study. Specifically, in some cases, for dynamics, we had to group data into decks, in some cases -synthesis.

We conducted two types of questionnaire surveys, graphically summarized the results and summarized them using multivariate and bivariate analysis. We often use several variables to explain the results, one of which is considered independent and the other depended on it. This method has allowed our research to be pragmatic and objective.

The methods used in the research process are modern expert models and approaches that are actively used by various international organizations and scientists in information processing.

Scientific value of research results and potential practical relevance: Theses, conclusions and recommendations are valid and adequate, backed up by statistical material and practical examples that add value to the research that can be used by reformers in their creativity. Researchers interested in teaching subjects - "History of Economics", "Economics of Georgia", "World Economy" - in the learning process.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	ii
Abstract.....	vi
ცხრილები.....	x
დიაგრამები.....	xi
აბრევიატურების ჩამონათვალი.....	xiii
შესავალი.....	14
თავი 1. ინსტიტუციური რეფორმების ჩატარების აუცილებლობა საქართველოში.....	22
1.1. უძრაობის პერიოდი.....	22
1.2. მართვის სრულყოფის, ეფექტიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის დინამიკა.....	29
1.3. ეკონომიკური ზრდის მახასიათებლები.....	33
თავი 2. საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და პერსპექტივები.....	44
2.1. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ინსტიტუციური რეფორმების გატარებისას.....	44
2.2. უცხოური გამოცდილება და პერსპექტივები.....	52
თავი 3. საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება.....	69
3.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.....	69
3.2. ფინანსური ინსტიტუტების ოპტიმიზაცია.....	71
3.3. ფინანსური პოლიტიკა და მისი ძირითადი მიმართულებები.....	84
თავი 4. კერძო სექტორის ჩამოყალიბება საქართველოში.....	101
4.1. პრივატიზების ტემპები და გამოცდილება.....	101
4.2. პრივატიზაცია და ნაციონალიზაცია.....	118
4.3. შერეული ეკონომიკა, საკუთრების შერეული ფორმები.....	127
თავი 5. საქართველოს ინსტიტუციური რეფორმების პოლიტიკური სტრატეგია.....	131
5.1. ლიბერტარიანიზმის ქართული მოდელი და მისი დღევანდელი მდგომარეობა.....	131
5.2. მიცრე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.....	137
5.3. ეკონომიკის მიმდინარე მიმართულებები.....	147
5.4. ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტები და სტრატეგია.....	162
დასკვნები და რეკომენდაციები.....	176
გამოყენებული ლიტერატურა.....	184
დანართი 1.....	209
დანართი 2.....	211

ცხრილები

ცხრილი 1. 1992-2004 წლებში საქართველოსათვის გამოყოფილი ევროკავშირის გრანტები (მილიონი ევრო).....	50
ცხრილი 2. სავალუტო სტრატეგიები.....	92
ცხრილი 3. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებული მიწის ნაკვეთები რეგიონების მიხედვით (ღირებულება ეროვნულ ვალუტაში) 2012-2019 წლებში.....	114
ცხრილი 4. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებული მიწის ნაკვეთები რეგიონების მიხედვით (ღირებულება აშშ დოლარში) 2012-2019 წლებში.....	117
ცხრილი 5. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებული სახელმწიფო საწარმოები და მოძრავი ქონება (ღირებულება ეროვნულ ვალუტაში) 2012-2019 წლებში.....	117
ცხრილი 6. The Heritage Foundation რეიტინგში საქართველო 2013 წლის მონაცემებით	133
ცხრილი 7. საკუთრების და კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში საქართველო 2011 წლის მონაცემებით.....	133
ცხრილი 8. საქართველო 2020 სტრატეგიის ფარგლებში მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები.....	165
ცხრილი 9. საქართველო 2020-ის მიხედვით მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები ინვესტიციებისათვის.....	171
ცხრილი 10. საქართველო 2020-ის მიხედვით მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის...	172
ცხრილი 11. საქართველო 2020-ის მიხედვით მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისთვის.....	173
ცხრილი 12. საქართველო 2020-ის მიხედვით მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები ინფრასტრუქტურის განვითარების და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისთვის.....	174

დიაგრამები

დიაგრამა 1. სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება საბაზისო წელთან შედარებით 01.1991-01.2019 წლებში.....	24
დიაგრამა 2. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, 1990-2018 წწ (მანეთი, ლარი).....	25
დიაგრამა 3. ჯინის კოეფიციენტი 1996-2017 წლებში.....	29
დიაგრამა 4. საქართველოს მსპ 1993-2018 წლები (მიმდინარე ფასებში მლნ. დოლარი).....	31
დიაგრამა 5. საქართველოს სავაჭრო ბალანსი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1995-2019* წლებში (მლნ აშშ დოლარი).....	32
დიაგრამა 6. მსპ დეფლატორი 1991-2018 წლებში (%).....	32
დიაგრამა 7. აგრარულ სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება 1990-2000 წლებში (მლნ აშშ დოლარი მიმდინარე ფასებში).....	34
დიაგრამა 8. სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ოდენობა 1992-2002 წლებში (მლნ აშშ დოლარი).....	35
დიაგრამა 9. ბოსტნეულის მოხმარება საქართველოში 2006-2018 წლებში (ათასი ტონა).....	36
დიაგრამა 10. ხორბლის მოხმარება საქართველოში 2006-2018 წლებში (ათასი ტონა).....	37
დიაგრამა 11. რესპონდენტთა დაჯგუფება საქართველოში "შოკური თერაპიის" გატარებისადმი მზადყოფნის კუთხით.....	38
დიაგრამა 12. რესპონდენტთა დაჯგუფება "შოკური თერაპიის" განუხორციელებლობის მიზეზების მიხედვით.....	38
დიაგრამა 13. რესპონდენტთა დაჯგუფება ხელისუფლების მიერ რეფორმების ორიენტირისადმი დამოკიდებულებით.....	39
დიაგრამა 14. რესპონდენტთა დაჯგუფება "საქართველოს ეკონომიკის ჩამორჩენილობა (თუნდაც ბალტიისპირეთთან შედარებით) გამოიწვია იმან, რომ 1992-1993 წლებში საქართველოს მთავრობა რეფორმების განხორციელებისგან თავს იკავებდა" მოსაზრებისადმი დამოკიდებულების მიხედვით.....	41
დიაგრამა 15. მსოფლიო ბანკის პროექტები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში 1995-2018 წლებში (რაოდენობრივი და ფინანსური).....	46
დიაგრამა 16. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 1995-2018 წლები (ათასი აშშ დოლარი).....	49
დიაგრამა 17. ინოვაციის დანერგვის გეომეტრიული ინტერპრეტაცია.....	61
დიაგრამა 18. ინოვაციის დანერგვისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის ურთიერთკავშირის ინტერპრეტაცია.....	62
დიაგრამა 19. ესტონეთის სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა (ინფლაცია, მსპ) 1992-2018 წლებში.....	66
დიაგრამა 20. სავალუტო რეზერვების დაცვის ნორმა 1992-2018 წლებში.....	74
დიაგრამა 21. საპროცენტო განაკვეთები მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებზე 2001-2018 წწ (%).....	80
დიაგრამა 22. ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გაცემული ქონებით უზრუნველყოფილი სესხების % განაკვეთები 2006-2018 წწ (%).....	81
დიაგრამა 23. მიმოქცევაში არსებული საგადახდო საკრედიტო ბარათების რაოდენობა 2008-2018 წწ.....	82
როგორც ზემოთ განვმარტეთ, ანაზრები ძირითადად 2 ტიპისაა: ვადიანი და მოთხოვნამდე კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთები შემდეგია: დიაგრამა 24. წლიური საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 2008-2018 წწ.....	82

დიაგრამა 25. ინტერნეტ ბანკით განხორციელებულ ოპერაციათა რაოდენობა 2008-2018 წწ...	83
დიაგრამა 26. ლარის ოფიციალური კურსი აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ, 1999 წელი.....	95
დიაგრამა 27. ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ 1995-2019 (საშუალო თვიური მაჩვენებელი)	96
დიაგრამა 28. ინფლაციის დონე თვეების მიხედვით 1999 წელი.....	96
დიაგრამა 29. წლიური ინფლაცია 1996-2019 წლებში.....	97
დიაგრამა 30. Doing business რეიტინგში საქართველო 2009-2019 წლებში.....	133
დიაგრამა 31. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ჯამურად 2007-2018 წლები (ათასი აშშ დოლარი).....	134
დიაგრამა 32. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2007-2018 წლები (ათასი აშშ დოლარი)	135
დიაგრამა 33. 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 1998-2018*.....	136
დიაგრამა 34. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი 1995-2019 წლებში (მილიონი აშშ დოლარი)	136
დიაგრამა 35. რესპონდენტთა დაჯგუფება საქმიანობის ბოლო ნახევარში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით	141
დიაგრამა 36. რესპონდენტთა დაჯგუფება საწარმოს ტექნოლოგიური აღჭურვის მიხედვით	142
დიაგრამა 37. რესპონდენტთა დაჯგუფება მომავლის მიმართ განწყობის შეფასების კუთხით	143
დიაგრამა 38. გამოკითხულთა დაჯგუფება საქართველოში ბიზნეს გარემოს ცვლილების აღქმის მიხედვით ბოლო 2 წლის განმავლობაში.....	144
დიაგრამა 39. გამოკითხულთა დაჯგუფება სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვასთან დამოკიდებულებით	145
დიაგრამა 40. რესპონდენტთა დაჯგუფება სახელმწიფო პროგრამებით ინფორმირებულობისა და მათში ჩართულობის მიხედვით.....	145
დიაგრამა 41. ფინანსური სექტორი: ინფრასტრუქტურა (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) 1999-2018 წლებში	148
დიაგრამა 42. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დავალიანების მოცულობა 2003-2019 წლებში (ათასი ლარი)	149
დიაგრამა 43. ფინანსური სექტორი: ინფრასტრუქტურა (კომერციული ბანკების რაოდენობა) 1995-2018 წლებში	149
დიაგრამა 44. ჰიბრიდული და ელექტრო ავტომობილების რაოდენობა 2017-2019 წლებში...153	
დიაგრამა 45. კაპიტალის მთლიანი ფორმირება და დანაზოგები საქართველოში 1997-2019 წლებში (მსპ-ის %)	175

აბრევიატურების ჩამონათვალი

DCFTA - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

EU - ევროკავშირი

FSAP - ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა

GDP - მთლიანი სამამულო პროდუქტი

IDA - მსოფლიო ბანკის და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია

IFC - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

SME - მცირე და საშუალო ბიზნესი

WB - მსოფლიო ბანკი

WHO - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია

WTO - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

შესავალი

სადისერტაციო თემის აქტუალობა: ყოველი ეკონომიკური რეფორმა შორსმჭვრეტელო იდეებით გამოირჩევა და მათი წარმატება-წარუმატებლობა მეტწილად სწორედ ამაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ის, რომ ბოლო პერიოდში გატარებულმა რეფორმებმა საქართველოს ეკონომიკაში საერთო ხაზი გამოავლინა ლიბერალიზმის კუთხით. ფაქტობრივად, რომ არა ეს რეფორმები, ეკონომიკის თავისუფლების, თავისუფალი ვაჭრობის, საკუთრების ხელშეუხებლობის მოპოვებისა და სხვა მნიშვნელოვანი მხრით, რაც თანამედროვე სამყაროს მოწინავე ქვეყნების განვითარებულობის საწინდარია, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით არაჯანსაღი იქნებოდა.

საქართველოს, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მუდმივად უწევდა არჩევანის გაკეთება პოლიტიკურ კურსთან მიმართებით. სწორედ ამიტომაც საინტერესო იმის შესწავლა, თუ რომელი არჩევანი იყო მისთვის მეტად მომგებიანი და რა შედეგები მოუტანა დახურულმა და ღია პოლიტიკამ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ საქართველო გარდამავალი ქვეყნების რიგში მოახვედრა. მეტად რთული გამოდგა ლიბერალიზმის პრინციპების შეთვისება. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმის დანერგვა მათ ერთმანეთის გამოცდილების გათვალისწინებით დაიწყო, რაც, პერსპექტივაში, ნაკლები დანაკარგებით უკეთეს შედეგებს მიაღებინებდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახელმწიფოში ერთნაირი ლიბერალური ზომა ვერ იქნება. ამის გამო საჭიროა ინდივიდუალურად, ოქროს შუალედების მოძებნა. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შეირჩეს უკვე მიღწეული და მისაღწევი შედეგების შეჯერებით, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კონკრეტული პრიორიტეტები და განხორციელდეს ძირეული გარდაქმნები. თუმცა ბოლო დროს მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოშიც ჩამოყალიბდა აზრი, რომ ლიბერალიზმი თავისით ვერ გადაწყვეტს ყველა პრობლემას.

საქართველოს მთავრობა, ტრანსფორმაციის დასაწყისში, ცდილობდა განვითარებული და წარმატებული ქვეყნების მაგალითებით განეხორციელებინა რეფორმები. სწორედ ამიტომ, პოლონეთის ეკონომიკის წარმატებული ტრანსფორმაციის ავტორი და შემოქმედი, ლემუკ ბალცეროვიჩი მოიწვიეს, რათა მას თავისი გამოცდილება გაეზიარებინა. ცნობილი ეკონომისტი რამდენჯერმე ეწვია

საქართველოს სამუშაო ჯგუფთან ერთად და ჩაატარა შეხვედრები რეფორმის შემოქმედებთან და როგორც თავად აღნიშნავს, დღემდე დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს მდგომარეობით და განხორციელებული რეფორმებით. 2020 წელს ის კიდევ ერთხელ ეწვია საქართველოს და გააკეთა მოხსენება „ინსტიტუციური სისტემებსა და ცხოვრების ხარისხზე“, შეაფასა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის კურსი. სწორედ ამიტომ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ბალცეროვიჩის სამუშაო ჯგუფის ვიზიტის თანამედროვე გადმოსახედიდან შეფასების შესახებ არის ტენდენციური საკითხი.

მესამე ათწლეულია საქართველო გარდამავალი ქვეყნების რიგებშია და გაურკვეველია, თუ როდის დაძლევს ქვეყანა ამ მდგომარეობას. რეალურად ძირითადად ეკონომიკურმა რეფორმებმა განაპირობა, რომ მსოფლიო რეიტინგებში საქართველო საკმაოდ მაღალ პოზიციებზეა „Doing Business“, კორუფციის დონისა და სხვა მაჩვენებლებით. თუმცა ყოველივე ამან საქართველოს ევროპის განვითარებული ქვეყნების გვერდით ვერ დაუმკვიდრა ადგილი, მაგრამ, ამავე სტატისტიკაზე დაყრდნობით, ევრაზიული ეკონომიკის კავშირის ქვეყნებზე უკეთესი განვითარების დონე ნამდვილად მოუტანა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული რეფორმები, უცხოური გამოცდილება რეფორმების გატარების მხრით, რეფორმების შეფასება ეფექტიანობის თვალსაზრისით და პოტენციალის გამოვლენა, რაც გააჩნია საქართველოს ეკონომიკას, რათა მიაღწიოს მდგრად განვითარებასა და კეთილდღეობის მაღალ დონეს. ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმა საბოლოოდ უნდა ემსახურებოდეს კეთილდღეობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. მსოფლიო გამოცდილებით, ძლიერი საშუალო ფენა არის ეკონომიკის მაღალგანვითარებულობის გარანტი, რაზეც არსებითად პასუხისმგებელია მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს, ეკონომიკურ დოვლათსა და სხვ. შედეგად ყალიბდება მოსაზრება, რომ ქვეყანა, რომელიც მეწარმეებს უქმნის ჯანსაღ ინსტიტუციურ გარემოს და ზრუნავს მათ განვითარებაზე, საბოლოოდ თავად აღწევს წარმატებას ეკონომიკური ზრდის მხრივ.

კვლევის საგანი გახლავთ საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები დინამიკაში, ეფექტიანი და არაეფექტიანი ინსტიტუციები და მათი ფუნქციონირება,

მეწარმეობა და მასთან დაკავშირებული სირთულეები თანამედროვე პროცესში, ახალი ეკონომიკის მიმართულებები.

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა და ექსპერტთა დ. აბდუშელიშვილის, რ. აბესაძის, გ. ბუცხრიკიძის, ი. ანანიაშვილის, რ. ასათიანის, ნ. ასლამაზიშვილის, ი. ბალარჯიშვილის, რ. ბასარიას, თ. ბასიალიას, ლ. ბახტაძის, ხ. ბერიშვილის, კ. გაბელაშვილის, გ. გამსახურდიას, დ. გეგიას, ა. გრიშკაშვილის, შ. ვემაპიძის, რ. გველესიანის, მ. გვიჩიას, ვ. დათაშვილის, თ. ზუბიაშვილის, ა. თვალჭრელიძის, მ. თოქმაზაშვილის, დ. იაკობიძის, მ. კაკულიას, რ. კაკულიას, ნ. კაკულიას, დ. კვარაცხელიას, მ. კვარაცხელიას, პ. კოლუაშვილის, ი. მესხიას, ე. მექვაბიშვილის, ბ. ნამჩავაძის, ნ. პაიჭაძის, ვ. პაპავას, უ. სამადაშვილის, ნ. სანთელაძის, ე. სეფაშვილის, ც. სეხნიაშვილის, ა. სილაგაძის, ა. სიჭინავას, მ. ტუხაშვილის, ჯ. ფანჩულიძის, რ. ფუტყარაძის, გ. ქეშელაშვილის, გ. ღალანძის, კ. ღურწკაიას, ლ. ყორღანაშვილის, თ. შენგელიას, რ. შენგელიას, გ. შიხაშვილის, თ. ჩიკვაიძის, მ. ჩიქობავას, ნ. ჩიხლაძის, ა. ცერცვაძის, ქ. ციხელაშვილის, ნ. ჭითანავას, ნ. ჭიკაიძის, ნ. ხადურის, რ. ხარბედიას, ჯ. ხარიტონაშვილის, ე. ჯგერენაიას, მ. ჯიბუტის, უცხოელ მეცნიერ ეკონომისტთა ა. არბორის, ვ. არტურის, ა. ასლუნდის, ვ. ბალაცკის, ლ. ბალცეროვიჩის, ნ. ბელჰოცის, ს. ბერგლანდის, ს. ბრიალტის, რ. გარსია-ვერდუს, ა. გარსია-ჰერეროს, ნ. გენგის, კ. დიგან-კრაუცენის, ჯ. დრიდის, ჯ. ეკმანის, ლ. ვოლქერის, ჩ. ვოლტის, ს. ვებერის, ზ. ზანის, ე. იეჰოუს, პ. იმამის, ვ. კოლოდკოს, ა. კომსელის, ლ. კოპელანდის, ჯ. კორალესის, ე. კრიველის, ს. ლანდგრენი, რ. მაინოს, რ. მაკდონალდის, ს. მარასიოს, მ. მეკაგნის, ა. მოჰიპატის, ი. მუსის, ფ. ნარიტას, დ. ნორტის, დ. ობიჩეინის, დ. ოუენის, მ. პანის, ა. პლატას, მ. პოლტაროვიჩის, ლ. პუპოს, მ. როსალესის, ე. ფერნანდეს-არიასის, ფ. ფიშერის, ტ. შუტარუს, ქ. ცურხერის, ს. ტილის, ჩ. ტიმის, ს. ჯაჯაჰის, ი. ჰასიდის, პ. ჰოლვუდის და სხვების სამეცნიერო ნაშრომები, სადაც აღწერენ საქართველოს ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, განხორციელებული რეფორმებისა და მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შეფასებებს დინამიკაში. აგრეთვე წარმოდგენილია მსჯელობები საქართველოს საკანონმდებლო დოკუმენტებისა თუ საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა: ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურული წყაროებიდან განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

➤ თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“, თბილისი 2001 - გაანალიზებული და შესწავლილია XXI საუკუნის მიჯნაზე მყოფი საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ძირითადი სიძნელეები და სამომავლო პერსპექტივები. ავტორთა ჯგუფი გვთავაზობს იმ ძირითადი რეფორმების გაანალიზებას, რაც განხორციელდა გარდამავალი პერიოდის დაწყების შემდეგ და ასაბუთებს ისტორიულ რაკურსში, თუ რამ გამოიწვია არსებული ვითარება და რაა საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანამ დაძლიოს მიმდინარე კრიზისული სიტუაცია. წარმოდგენილია მსჯელობა სამომავლო პერსპექტივების ეფექტიანად გამოყენების მხრივ და საქართველოს, როგორც ევროპის სრულუფლებიანი ნაწილისა და ევროკავშირში ინტეგრაციის, ირგვლივ მსჯელობა.

➤ ი. მესხია, მ. მურჯიკნელი „ეკონომიკური რეფორმა საქართველოში: (ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები)“, თბილისი 1996 - წარმოდგენილია გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული საკითხი. რეფორმამდელი პერიოდის აღწერით წარმოდგენილია გარდაქმნების აუცილებლობა. ასევე შეფასებულია რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, სტრუქტურული გარდაქმნების კუთხით. დასაბუთებულია სტატისტიკური, საადრიცხო და აუდიტორული საქმიანობის მნიშვნელობა.

➤ ვ. პაპავა „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა“, თბილისი 2005 - აღწერილია პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის არსი, პრობლემები, ინსტიტუციონალური ანალიზი, ადამიანური ფაქტორის როლი; პოსტკომუნისტური ეკონომიკის მანკიერება ნეკროეკონომიკის სახით, სახელწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის ეფექტიან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადაწყობის პროცესში.

➤ ვ. პაპავა „საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები“, თბილისი 2015 - ნაშრომში წარმოდგენილია ყველა ის რეფორმა, რომლებიც

განხორციელდა გარდამავალი ეკონომიკის საქართველოში. ავტორი გვთავაზობს ლოგიკურ და არგუმენტირებულ მსჯელობას ამ რეფორმების ეფექტიანობის შესაფასებლად.

➤ რ. კაკულია „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები“, თბილისი 2009 - წარმოდგენილია საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკური თეორიისა და გარდამავალი პერიოდის ძირითადი და აქტუალური საკითხები. შესწავლილი და გაანალიზებულია ფულის, საფინანსო ეკონომიკისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, გლობალიზაციის პროცესში ეროვნული ეკონომიკის განვითარების, გარდამავალი ეკონომიკის ფორმირებისა და ინდიკატორული დაგეგმვის იმდროინდელი მსოფლიო გამოცდილების ძირითადი საკვანძო მიმართულებები და საბიუჯეტო ურთიერთობების პარადიგმები გარდამავალ ეტაპზე. ავტორი წარმოგვიდგენს თავისი მრავალწლიანი შრომის შედეგს, სადაც გადმოგვცემს გარდამავალი თანამედროვე პერიოდის ეკონომიკის თეორიულ-პრაქტიკული პრობლემების რეტროსპექტივასა და ანალიზს. წიგნში დასმულია პრობლემა, რომ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა, არ არსებობს თეორიული საფუძველი ეკონომიკური მოწყობის შესახებ და გამოყოფილია პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმართულებანი და „უხილავი ხელის“ ნაკლოვანება ამ შემთხვევაში.

➤ ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა“. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი 2011 - ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს იმდროინდელი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. აქცენტები გაკეთებულია ბუნებრივი რესურსების, დასაქმების დონის, ეკონომიკის რესტროსპექტივის, მეწარმეობის, საფინანსო-საკრედიტო, სოციალური უსაფრთხოების, საერთაშორისო თანამეგობრობებში საქართველოს როლის განსაზღვრისა და სხვა მიმართულებებით. ავტორების მიერ მოცემულია საქმიანი შენიშვნები და წინადადებები აღნიშნული საკითხების მიმართ.

➤ ჯ. ხარიტონაშვილი „პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია“, თბილისი 2008 - ნაშრომში სახელმწიფოებრივ პროტექციონიზმს წარმოგვიდგენს, როგორც თანამედროვე ლიბერალიზმის ალტერნატიულ გზას. იგი

განიხილავს პროტექციონისტული ეკონომიკური მოძღვრების ისტორიულ რაკურსს როგორც ქართველი, ისე უცხოელი ეკონომისტების მსჯელობის საფუძველზე და თავისეულ ხედვას თანამედროვე პროტექციონიზმის გამოყენების შესაძლებლობების შესახებ ქართულ ეკონომიკაში.

➤ ქ. ციხელაშვილი, თ. შერგელაშვილი, მ. თოქმაზიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. შუალედური ანგარიში, თბილისი 2012 - ავტორები წარმოგვიდგენენ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური რეფორმების რეტროსპექტივის სიღრმისეულ ანალიზს სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით. მოცემულია ორიგინალური მსჯელობები ზოგიერთი რეფორმის ირგვლივ, რასაც ერთვის ავტორთა შეფასებები დამოუკიდებლობის პირველი 20 წლისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

➤ ლ. ბალცეროვიჩი „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში“, ვარშავა 1999 - წიგნში ავტორი აღწერს პოლონეთის ინსტიტუციონალურ გარდაქმნებს და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს. პოლონეთის მაგალითზე ავტორი ცდილობს ფილოსოფიის, პოლიტიკური მეცნიერებებისა და ეკონომიკის სინთეზის ფონზე გააანალიზოს, თუ რისი გაკეთება სჭირდება პოსტკომუნისტურ ქვეყნებს განვითარების ჯანსაღ მიმართულებაზე გადასასვლელად.

➤ D. Owen “Georgia: Recent Economic Developments and Selected Issues (IMF Country Report)”. International Monetary Fund 2001 – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენება საქართველოს ეკონომიკის შესახებ, სადაც ავტორი რუსეთის კრიზისის ფონზე განიხილავს საქართველოს რეალური მსპ-ის ზრდას, ნაშრომში განხილულია ადმინისტრაციული და ელიტარული კორუფცია და მისი გავლენები, საფინანსო და საგადასახადო სისტემების ფორმირების საკითხები. აგრეთვე განხილულია საქართველოს სიღარიბის დაძლევის პროგრამის ჭრილში ფისკალური პოლიტიკისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების ტენდენციები. აქვე წარმოდგენილია საბანკო სფეროს რეფორმის, ფინანსური განვითარების, დოლარიზაციის, ენერგეტიკის სექტორისა და ეკონომიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორების სტატისტიკური ანალიზი.

➤ S. Berglund, J. Ekman, K. Deegan-Krause & T. Knutsen (eds.) “The Handbook of Political Change in Eastern Europe”, 3rd edition. Cheltenham: Edward Elgar Publishing

2013 – ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ევროპული არჩევანი, სხვადასხვა მთავრობის პოლიტიკური კურსის პირობებში განხორციელებული რეფორმები დემოკრატიისა და ევროპასთან დაახლოების მხრივ; საკმაოდ სიღრმისეულადაა შესწავლილი, თუ რა პრობლემების წინაშე იდგა საქართველოს პირველი სამი მთავრობა, მათ მიერ განხორციელებული რეფორმები, მათი პოლიტიკის წარმატებები და ნაკლოვანებები. ნაშრომის ბოლო ნაწილი ეძღვნება მსჯელობას იმის შესახებ, რომ მიუხედავად მრავალი რეფორმისა და პროგრესული ნაბიჯისა, ჯერჯერობით საქართველოსთვის ევროკავშირში შესვლა მაინც შორეული პერსპექტივაა. თუმცა ავტორები ამბობენ, რომ იმ პოსტსაბჭოური სივრციდან, რომელიც ამჟამად ევროპის კავშირს გარეთაა, საქართველო ყველაზე პერსპექტიული ქვეყანაა კავშირისათვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტი შეიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდ 213 გვერდს, მათ შორის - თავფურცლისა და ბიბლიოგრაფიის გარეშე - 182 გვერდს. რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები. კვლევა შედგება 5 თავის, 15 ქვეთავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართებისგან.

ნაშრომის პირველ თავში აღწერილია საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დამოუკიდებლობის მოპოვების დასაწყისში. გაანალიზებულია ინსტიტუციური გარდაქმნები, მათი აუცილებლობა და ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. აგრეთვე წარმოდგენილია ანკეტური კვლევის შედეგები, რომელიც ჩავატარეთ ბალცეროვიჩის და მისი გუნდის საქართველოში ვიზიტისა და „შოკური თერაპიის“ შესაფასებლად თანამედროვე ეკონომიკის ექსპერტების მხრიდან.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციები და მათში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი, აგრეთვე უცხოური გამოცდილების პრაქტიკული მაგალითები. აღწერილია „ინსტიტუციური ხაფანგი“, როგორც ეკონომიკის არაეფექტიანი მოწყობის ფორმა, მისი ჩამოყალიბების საფრთხეები და დაძლევის სირთულეები.

ნაშრომის მესამე თავი ეთმობა ფინანსური ინსტიტუტების ფორმირების საკითხებს, საქართველოს საფინანსო სისტემის შექმნას, განვითარების ტენდენციების, ოპტიმიზაციის პროცესის შესწავლასა და ძირითადი მიმართულებების გამოვლენას.

ნაშრომის მეოთხე თავში აღწერილია სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის ძირეული და ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი - პრივატიზაცია. ამ თავში წარმოგიდგენთ პრივატიზაციის პროცესის ერთიან სურათს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღევანდელობამდე.

ნაშრომის მეხუთე თავში გააზრებულია უკანასკნელი წლების ეკონომიკური ხედვა, სამომავლო პერსპექტივები, გაანალიზებულია მეწარმეთა გამოკითხვის შედეგები, რაც სრულყოფს კავშირს მდგრად განვითარებასა და მეწარმეობის განვითარებას შორის. ასევე წარმოგიდგენთ მომავლის ეკონომიკის მოდელს - მწვანე ეკონომიკას, რომლის დანერგვა საქართველოში ახალი პროცესია და საჭიროებს განვითარების ხედვის ჩამოყალიბებას ამ კუთხით.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომი განხილული და მოწონებულია თსუ საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე (13.03.2020 წელი, ოქმი № ...), აგეთვე მასში განხილული ზოგიერთი საკვანძო საკითხი გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში (ecoforum, ბიზნესი და კანონმდებლობა, ახალი ეკონომისტი) და კონფერენციებზე ("ОСОБЛИВОСТІ ІНТЕГРАЦІЇ КРАЇН У СВІТОВИЙ ЕКОНОМІЧНИЙ ТА ПОЛІТИКО-ПРАВОВИЙ ПРОСТІР", "Тенденции экономического развития в XXI веке", "ეკონომიკა – XXI საუკუნე).

თავი 1. ინსტიტუციური რეფორმების ჩატარების აუცილებლობა საქართველოში

1.1. უძრაობის პერიოდი

სახელმწიფოს მოწყობის საკითხები მეტად აქტუალური იყო და არის ისეთი განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანაში, როგორც საქართველოა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ხელისუფლება ცდილობს საბაზრო ეკონომიკის მოდელის შერჩევას, თუმცა სხვათა გამოცდილების გაზიარება და გადმოღება მეტ-ნაკლებად ეფექტიანი გამოდგა რიგი მიზეზების გამო. ნებისმიერი სისტემის დანერგვა ითვალისწინებს სტრუქტურულ გარდაქმნებს და, შესაბამისად, ეს გარდაქმნები რეფორმების სახით ხორციელდება. ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ქვეყანაში კეთილდღეობის მოსაპოვებლად და მათ განსახორციელებლად საჭიროა ინდივიდუალური მიდგომები.

1991 წელს დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, წინაშე დადგა ამოცანა, რომ არსებული ინსტიტუტები გარდაქმნილიყო საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტებად. ყველაზე დიდ სირთულეს იმ დროს ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ არ არსებობდა კონკრეტული თეორიული საფუძვლები, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლებს სახელმძღვანელო ინსტრუქციის სახით ექნებოდათ, რათა დაენერგათ საჭირო ინსტიტუტები, რომლებიც ეფექტიან-კონკურენტუნარიანი იქნებოდა. მსოფლიოს ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ორი ტიპის რეფორმებად შეგვიძლია დავაჯგუფოთ: პირველი - გრადუალისტური რეფორმები, მეორე - „შოკური თერაპია“. პირველი მათგანი, სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასახავს რეფორმების არსს და თანდათანობით გარდაქმნებს გულისხმობს, ხოლო „შოკი“ კი მოკლე დროში კარდინალურ ცვლილებებს ნიშნავს მასშტაბურად. ორივეს თავისი მიმდევრები და კრიტიკოსები ჰყავს. ფაქტი კი ერთია, როდესაც მთავრობა გრადუალისტურ რეფორმებს ანიჭებს უპირატესობას, მას რეფორმების მხარდასაჭერად მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური გარანტია და დიდძალი ფინანსები უნდა გააჩნდეს. (პაპავა, ვ. 2015, 38) გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ეს ორი ასპექტი ნაკლებად ჰქონდა, მთავრობამ უპირატესობა „შოკურ თერაპიას“ მიანიჭა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სხვადასხვა ტიპის რეფორმების განხორციელებას გულისხმობდა, რომლებიც საბოლოოდ 6 ძირითად შედეგს მოიტანდა, ესენია:

1. „მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და მიმდინარე ოპერაციების მიხედვით ეროვნული ვალუტის კონვერტირების უზრუნველყოფა;
4. საწარმოთა რეფორმა, უწინარეს ყოვლისა, პრივატიზაციის გზით;
5. დაზღვევაზე დაფუძნებული სოციალური დაცვის ქსელის შექმნა;
6. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი სტრუქტურის ფორმირება.“ (პაპავა, ვ. 2015, 39)


ამჟამად, რომ ამ ექვსი პუნქტიდან „შოკური თერაპიით“ ყველა მათგანს ვერ მიაღწევს სახელმწიფო და უფრო მეტიც, ზოგიერთ მათგანს, ობიექტური მიზეზების გამო, დრო საიმისოდ სჭირდება, რომ იგი ეფექტიან ინსტიტუციად ჩამოყალიბდეს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების გარანტია და ფინანსური სტაბილურობა, მთავრობამ ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითზე გადაწყვიტა „შოკური თერაპიით“ განეხორციელებინა რიგი რეფორმები პოლონელ ლემეკ ბალცეროვიჩის გეგმის მიხედვით. პოლონეთში „ბალცეროვიჩის გეგმა“ შემდეგნაირად გატარდა: დაიწყო სხვადასხვა პროდუქტისა თუ მომსახურებაზე ფასების მატება, რამაც ხელოვნურად შექმნა ინფლაციური პროცესები საბაზრო წონასწორობის დამყარების მიზნით; საგრძნობლად შეუმცირდა შემოსავლები მოსახლეობას; შემცირდა ბრუნვაში არსებული ფულადი სახსრები და გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, მათ შორის დეპოზიტებზე, რათა მომხდარიყო მოსახლეობის სტიმულირება დაზოგვაზე; შეუწყვიტეს წამგებიან საწარმოებს დაფინანსება, რათა შეემცირებინათ საბიუჯეტო ხარჯები; ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად გამოუშვეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; საკანონმდებლო დონეზე გატარდა საგადასახადო სისტემის რეფორმა; შემოიღეს ეროვნულ ვალუტაზე ერთიანი გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებით; სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს მისაღებად საბაზრო ტარიფები შემოიღეს; შეიქმნა სოციალური პაკეტი და სახელმწიფომ მზრუნველობა იკისრა გაჭირვებაში მყოფ მოქალაქეებზე; რაც მთავარია, სახელმწიფო სრულად განერიდა ბიზნეს-სექტორს და კონტროლის მექანიზმად მხოლოდ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა დაიტოვა. პოლონეთის წარმატებული რეფორმები რუსეთისთვისაც სანიმუშო

გამოდგა და 1992 წლის იანვრიდან რუსეთში დაიწყო რეფორმების განხორციელება ამ გეგმის მიხედვით, ხოლო 1 თვის შემდეგ კი უკვე საქართველოში.

ფასების გათავისუფლება და თავისუფალი ფასწარმოქმნის პოლიტიკის დანერგვა საქართველოში ჯერ კიდევ 1991 წლიდან დაიწყო თუმცა რადიკალური სახე მაინც 1992 წლიდან მიიღო. კერძოდ 1991 წლის მაისიდან 1992 წლის მაისამდე სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება გაუტოლდა 525,21%-ს. ამ პერიოდის დასაწყისის 100 მანეთის ღირებულება კი, ინფლაციის გათვალისწინებით, პერიოდის ბოლოს გახდა 625,21 ლარი.¹

დიაგრამა 1. სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება საბაზისო წელთან შედარებით 01.1991-01.2019 წლებში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 (10.11.2019)

აღნიშნული დიაგრამა ნათელყოფს, რომ „ბალცეროვიჩის გეგმის“ პირველი ნაწილი საქართველოში სრულად იქნა განხორციელებული. რაც შეეხება მეორე პუნქტს ხელფასებისა და სოციალური პაკეტების ინდექსებს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ნაწილობრივ ესეც განხორციელდა. კერძოდ ავიღოთ 3 წლის მონაცემები 1990, 1991 და 1992 წლები.

¹ მაჩვენებლები დათვლილია საქართველოს სტატისტიკის სამსახურის სამომხმარებლო ფასების ინდექსის კალკულატორით.

დიაგრამა 2. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, 1990-2018 წწ (მანეთი, ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 (10.11.2019)

1991 წელს წინა სააღრიცხვო წელთან შედარებით ნომინალური ხელფასი გაიზარდა 1,26-ჯერ. ხოლო 1992 წელს, 1991 წელთან შედარებით, გაიზარდა 5,65-ჯერ. პოლონეთში სახელმწიფომ ხელფასის ფონდის ზრდაზე რეგულაცია დააწესა იმგვარად, რომ რაც უფრო მეტად გაიზრდებოდა ინფლაცია, მით უფრო იზღუდებოდა ხელფასის ფონდის ზრდის ლიმიტი. ეს პროცესი პოლონეთის ეკონომიკურ ისტორიაში შევიდა „შემცირების გილიოტინირების“² სახელწოდებით. (Kolodko, G., W. 1991) მიუხედავად იმისა, რომ სახელფასო ფონდების ზრდის კვოტირება საქართველოში არ მომხდარა, „ბალცეროვიჩის გეგმის“ მეორე პუნქტიც განხორციელდა, ექსპერტთა აზრით.

მესამე პუნქტი შეეხებოდა საპროცენტო განაკვეთების ზრდას დეპოზიტებზე, რომელიც 1991 წელთან შედარებით 1992-ში მოთხოვნამდე ანაბრებზე 2-დან 5%-მდე გაიზარდა, ხოლო ვადიან ანაბრებზე 9-დან 80 %-მდე. (ბალცეროვიჩი, ლ. (თარგმ. ა. გრიშკაშვილის მიერ) 2002) მიუხედავად ამ ტემპისა, ეს ზრდა არ ყოფილა ინფლაციის დონის ადეკვატური. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დროს საქართველოს საკუთარი ვალუტა არ ჰქონდა, მოქალაქეების წახალისება საპროცენტო განაკვეთის ზრდით, რათა შემცირებულიყო მიმოქცევაში არსებული ფულის მასა, შეუძლებელი აღმოჩნდა. პირიქით, ვითარება იმ ფაქტმაც გაართულა, რომ საქართველოში ბრუნვაში იყო, როგორც მანეთი, ისე რუბლი. 1992 წელს ანაბრები გაუფასურდა და სახელმწიფო ხელისუფლება ჩავარდა მეტად რთულ სიტუაციაში. 25 ივლისს გამოიცა ბრძანება,

² ნათარგმნია ავტორის მიერ ტერმინიდან „wane guillotine“

რომლითაც 1-ლი აგვისტოს მდგომარეობით ანაბრების რაოდენობა გაორმაგდებოდა. ეს გაორმაგებული ანაბრები კი გაიცემოდა 1 წლის შემდეგ, ხოლო, გამონაკლის შემთხვევაში, გამოტანა ნებადართული იყო პრივატიზაციის პროცესის დროს. პროცესი ერთი შეხედვით დასტაბილურდა. თუმცა, 1992 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთიდან ნაღდი ფულის შემოტანა გართულდა და მთავრობა იძულებული გახდა დეპოზიტებზე აკუმულირებული თანხებით გაესტუმრებინათ პენსიები და ხელფასები. შედეგად მთავრობის მცდელობა, რომ შეემცირებინათ ბრუნვაში არსებული ფულის მასა, კრახით დასრულდა და შესაბამისად „ბალცეროვიჩის გეგმის“ მესამე ნაწილი ვერ განხორციელდა.

„ბალცეროვიჩის გეგმის“ მეოთხე პუნქტი გულისხმობდა ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების შეკვეცისა და წამგებიან საწარმოთა დოტაციების შეწყვეტის ხარჯზე. თუ თვალს გადავაკვლავებთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებები 1992 წლის მაჩვენებლებით წინა წელთან შედარებით არ შემცირებულა (მერყეობდა 20-25%-ის ფარგლებში), ხოლო დოტაციების წილი 1992 წელს საბიუჯეტო ხარჯების 30,1%-მდე შემცირდა, წინა წლის 47%-ან მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა სტატისტიკის ეს რიცხვები ვერანაირი გზით ვერ ადასტურებს იმას, რომ „ბალცეროვიჩის გეგმის“ მეოთხე ნაწილი განხორციელდა.

ასევე ვერ განხორციელდა „ბალცეროვიჩის გეგმის“ მეხუთე ნაწილი, რაც სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას გულისხმობდა. 1992 წელს მართლაც გამოუშვა სახელმწიფომ ობლიგაციები და 1993 წელს უკვე რეალიზაცია განხორციელდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაშლილი საბჭოთა კავშირის ობლიგაციები გადაეცვალათ ქართულ ობლიგაციებზე.

საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას რაც შეეხება, ეს „ბალცეროვიჩის გეგმის“ თანახმად განხორციელდა და, ექსპერტთა შეფასებით, საკმაოდ პროგრესული საგადასახადო სისტემა დაინერგა იმდროინდელ საქართველოში, რომლის სრულყოფისა და დახვეწის პროცესი დღემდე მიმდინარეობს.

ეროვნული ვალუტის დოლართან დასტაბილურება და გაცვლითი კურსის დადგენა, რაც „ბალცეროვიჩის გეგმის“ მეშვიდე პუნქტს წარმოადგენდა, ვერ შესრულდა, რადგან საქართველოს ამ დროს არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა.

„ბალცეროვიჩის გეგმის“ მერვე ნაწილიც ვერ განხორციელდა საქართველოში, რადგან ნაცვლად ექსპორტის წახალისებისა, იმპორტზე გადასახადი შეადგენდა 2 %-ს, ხოლო ექსპორტზე კი 8 %-ს. ამას ემატებოდა ისიც, რომ ამ დროს ქვეყანა თითქმის არაფერს აწარმოებდა და, შესაბამისად, ვერც საექსპორტო პროდუქცია იქმნებოდა, შედეგად დადებითი სავაჭრო ბალანსის მიღწევა, რიგი მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო.

მთავრობამ გააკეთა შემოსავლების ინდექსირება, თუმცა ამ დროს, კერძოდ, 1991-92 წლებში სისტემა, რომელიც დაეხმარებოდა დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობას, არ არსებობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელფასის დონის ზრდის მიუხედავად ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა (მაგალითად თუ ორჯერ გაიზარდა მთლიანი შემოსავლების ოდენობა, მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის შემოსავლების სხვაობაც შესაბამისად გაიზარდა ორჯერ). შედეგად „ბალცეროვიჩის გეგმის“ მეცხრე ნაწილიც ვერ შესრულდა.

„ბალცეროვიჩის გეგმის“ მეათე პუნქტით უნდა შეზღუდულიყო მონოპოლია და ამადლებულიყო კონკურენტუნარიანობა. 1992 წელს მთავრობამ მიიღო ამ მხრივ გადაწყვეტილებები, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 1991 წელს საბჭოთა ცენტრალიზებული რესურსების მიღების სისტემა დაირღვა, სახელმწიფოს ჩარევა ამ საკითხში ძირეულად მაინც არ შეცვლილა. მაგალითისთვის, მოქმედებდა სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმები. აქედან გამომდინარე, „ბალცეროვიჩის გეგმის“ მეათე პუნქტი სრული მასშტაბებით ვერ განხორციელდა.

„შოკური თერაპიის“ ათი პუნქტიდან საქართველოში მხოლოდ სამი განხორციელდა სრულად და, ისეთი პუნქტები, რომლებიც თავად „ბალცეროვიჩის გეგმის“ ძირითადი აზრის განხორციელებას გულისხმობდა, ვერ შესრულდა. ანუ უმნიშვნელოვანესი ამ ათი პუნქტიდან იყო ფულის მასის მაქსიმალური შეზღუდვა და დოტაციების გაუქმება, რაც, რიგი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, იმდროინდელ საქართველოში მიუღწეველი დარჩა. ამ პროცესს ყველაზე უფრო იმან


შეუშალა ხელი, რომ საქართველოში ამ დროს მონეტარული სისტემა არ იყო შექმნილი და სწორედ ამიტომ ფასების მოდიფიცირებაც გრძელვადიან პერსპექტივაში კრახისთვის იყო განწირული. შემდეგი ორი წელი მთავრობის მხრიდან ანტირეფორმატორული მიდგომებით შევიდა ისტორიაში და მხოლოდ 1994 წლის მიწურულიდან დაიწყო უკვე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობის ახალ საფეხურებზე გადასვლა. რა დროსაც უკვე დაიწყო ინსტიტუციური გარდაქმნები საფინანსო ინსტიტუტების ფორმირების მხრივ, რაშიც უდიდესი წვლილი ხელისუფლებაში მოსული პროფესიონალი ეკონომისტების დამსახურებაა.

დამოუკიდებლობის პირველმა ოთხმა წელმა საქართველოს ეკონომიკა სამჯერ და უფრო მეტად შეამცირა. ამ მოვლენას ლოგიკური ახსნა აქვს, რადგან სახელმწიფო საწარმოების მწარმოებლურობა ეცემა და დროთა განმავლობაში, რეფორმების გატარების შედეგად იწყება წარმოების ზრდა. ამ საწარმოთა მწარმოებლურობას მრუდის ფორმა აქვს. მრუდი კი მით უფრო ბლაგვი ფორმისაა, რაც უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს რეფორმატორული პროცესები. ექსპერტ-ეკონომისტების, მაგალითად კრზისტოფ საბჩაკის, ჯეფრი საჩისის, იაჩეკ როსტოვსკის და სხვების აზრით „შოკური თერაპია“ მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მძიმე მდგომარეობაშია ქვეყანა ჩავარდნილი და მოსახლეობა მზადაა გაიღოს ნებისმიერი მსხვერპლი, ოღონდ მიაღწიონ პროგრესს. სწორედ ამ დროს აქვს რეფორმატორ ხელისუფლებას პოლიტიკური გარანტიები. თუმცა იმ საკითხში, თუ როგორ ჯობს „შოკური თერაპიის“ განხორციელება, საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბების შემდეგ თუ მანამ, აზრები იყოფა. საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთვის „შოკური თერაპია“ უფრო მეტად ეფექტიანი იქნებოდა, თუ ხელისუფლება თავდაპირველად ინსტიტუციური ბაზრის საწყისების შექმნაზე იზრუნებდა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ სწორედ იმ სახელმწიფოებმა მიაღწიეს მაქსიმალურ შედეგებს „მინიმალური შოკით მაქსიმალური თერაპია“³ ანუ „დიდი აფეთქება“⁴, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკისთვის აუცილებელი ინსტიტუტების თუნდაც ჩანასახოვანი წარმონაქმნები ჰქონდათ.

³ ნათარგმნია ავტორის მიერ ტერმინიდან „Minimal Shock, with Maximum Therapy“

⁴ ნათარგმნია ავტორის მიერ ტერმინიდან „Soft Big Bang“

დიაგრამა 3. ჯინის კოეფიციენტი 1996-2017 წლებში



შედგენილი: მსოფლიო ბანკი, 2019 (10.11.2019)

აღნიშნული კვალი ქართულ ეკონომიკას დღემდე მოჰყვება, რადგან ქვეყნისთვის დღემდე აქტუალურია ხელფასების დაბალი დონე და სამომხმარებლო ფასების ზრდა ძირითად საარსებო პროდუქტებსა თუ მომსახურებებზე. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველო გამონაკლისი არ არის, სოციალური უთანასწორობის პრობლემები მწვავედ დგას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და ჯინის კოეფიციენტების ზრდა ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუარესების პირდაპირპროპორციულია.

1.2. მართვის სრულყოფის, ეფექტიანობის ამალღებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის დინამიკა

საქართველოს მთავრობას 1993-1994 წლების ბოლო პერიოდამდე ანტირეფორმატორული პოლიტიკა ჰქონდა, რა დროსაც კუპონი დოლართან მიმართებით სულ უფრო გაუფასურდა. ეროვნული ბანკის მიერ საქონლის იმპორტისათვის გაცემული არაუზრუნველყოფილი კრედიტები ფულის მასას ზრდიდა და ამას ემატებოდა კომერციული ბანკების მხრიდან ოვერდრაფტებზე მუშაობა და ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, რომლის დაფინანსებისთვის მთავრობა ეროვნული ბანკის რესურსებს იყენებდა. 1994 წლის შემოდგომის მაჩვენებლით კუპონი იმდენად იყო გაუფასურებული, რომ 1 აშშ დოლარის ღირებულება გახლდათ 2,5 მლნ კუპონი ოფიციალურად, ხოლო არაოფიციალური კურსით კი მაჩვენებელი 2-ჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა ოფიციალურს. აღნიშნული ვითარება კუპონის ინფლაციას თვეში 50-70 %-ით იწვევდა და კუპონებით მოსახლეობას მხოლოდ პურის შეძენა და კომუნალური მომსახურების გასტუმრება შეეძლო, რასაც განაპირობებდა ის


ფაქტი, რომ აღნიშნული მომსახურებისა და პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები ისევ სახელმწიფოს ხელში იყო. იმდროინდელი კურსის გათვალისწინებით, საშუალო ხელფასის ოდენობა 1994 წლისთვის იყო 1,5 აშშ დოლარი, ხოლო პენსია კი - 10 აშშ ცენტი. (პაპავა, ვ. 2015, 52) მძიმე სიტუაციიდან თავის დაღწევა კი 1994 წლის მიწურულიდან საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი და „ბალცეროვიჩის გეგმის“ განუხორციელებელი პუნქტების რეალიზებაზე მიდგა საქმე.

1994 წლის მიწურულიდან პურის ფასი ნახტომისებურად გაიზარდა 285-ჯერ, ხოლო ხელფასები და პენსიები კი 20 %-ით, რა დროსაც კუპონი დოლართან მიმართებით გამყარდა და უკვე პრივატიზაციის პერიოდის პირველად სურსათზე ფასების ამხელა ზრდას ადგილი აღარ ჰქონია. ამავე პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, გააუქმა ანგარიშებიდან თანხის განაღდებაზე შეზღუდვა და კომერციულ ბანკებს აუკრძალა ოვერდრაფტებზე მუშაობა. 1995 წელს კი პარლამენტმა ბიუჯეტის დამტკიცება დაიწყო, რომლის დეფიციტი 53 % იყო და მისი დაფინანსების წყაროს საერთაშორისო გრანტები და კრედიტები წარმოადგენდა. ამ პროცესებმა კუპონი დაასტაბილურა დოლართან მიმართებით (1 აშშ დოლარი = 1,3 მლნ კუპონი) და წლიური ინფლაცია 50 %-ის ირგვლივ მერყეობდა. ყოველივე ეს იქცა კარგ წინაპირობად, რომ გატარებულიყო ფულის რეფორმა და ამავე წლის შემოდგომაზე შემოიღეს ლარი, როგორც ერთადერთი ანგარიშსწორების საშუალება, დოლართან მიმართებით კურსი 1 აშშ დოლარი უდრიდა 1,3 ლარს. (კაკულია, მ. 2001) 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოში ერთადერთ კანონიერ საგადასახდლო ერთეულს წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი, ხოლო მის მეასედ ნაწილს ეწოდა თეთრი. ლარი წარმოადგენს ძველ ქართულ სიტყვას და ნიშნავს განძს, სიმდიდრეს, ხოლო თეთრი კი დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა სამონეტო ტერმინს XIII საუკუნის შემდგომი საქართველოსთვის ლარმა მალევე დაიმკვიდრა თავი ქართულ ეკონომიკაში და კუპონი და რუსული რუბლი ამოიღეს ხმარებიდან.

1995 წელი იყო ის დრო, როდესაც საქართველომ დაძლია თავისუფლების პირველი პერიოდის ვარდნა, განახორციელა „შოკური თერაპია“ და ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა დაიწყო ზრდა. ფაქტობრივად, 1995-1998 წლები საქართველოს

ეკონომიკაში აღმავლობით მიმდინარეობდა. 1990 წელს საქართველოს მსპ იყო 12026,3 მლნ ლარი და სწორედ ეს მაჩვენებელი ავიღოთ შედარებისთვის, რომ დავინახოთ რეალური სურათი, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ეკონომიკა. 1993 წელს საქართველოს მსპ 1990 წლის მსპ-ის 30 %-ზე ნაკლები იყო, მომდევნო წელს კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა. სწორედ ამ წლიდან იწყება უკვე საქართველოს ეკონომიკის ზრდა. აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ მარტივ ჭეშმარიტებას, რაც უფრო მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი ეკონომიკა, ზრდაზე ორიენტირებული რეფორმების შედეგები მით უფრო დიდი მაჩვენებლებით ზრდის კეთილდღეობის სურათს. 1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა და უკვე 1996-1997 წლებში მსპ იზრდებოდა საშუალოდ 10 %-ით.

დიაგრამა 4. საქართველოს მსპ 1993-2018 წლები (მიმდინარე ფასებში მლნ. დოლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 (10.11.2019)

პირველ რიგში, ამ მოვლენებს ხელი პოლიტიკური ვითარების დასტაბილურებამ შეუწყო (დასრულდა საქართველოს სამოქალაქო ომი). მშვიდობის დამყარებასთან ერთად ქვეყანა მიმზიდველი გახდა ინვესტორებისთვის. თუ 1996 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა შეადგენდა მხოლოდ 3,8 მლნ აშშ დოლარს, 1997 წლისათვის უკვე 64-ჯერ გაიზარდა და მომდევნო წლებიც საკმაოდ პოზიტიური გამოდგა ინვესტიციების მოზიდვის მხრივ. თუ არ ჩავთვლით 1999 წელს, როცა აზიის კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთის ეკონომიკას და საქართველოს. მიუხედავად დამოუკიდებლობისა, რუსეთის ეკონომიკასთან მაინც მჭიდრო კავშირი ჰქონდა, სწორედ ამით აიხსნება ეკონომიკის იმდროინდელი ვარდნა საქართველოში. რაც შეეხება საგარეო ვაჭრობაში ჩართულობას, აქაც საკმაოდ დადებითი ტენდენციები ვლინდება. უარყოფითი სალდოს მიუხედავად ექსპორტი მზარდია. მიუხედავად

იმისა, რომ მსკ-ს, უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები მზარდია. ექსპერტთა აზრით ზრდის ეს ტემპი იმდროისათვის არასაკმარისი იყო საიმისოდ, რომ ქვეყანას მდგრადი განვითარება ჰქონოდა. უფრო მეტიც, არსებობს სკეპტიკური შეხედულებაც, რომ ზრდის ტემპი რეალურზე მაღალი ჩანს და ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ლარი განიცდიდა ინფლაციას დოლართან მიმართებით და დევალვაციის ზეგავლენას აქვს ადგილი. (თვალჭრელიძე, ა., სილაგაძე, ა., ქემელაშვილი, გ., გეგია, დ. 2011)


დიაგრამა 5. საქართველოს სავაჭრო ბალანსი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1995-2019* წლებში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 (10.11.2019)

იმისათვის რომ უფრო უკეთ გამოჩნდეს ამ პერიოდის ეკონომიკური მდგომარეობა უნდა შევისწავლოთ მსკ ინფლაციის დონის გათვალისწინებით

დიაგრამა 6. მსკ დეფლატორი 1991-2018 წლებში (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 (10.11.2019)

1991 წლიდან 1996 წლამდე ინფლაციის მაღალი ტემპები გამოვლინდა, თუმცა 1997 წლიდან ინფლაციის დაბალი ტემპი არ აღემატებოდა ევროპის ქვეყნებში მიღებულ ინფლაციის დონეს. რაც შეგვიძლია თავისუფლად მივაწეროთ იმ ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებიც ამ პერიოდში განახორციელა სახელმწიფომ.


1.3. ეკონომიკური ზრდის მახასიათებლები

ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ზრდის შეფასების ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ამ დარგებში შექმნილი პროდუქციის დამატებითი ღირებულებების განხილვა. საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველოს ეკონომიკას მოუტანა თავისუფლება, თუმცა დაუტოვა უმძიმესი მემკვიდრეობა და ეს პროცესი დღევანდელი გადმოსახედიდან სრულიად ლოგიკურიც იყო, რადგან მბრძანებლური ეკონომიკა ორიენტირებული არ ყოფილა კონკურენტუნარიანობის მოპოვებასა და ეფექტიან წარმოებაზე. წარმოების დროს ეფექტიანობა გამოირიცხებოდა. ამაში პირდაპირ ვგულისხმობთ იმას, რომ საბჭოური საწარმოები ნაკლებად იყო რესურსების ოპტიმალური გამოყენების იდეას მორგებული, რაციონალურად არ იხარჯებოდა ნედლეული. საბჭოური ეკონომიკა ყველანაირად ცდილობდა, რომ შემავალი ქვეყნები ერთმანეთთან ყოფილიყო დაკავშირებული და, სწორედ ამიტომ, წარმოების პროცესი არ იყო ლოკალური, არამედ შესაძლო იყო ერთი მანქანისთვის საჭირო დეტალები 10 სხვადასხვა ქვეყნის საამქროს ეწარმოებინა გეგმური ეკონომიკის ფარგლებში. რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში განხორციელებული აუთსორსინგისგან რადიკალურად განსხვავდება, რადგან საბჭოთა ბაზარზე არ არსებობდა მოთხოვნა. (პაპავა, ვ. 2007) სწორედ ამიტომ, როდესაც კავშირი აღარ არსებობდა, საწარმოებში წარმოების პროცესი გაჩერდა იმის გამო, რომ აწ უკვე დამოუკიდებელ ქვეყნებს არანაირი ინტერესი არ ჰქონდათ ჩართულიყვნენ იმ მანქანის გამოშვების პროცესში, რომელიც მაგალითად საქართველოში იწარმოებოდა. რა თქმა უნდა, ადგილობრივი წარმოების არარსებობა საწარმოო ცოდნის არარსებობასაც გულისხმობდა. თითქმის ყველა საწარმოს წინაშე სრული საწარმოო პროცესის ათვისების ამოცანა იდგა. ვიდრე ლოჯისტიკური ჯაჭვის ინსტიტუციურ გამართვაზე იყო ორიენტირებული სახელმწიფო, ამ საწარმოთა არაკეთილსინდისიერმა მმართველებმა პირადი ინტერესები დააყენეს წინა პლანზე და

ისტორიამ შემოგვინახა შემთხვევები, როდესაც საწარმოო სიმძლავრეები ჯართის ფასად იყიდებოდა.

ისტორიულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგს აგრარული სექტორი წარმოადგენდა, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში, სოფლის მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ქვეყანამ გასაღების ბაზრების დიდი ნაწილი დაკარგა. 1991-1992 წლებში ექსპორტის მოცულობა დაეცა და ყველაზე მძიმე კრიზისი დადგა 1993-1994 წლებში, როცა ამ სექტორში წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1987 წლის მოცულობაზე სამჯერ ნაკლები იყო. ვარდნის მიუხედავად აგრარული სექტორი ეკონომიკის მთავარ დარგს წარმოადგენდა. აღნიშნული მოვლენა იმან განაპირობა, რომ მრეწველობის, მშენებლობისა თუ სხვა დარგების ნგრევის ფონზე სოფლის მეურნეობა 1995 წლის მსკ-ში 40%-ზე მეტს შეადგენდა. ამ პერიოდში სირთულეები არსებობდა ტექნოლოგიური თუ რესურსული უზრუნველყოფის კუთხით, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებას შეუწყობდა ხელს და სწორედ ამიტომ ყველა მომდევნო წელს უფრო მეტად შემცირდა დარგის ეფექტიანობა და მოსავლის რაოდენობა. 1996 წლიდან ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება დაიწყო და 20%-მდე შემცირდა მსკ-ში ამ დარგის მიერ შეტანილი წვლილი. (World Bank, 2019)

დიაგრამა 7. აგრარულ სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება 1990-2000 წლებში (მლნ აშშ დოლარი მიმდინარე ფასებში)




წყარო: Food and Agriculture Organization of the United Nations, 2019, (10.11.2019)

დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან დაიწყო აგრარულ სექტორში რეფორმები, თუმცა გადამწყვეტი ნაბიჯები მიწის საკუთრების აღდგენამ მოიტანა. მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა იმ ტემპებით ვერ

ვითარდებოდა, როგორც წარმატებული ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი, რადგან რეფორმებს უფრო სპონტანური ხასიათი ჰქონდა. (კოლუაშვილი, პ. 1998)

დავაკვირდეთ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ოდენობებს წლების მიხედვით, ნათლად ჩანს თუ რამდენად დიდი ზეგავლენა იქონია საექსპორტო ბაზრების დაკარგვამ: (Food and Agriculture Organization of the United Nations 2019)

დიაგრამა 8. სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ოდენობა 1992-2002 წლებში (მლნ აშშ დოლარი)




წყარო: Food and Agriculture Organization of the United Nations, 2019, (10.11.2019)

რიგი მიზეზების გამო ირყეოდა სოფლის მეურნეობის წარმოების დონე 90-იანი წლებში. ამ დროს მიმდინარეობდა აგრარული სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან პრიორიტეტების გადაფასება. სოციალიზმი მათ აიძულებდა ეწარმოებინათ გეგმურად და თან საბაზრო მოთხოვნის გათვალისწინების გარეშე, რადგან მათი პროდუქცია მაინც მოთხოვნადი და უფრო მეტიც, „საჭირო“ იყო. ახლა მათ დაკარგეს გარანტირებული ბაზარი და უნდა ეწარმოებინათ მოთხოვნაზე დაფუძნებით. გარდა პურისა და რძის პროდუქტებისა, ისიც მხოლოდ 1996 წლამდე, მოხდა ყველანაირი ფასის ლიბერალიზაცია. ამ პირობებში აგრარულ დარგში დასაქმებულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს ეწარმოებინათ ნაკლები სუბტროპიკული კულტურები, სანაცვლოდ გაიზარდა თხილისა და ვაშლის წარმოება, რაც უფრო მოთხოვნადი იყო მათთვის ხელმისაწვდომ ბაზრებზე. ლიბერალიზაციის პროცესმა განავითარა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კერძო ბაზრები, სანაცვლოდ კი კვების პროდუქტების სამრეწველო საწარმოების გაუქმებამ აგრარული სექტორის წარმოების დონე საკმაოდ დასწია.

დღეის მდგომარეობით სოფლის მეურნეობა ნამდვილად არ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკაში წამყვან დარგს. ამას რიგი მიზეზებით ავხსნით: ტექნოლოგიების სუსტად განვითარება, სუსტად ჩამოყალიბებული „ფერმერის ინსტიტუტი“, გასაღების ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, დაბალი კონკურენტუნარიანობა. აღნიშნული საკითხებს ოპონირებაც შეიძლება გაერიოს, თუმცა ფაქტია, რომ განვითარებული ქვეყნების ბაზრებისთვის ჩვენი პროდუქცია ნაკლებად აკმაყოფილებს სტანდარტებს და, შესაბამისად, ორიენტირი ადგილობრივ ბაზარზე თუ ექნება ფერმერს. გარდა ამისა, ცალკეული ფერმერისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს მცირე წარმოების ფარგლებში ექსპორტზე გასვლა ინდივიდუალურად და არც არანაირი კონკრეტული ინსტიტუცია არ მოქმედებს, რომელიც დახმარებას გაუწევს მსგავს საკითხებში მათ. თუმცა, ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია იმპორტული, მდარე, მაგრამ ხელმისაწვდომი პროდუქციით და ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ჯანსაღ კონკურენციას ვერ უწევს აღნიშნულ პროდუქტებს.


დიაგრამა 9. ბოსტნეულის მოხმარება საქართველოში 2006-2018 წლებში (ათასი ტონა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, (10.11.2019)

სოციალური მდგომარეობა განაპირობებს მომხმარებლის არჩევანს, რომ შიმშილისგან თავის დასაღწევად არჩევანი იმპორტულ, იაფ საქონელზე შეაჩეროს.

დიაგრამა 10. ხორბლის მოხმარება საქართველოში 2006-2018 წლებში (ათასი ტონა)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, (10.11.2019)

თავად მეწარმეებისთვისაც უფრო ხელსაყრელია იაფი ნედლეულის შეძენა და სწორედ ამიტომ, ბოლო წლების მაგალითზე, ხორბლის ექსპორტი მზარდ ტენდენციას ავლენს.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად ეფექტიანი იყო მთავრობის მხრიდან ბალცეროვიჩის საქართველოში მოწვევა და, ზოგადად, „შოკური თერაპიის“ შესაფასებლად საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა ინტერვიუს სახით ექსპერტ-ეკონომისტთა ვიწრო წრეში. კერძოდ, შეირჩა 50 ქართველი ეკონომისტი, რომელთაგან უმეტესი ნაწილი, 40 მათგანი, არის ახალი თაობის წარმომადგენელი, ხოლო 10 გახლავთ 90-იანი წლების საჯარო მოხელე, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ მონაწილეობდა ბალცეროვიჩის გუნდთან მოლაპარაკებების წარმოების პროცესსა თუ რეფორმების განხორციელებაში. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეკონომისტები ვერ თანხმდებიან, რეფორმების განხორციელების პროცესში უფრო მეტ ეფექტს გრადუალისტური მიდგომები მოიტანს თუ „შოკური თერაპია“. ჩვენს რესპონდენტებს პირველი შეკითხვა სწორედ აღნიშნულ საკითხზე დავუსვით, იყო თუ არა მზად საქართველო „შოკური თერაპიის“ განსახორციელებლად.


დიაგრამა 11. რესპონდენტთა დაჯგუფება საქართველოში "შოკური თერაპიის" გატარებისადმი მზადყოფნის კუთხით



შედგენილი: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

რესპონდენტთა უმეტესობამ უპასუხა, რომ საქართველო არ იყო მზად „შოკური თერაპიისათვის“. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი რესპონდენტი პირდაპირ ამბობდა, რომ საქართველო იმ დროს „შოკურ“ მდგომარეობაში ისედაც იმყოფებოდა და ამ მდგომარეობის კიდევ უფრო მეტ „შოკში“ ჩაგდება შეუძლებელიც კი იყო. სწორედ ამიტომ ჩვენ რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ ის მიზეზები, თუ რატომ არ იყო მზად ქვეყანა „შოკური თერაპიისათვის“.

დიაგრამა 12. რესპონდენტთა დაჯგუფება "შოკური თერაპიის" განუხორციელებლობის მიზეზების მიხედვით




შედგენილი: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

მეორე შეკითხვა შეეხებოდა უშუალოდ მიზეზებს, რის გამოც საქართველო არ იყო მზად „შოკური თერაპიისთვის“. რესპონდენტთა აზრით, საქართველოს იმდროინდელ

ხელისუფლებას არსებითად აკლდა ცოდნა თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ და სწორედ ამიტომ რთული იყო მათთვის რეფორმების განხორციელება, მეორე მიზეზად დასახელდა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საბაზრო ინსტიტუტების განუვითარებლობა. აქ ჩვენ ვთხოვეთ რესპონდენტებს დაეკონკრეტებინათ, თუ რა იგულისხმებოდა საკითხის მიღმა. როგორც დავადგინეთ, საქმე გვექონდა ინსტიტუციურ მეხსიერებასთან. (Papava, V. 2002, 10) ეს ნიშნავს დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას, ფაქტების ერთობლიობას, რომელთაც ფლობს რაიმე ჯგუფი. როგორც აღმოჩნდა, საქართველოს 70 წლიანი საბჭოური ისტორიისთვის საბჭოეთამდელი მეხსიერება ძალიან ღრმად იყო ჩაფლული. ადამიანები, რომლებსაც სოციალიზმამდე ეცხოვრათ, ახლა ან ძალიან მოხუცებულები იყვნენ, ან უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. თაობაში, რომელიც სოციალიზმიდან გამოვდა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც სრულიად ეკუთვნოდნენ ამ წყობას და მათი მენტალობისთვის თუნდაც ვაჭრობა აღიქმებოდა დამამცირებელ, უკანონო საქმიანობად. ამას ადასტურებს ქართულ ენაში შემონახული მოვაჭრის განმსაზღვრელი სიტყვები, როგორებიცაა „ქორვაჭარი“, „სპეკულიანტი“ და სხვ.

დიაგრამა 13. რესპონდენტთა დაჯგუფება ხელისუფლების მიერ რეფორმების ორიენტირისადმი დამოკიდებულებით



შედეგნილი: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

რესპონდენტებმა მესამე შეკითხვაზე, თუ როგორი არჩევანი უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას რეფორმების განხორციელების პროცესში, გვიპასუხეს, რომ მათ ყველა სფეროსადმი უნდა გამოეყენებინათ ინდივიდუალური მიდგომა და დღევანდელი გადმოსახედიდან თვლიან, რომ თავდაპირველად სასურველი

იქნებოდა თითოეული სექტორისთვის შეჯერებულიყო, მყისიერი ცვლილებები იქნებოდა უფრო მეტად ეფექტიანი თუ თანდათანობითი.


მეოთხე შეკითხვა შეეხებოდა „შოკური თერაპიის“ ყველაზე დიდი მიღწევის დასახელებას საქართველოსათვის. ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ ეს არის საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება, მეორე ადგილზე დააყენეს საგადასახადო რეფორმა, მესამე ადგილზე - ბიუჯეტის მოწესრიგება, შემდეგ ადგილებზე კი ეროვნული ვალუტის შემოღება, კომერციული ბანკების დაარსება და სხვ. ექსპერტები სწორად აფასებენ სახელმწიფოს ეკონომიკური მოწყობის მთავარ ატრიბუტებს და მათი მსჯელობა და ცოდნა საქართველოსთვის თუნდაც ბიუჯეტის განსაზღვრის აუცილებლობაზე საკმაოდ ლოგიკურია. ზოგიერთმა მათგანმა არგუმენტად მოიშველია სტატისტიკის მონაცემები და განაცხადა, რომ საქართველოში სოციალური მდგომარეობა სწორედ დამტკიცებული ბიუჯეტის შემდეგ დაადგა გამოსწორების გზას.

მეხუთე შეკითხვით გვინდოდა გაგვერკვია ჩვენი ექსპერტების მოსაზრება „შოკური თერაპიის“ ნაკლოვანებებზე საქართველოსთან შესაბამისობით. ამაზე მათ გვითხრეს, რომ ისევ და ისევ ინსტიტუციური მეხსიერება იყო მრავლის განმსაზღვრელი. ქართველი კაცის მენტალობის შეცვლის რეფორმა იყო ეს რეალურად, რაც ძალიან რთული გამოდგა და რაც რეალურად იყო პრობლემა. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ქარხნები, რომლებიც უნდა გადასულიყო კერძო საკუთრებაში, თავად დირექტორების მხრიდან იძარცვებოდა, მანქანა-დანადგარები ჯართის ფასად იყიდებოდა საზღვარგარეთ, სწორედ ამ ვითარებაში ჩანს ნათლად საზოგადოების მანკიერი მენტალობა. ისინი ვერ აღიქვამდნენ, რომ ამჟამად უკვე არა სახელმწიფოს, არამედ საკუთარ თავებს ჰპარავდნენ და ძარცვავდნენ.

რესპონდენტებს მეექვსე შეკითხვა დავუსვით საქართველოს განვითარების დონის შესახებ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს. რესპონდენტებმა მოიშველიეს სტატისტიკა და ზოგიერთმა მათგანმა ისიც კი განაცხადა, რომ საქართველო იმჟამად ბალტიისპირეთზე განვითარებული ეკონომიკის მქონე იყო. თუმცა აქ საქმე სადავოა, რადგან საბჭოთა კავშირი, როგორც ვიცით, შრომის ანაწილებდა რესპუბლიკებზე იმგვარად, რომ შესაძლო იყო საბოლოო მსპ-ში ერთი კონკრეტული საბოლოო პროდუქტი 4-5 საბოლოო პროდუქტის სახით შესულიყო,

რადგან ყოველი რესპუბლიკის მსპ ცალკე ითვლებოდა და შემდეგ ჯამდებოდა. ამდენად დასკვნა - საკმაოდ რთულია საბჭოური ეკონომიკის პარამეტრის შედარება ახლანდელთან.

დიაგრამა 14. რესპონდენტთა დაჯგუფება "საქართველოს ეკონომიკის ჩამორჩენილობა (თუნდაც ბალტიისპირეთთან შედარებით) გამოიწვია იმან, რომ 1992-1993 წლებში საქართველოს მთავრობა რეფორმების განხორციელებისგან თავს იკავებდა" მოსაზრებისადმი დამოკიდებულების მიხედვით



შედგენილი: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

რაც შეეხება მეშვიდე შეკითხვას, აქ ჩვენ რესპონდენტებს ვთხოვეთ, გაეხსენებინათ 1992-1993 წლები, პერიოდი, როდესაც მთავრობა განსაკუთრებით არარეფორმატორული ხასიათით გამოირჩეოდა. შემდეგ შევუპირისპირეთ წინა კითხვაზე მათი პასუხი, რომ საქართველოს ეკონომიკა 1990 წლამდე მაღალგანვითარებული იყო და ვკითხეთ, სწორედ ამ ორწლიანმა უძრაობამ ხომ არ გამოიწვია თუნდაც ბალტიისპირეთთან შედარებით საქართველოს ამდენად ჩამორჩენილობა ეკონომიკური თვალსაზრისით. რესპონდენტთა უმეტესობას პასუხის გაცემა გაუჭირდა, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველომ 90-იანი წლების დასაწყისში უძრაობა არა მხოლოდ რეფორმების არქონის გამო განიცადა, არამედ ამას ბევრმა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა გარემოებამ შეუწყო ხელი. იმდროინდელი მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელმა გვიაშბო, თუ რამდენად პატრიოტულ მოტივებზე ხდებოდა მთავრობის დაკომპლექტება და რეალურად საკმაოდ ცუდი იყო ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის. მათ გაიხსენეს, რომ ბალტიისპირეთის ზოგიერთ ქვეყანაში მინისტრის პოსტზე ყოფილი საბჭოთა თანამდებობის პირი დანიშნეს, რადგან პრიორიტეტი განათლებულ კადრებზე კეთდებოდა. საქართველოში კი დაიწყეს ყველანაირ საბჭოურთან ბრძოლა და მთავარი იყო პატრიოტული

სულისკვეთება იმისთვის, რომ თანამდებობაზე დაენიშნათ პირი. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მნიშვნელოვანი „მომენტები“ გაუშვა საქართველომ ხელიდან, გამოუცდელი, საჭირო კვალიფიკაციის უქონელი სახელმწიფო მოხელეების ხელში.

ამის შემდეგ უკვე დავინტერესდით თავად ლეშეკ ბალცეროვიჩის საქართველოში ვიზიტით. პირველ რიგში გვინტერესებდა იმ პირების აზრი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ დახვედრისა და მოლაპარაკებების პროცესში. ამ პერიოდის დახასიათებისას არაერთი სამეცნიერო სტატია თუ წიგნი დადებითად აფასებს ლეშეკ ბალცეროვიჩის საქართველოში ვიზიტსა და მის მიერ განხორციელებულ საქმეს. ამას აღნიშნული რესპონდენტები არ დაეთანხმნენ და განაცხადეს, რომ ის, რისთვისაც ბალცეროვიჩის სამუშაო ჯგუფი ჩამოიყვანეს, სწორედ რომ ემსახურებოდა მიზანს, რათა რეფორმებისადმი რწმენა ჩაენერგათ. ისინი პროცესს უწოდებენ კარგ PR-ს და რეალობისგან ძალიან განსხვავებულ მოვლენას. ახალგაზრდა ექსპერტები დადებითად აფასებენ ამ მოვლენას და თვლიან, რომ იმ ადამიანის ვიზიტი საქართველოში, რომლის რეფორმებიც უნდა მორგებოდა ქვეყანას, უმნიშვნელოვანესი იყო.

ბოლო შეკითხვა ლოგიკურად მივაბით წინას და რესპონდენტებისგან შევეცადეთ გაგვერკვია თუ ფლობდნენ ისინი რაიმე ტიპის ინფორმაციას, სადაც დასტურდება, რომ ლეშეკ ბალცეროვიჩი იცნობდა საქართველოს ეკონომიკას და მის მდგომარეობას. ახალგაზრდა ექსპერტების უმეტესობამ პასუხი ვერ გაგვცა ან ივარაუდა, რომ შესაძლოა სცოდნოდა, ხოლო იმ ადამიანებმა, რომლებსაც უშუალო კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ ბალცეროვიჩის სამუშაო ჯგუფთან, განაცხადეს, რომ სტუმრები სავსებით არ იცნობდნენ არა თუ საქართველოს ეკონომიკას, არამედ საქართველოს შესახებ ელემენტარული ცოდნაც კი არ ჰქონდათ. თუმცა რადგან ქვეყანა იყო პოსტსაბჭოთა სივრცე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ პოლონეთის მსგავსი შედეგების მიღწევა 10 პუნქტიან გეგმას ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო. საქართველოს მთავრობა კი როგორც ვნახეთ სტატისტიკურადაც და კვლევის შედეგებითაც, თავს არიდებდა რადიკალურ რეფორმებს ზოგიერთ სფეროში, რამაც საბოლოოდ ბალცეროვიჩის სამუშაო ჯგუფის ვიზიტი არაეფექტიანი გახადა.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ რეფორმებს სჭირდება შორსმჭვრეტელობა და საჭიროა წარსულზე დაყრდნობით აწმყოს გაანალიზება და მომავლის დაგეგმვა. ვითარებაში, როდესაც ლეშეკ ბალცეროვიჩს არანაირი ცოდნა არ ჰქონდა

საქართველოს ეროვნული კულტურის და სოციუმის შესახებ, უპრიანია ვივარაუდოთ, რომ განხორციელებული ვიზიტი მთავრობის მხრიდან ემსახურებოდა მხოლოდ ხალხში მთავრობისავე რეიტინგის გამყარების საქმეს. ეს ფაქტი ადასტურებს მოვლენას, როდესაც ერთი ქვეყნის ეფექტიანი რეფორმა და ერთ საზოგადოებაში დამკვიდრებული ეფექტიანი ინსტიტუტი, მეორე ქვეყნისთვის შეიძლება არაეფექტიანი აღმოჩნდეს. აღნიშნულ პროცესს ხელი მთავრობის მხრიდან ექსპერტის რეკომენდაციების გაუთვალისწინებობამ შეუწყო პირველ რიგში. გარდა ამისა, ინსტიტუციური მეხსიერების როლი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების დროს უმნიშვნელოვანესია. საბოლოოდ, დროში გაწელილად, თუმცა მაინც განხორციელდა „ბალცეროვიჩის გეგმის 10 პუნქტი“ საქართველოში. ლემეკ ბალცეროვიჩი 2020 წელს ეწვია საქართველოს და გამოვიდა მოხსენებით აუდიტორიის წინაშე, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინსტიტუციური სიჯანსაღე, სახელმწიფო რეგულაციების სიმცირე, ბაზრის თავისუფლება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა არის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი პირობა. ამჯერად მისი რეკომენდაციები ეხებოდა საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებლობას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და კერძო სექტორის გაძლიერებას. მან ასევე მიანიშნა იმაზეც, რომ 90-იან წლებში მისი ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები, საქართველოს მთავრობამ არ (ან ვერ) გაითვალისწინა. ამ განცხადებამ, ჩატარებული კვლევის შედეგები და გამოთქმული შეფასებები გახადა მეტად ავთენტური.

თავი 2. საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და პერსპექტივები

2.1. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ინსტიტუციური რეფორმების გატარებისას

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა დაიწყო. 1992 წელს ქვეყანა გაეროს წევრი გახდა და 1993 წელს გაეროს პირველ მისიას უმასპინძლა. თავდაპირველად გაეროს საქმიანობა უფრო მეტად დაკავშირებული იყო ჰუმანიტარულ დახმარებებთან, ხოლო შემდეგ პერიოდებში უფრო მეტად გახდა ორიენტირებული მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) ინტერესების სფეროში შემავალი სექტორების ინსტიტუციურ გაძლიერებაზე. ამავე 1992 წელს საქართველო გახდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) წევრიც, როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ნაწილი. ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია ჯანდაცვის კუთხით ძლიერი ინსტიტუციების დანერგვისკენ.

მსოფლიო ბანკი (WB) საქართველოში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი ორგანიზაციაა მსოფლიოს მასშტაბით. მისი ინტერესის სფეროებია განათლების, საჯარო მმართველობის, ინფრასტრუქტურისა და ბიზნეს გარემოს გაუჯობესების მხრივ განხორციელებული რეფორმები. მსოფლიო ბანკი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მხარს უჭერს ძლიერი ინსტიტუტების ფორმირების საკითხში მთავრობებს, რომლებიც გააუმჯობესებენ ფისკალურ ზედამხედველობას, უზრუნველყოფენ ბიუჯეტირების პროცესის სიჯანსაღეს, სოციალური სერვისების მაღალი დონით მიწოდებას და ა.შ. საქართველოში გატარებულ პროექტებს განაგებს მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის დირექტორატი და მათი ძირითადი მიზანია ქვეყნის ინკლუზიური ზრდის მიღწევა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დასტაბილურების გზით, ასევე ინვესტიციების ზრდა ადამიანურ კაპიტალში და კერძო სექტორის გაძლიერება. სახელმწიფო თავის მხრივ ცდილობს მსოფლიო ბანკის სტანდარტებს მოერგოს და საქართველო მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე ქვეყანა გახდეს გლობალურ ასპარეზზე და მიაღწიოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. მსოფლიო ბანკმა საქართველოში ასზე მეტი


პროექტი განახორციელა, რომლებიც მიმართული იყო ქვეყნის განვითარებისაკენ და რთულ სიტუაციებში მსოფლიო ბანკი საქართველოს გვერდით ედგა, როგორც იაფი ფულადი რესურსით, ისე რეფორმის პროცესში პრიორიტეტული მიმართულებების სწორად განსაზღვრის საკითხში (სარეკომენდაციო ჩართულობის კუთხით). მსოფლიო ბანკი და საქართველოს მთავრობების ერთობლივი, შეთანხმებული ურთიერთქმედების შედეგად გარდამავალი პერიოდი საქართველოსათვის ნაკლებად მტკივნეული გამოდგა გარკვეულ ასპექტებში. საქართველო მსოფლიო ბანკში ერთ-ერთ „მსუბუქწონიან“ (0.11) სახელწიფოს წარმოადგენს, თუმცა მსოფლიო ბანკის მიერ გახორციელებული პროექტები და მათი თანხობრივი მაჩვენებლები საკმაოდ კოლოსალურია და 1992 წლიდან მოყოლებული, ტრანსოფორმაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა სწორედ მისი დახმარებით.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) სრულუფლებიან წევრობაზე საქართველომ 1997 წელს გააკეთა განაცხადი, მაგრამ ამ პროცესს წინ 3 წლიანი მოლაპარაკებების სერია ჰქონდა. ხოლო თავად ორგანიზაციის მხრიდან 5 წელი მიეცა ქვეყანას, რათა გაეტარებინათ იმგვარი ინსტიტუციური ცვლილებები, რომ საბოლოოდ ქვეყანა მზად ყოფილიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობისთვის. საბოლოოდ 2000 წელს მცდელობა წარმატებულად დასრულდა და საქართველო გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, რაც ქვეყანას ბევრ სიკეთეს უქადდა. ამ მოვლენამ კიდევ უფრო გაამლიერა გლობალიზაციასა და საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს ჩართულობა. დაიხვეწა საკანონმდებლო სისტემა - უფრო მეტად დაუახლოვდა ევროპულს. საექსპორტო პროდუქცია დაცულ იქნა დისკრიმინაციული ქმედებებისაგან და თავად ექსპორტიორების დავები საერთაშორისო სავაჭრო სამართლის განსჯის ობიექტი გახდა, ასევე ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახდა ქვეყანა, რადგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის მეტ-ნაკლებ სტაბილურობას განსაზღვრავდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ძირითადი მოთხოვნა საქართველოსადმი იყო სავაჭრო ტარიფების ჰარმონიზება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტანდარტებთან და არ უნდა გაზრდილიყო. ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტს წარუდგინა ცვლილებები, რომლებიც უნდა შესულიყო საქართველოს კანონში „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ“. შემდეგი მოთხოვნა

შეეხებოდა მომსახურებით ვაჭრობის სფეროს და მის რეგულაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით საქართველოს ინსტიტუციური ბაზა საკმაოდ პროგრესული გამოდგა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით იგი აღქმულ იქნა ლიბერალურად და უცხოელ მომსახურების მომწოდებლებს ზოგიერთი საქმიანობის სფეროში, როგორცაა სამშენებლო, სადაზღვევო, საბანკო და სხვ., დაუწესდათ გარკვეული შეზღუდვები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფის მთავარ მიზანს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ეკონომიკური დოვლათის შექმნის პროცესის მთელი ჯაჭვის საკანონმდებლო ბაზის მიახლოება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან და სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი ინსტიტუციების ჩამოყალიბება, რაც უცხოელ თუ ადგილობრივ მეწარმეებს საშუალებას მისცემდა ჯანსაღ გარემოში განხორციელებინათ ეკონომიკური საქმიანობა.

მსოფლიო ბანკისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ფარგლებში (IDA) განხორციელებული ქვეყნის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროექტებზე საუბრისას მნიშვნელოვანია, რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლები გაანალიზდეს. (World Bank, 2019)

დიაგრამა 15. მსოფლიო ბანკის პროექტები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში 1995-2018 წლებში (რაოდენობრივი და ფინანსური)



წყარო: World bank, 2019, (10.11.2019)

დიაგრამაზე მოყვანილია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პროექტებზე მსოფლიო ბანკის დაფინანსება და განხორციელებული პროექტების რაოდენობა. მასზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კავკასიის რეგიონში

საქართველო მსოფლიო ბანკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სუბიექტია და ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით მსოფლიო ბანკისთვის საქართველო უფრო მეტად სტრატეგიულია პროექტების თვალსაზრისით. საქართველოს საგარეო ვალის დიდი ნაწილი სწორედ მსოფლიო ბანკზე მოდის. საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება მსოფლიო ბანკის პირდაპირ ინტერესს წარმოადგენს, რომ იყოს მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე. იმისათვის, რომ საქართველო იყოს მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე და შეძლოს კრედიტორებთან ანგარიშსწორება, საჭიროა მსოფლიო ბანკის ინვესტიციები ისეთი სფეროების განვითარებას მოახმაროს, რომლებიც ქვეყანას მაღალ კონკურენტუნარიანობას მოუტანს. საქართველოს ხელისუფლებამ ტურიზმის განვითარება დაისახა 2000 წლის შემდეგ პერიოდში მიზნად და სწორედ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტები ინფრასტრუქტურული რეკონსტრუქციისათვის მართლაც მნიშვნელოვანი გამოდგა ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის.


ევროკავშირი (EU) გახლავთ ის ინსტიტუცია, რომელიც ზრუნავს მეზობელი ქვეყნების განვითარების, სოციალური კეთილდღეობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. საქართველო ევროპის სრულუფლებიანი ნაწილია და მან თავისი გეზი ევროპასთან ღრმა ინტეგრაციაზე ჯერ კიდევ სულხან-საბას დროს აიღო, თუ უფრო ადრე არა. რაც შეეხება დამოუკიდებლობის პერიოდს, ყველას კარგად გვახსოვს, ალბათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გამოსვლა 1999 წლის 27 იანვარს, ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, და მისი გამოსვლისას წარმოთქმული ეს ფრაზა: "მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!". 2019 წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აღნიშნული პრინციპული განცადების 20 წლისთავზე, სტრასბურგში, ევროსაბჭოს სასახლის წინ ზურაბ ჟვანიას ვარსკვლავი გაიხსნა, რომელზეც ეს ფრაზაც არის დატანილი. ამ ცნობილი გამოსვლიდან 15 წლის შემდეგ კი 2014 წლის 27 ივნისს, ქალაქ ბრიუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და ვიზალიბერალიზაციაა ამ ეპოქის დიდი მონაპოვარი ქართველთათვის და ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე ეს პროცესები ევროკავშირში ინტეგრაციით დაგვირგვინდება.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე, კერძოდ 1996 წელს საქართველო ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „პარტნიორობისა და თანამშრომლობის“ შესახებ, რომელიც 1999 წლიდან ძალაში შევიდა. ამ შეთანხმებით თანამშრომლობის ეფექტიანობის ასამაღლებლად სხვადასხვა ერთობლივი ინსტიტუტი შეიქმნა. თუმცა იმდროინდელი საქართველოს შიდა მდგომარეობამ და უსაფრთხოების დაბალმა დონემ არაერთი პრობლემა წარმოშვა, რამაც საბოლოოდ უარყოფითად იმოქმედა თანამშრომლობის გაღრმავებაზე. ამას ისიც დაერთო, რომ კორუფციის დონე საკმაოდ მაღალი იყო და ის დახმარებები არაკეთილსინდისიერად ნაწილდებოდა; ამან, თავის მხრივ, ის გამოიწვია, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობის რიგი სიკეთეები მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობაზე ვერ აისახებოდა.

ევროკავშირის ბაზარი თუ გაიხსნა ბარიერულად საქონელმომოცვლის გზით, სტანდარტების კუთხით შეზღუდულია და ხარისხის და წარმოების პროცესის უმაღლეს დონეს მოითხოვს, რაც მეწარმეებს აიძულებს მაღალტექნოლოგიური წარმოების პროცესის განხორციელებას. ევროკავშირი-საქართველოს თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ევროკავშირისას მიუახლოვოს, ასევე განახორციელოს რეფორმები იმ მიმართულებებით, როგორებიცაა: სახლმწიფო შესყიდვები, ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერები, საბაჟო და მომსახურებითი ვაჭრობა (ელექტრონული კომუნიკაცია, ტრანსპორტი, ფინანსური მომსახურება, ფოსტა და საკურიერო მომსახურება), სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები.

დიაგრამა 16. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 1995-2018

წლები (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, (10.11.2019)

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა მზარდია, რაც ძალიან პოზიტიურად შეგვიძლია შევაფასოთ იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის ბაზარი მაღალი სტანდარტის საქონელს მოითხოვს. ეს ფაქტი მეწარმეებს უბიძგებს მაღალი სტანდარტების დამაკმაყოფილებელი პროდუქციის შექმნისკენ. რაც პირდაპირ უკავშირდება მაღალტექნოლოგიური წარმოების პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში საქართველოს ეკონომიკას ძალიან არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა, ქართველი მეწარმეები მაინც ცდილობდნენ ევროკავშირის ბაზარზე შეეღწიათ.

ევროკავშირმა საქართველოს დახმარება 1992 წელს დაიწყო პროექტით „ექო“ (ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების ოფისი) და გააგრძელა ისეთი პროექტებით, როგორცაა „ტასისი“ (TACIS - Technical Assistance to the Commonwealth of Independent States ტექნიკური დახმარება დსთ-სთვის), „სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა“ (TSP), „მაკროფინანსური დახმარება“ (MFA) და „ევროპული ინიციატივა დემოკრატიისათვის და ადამიანის უფლებებისათვის“ (EIDHR). (ევროკომისიის წარმომადგენლობა, 2004)

ცხრილი 1. 1992-2004 წლებში საქართველოსათვის გამოყოფილი ევროკავშირის გრანტები (მილიონი ევრო)

	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	1992-2004
„ტასისი“	13		10		16		16		15		14		27	111
„ეკო“	12		45		16		13		4		4		4	98
„ფეოგა“			41		22									63
საგანგებო ჰუმანიტარული დახმარება	6													6
სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა					34		12				25			71
კონფლიქტური ზონების რეაბილიტაცია					8		4		5				3	20
მაკროფინანსურ დახმარება							19		6				7	32
დახმარება რუსეთის ფინანსური კრიზისის შედეგების აღმოსასვლელად							4							4
ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP) და სწრაფი რეაგირების მექანიზმი (RRM)									2		2		5	9
ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის											2		2	4

სულ

31	96	96	68	32	47	48	418
----	----	----	----	----	----	----	-----

წყარო: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 2019, (10.11.2019)

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) ჯერ კიდევ 1991 წლიდან ჩაერთო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის საქმიანობაში და უკვე 1992 წლიდან საქართველო გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის მიზანს საქართველოში წარმოადგენდა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად რეკომენდაციების გაწევა. საქართველოს მთავრობა 1993 წლამდე მძიმე მდგომარეობაში იყო, რაც განაპირობა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ და საომარმა ვითარებამ. სწორედ ამიტომ ამ პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ნაკლებად იქნა გათვალისწინებული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, 1994 წლიდან საქართველოს მთავრობამ ამ რჩევების გათვალისწინება დაიწყო. მთავრობამ შეიმუშავა „ანტიკრიზისული პროგრამა“ და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებმაც უკვე მოთხოვნის ხასიათი მიიღო და ამან საქართველოს ეკონომიკას რიგი წარმატებაც მოუტანა. ყველაზე დიდი პროგრესი კი ამ კუთხით საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე ორიენტირება გახლდათ საფინანსო კანონმდებლობის მოწესრიგებით, ინფლაციის შემცირებითა და ფულის რეფორმის გატარებით, ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციით, ყოველწლიური დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტით, ორდონიანი საბანკო სისტემის შექმნით, სახელმწიფო ბანკების პრივატიზებითა და საგარეო ვალების რესტრუქტურისაციის შედეგად ქვეყნისთვის გადამხდელუნარიანი იმიჯის ჩამოყალიბებით.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს დიდი როლი მიუძღვის საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ექსპერტ ეკონომისტთა ნაწილი ღიად საუბრობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაშვებულ შეცდომებზე საქართველოსთან მიმართებით. შეცდომებს ყოფენ: პოლიტიკურ, მეთოდურ, მეთოდოლოგიურ, ფასწარმოქმნის ფაქტორების უგულებელყოფით, ტრაფარეტულ, დაბნეულობით, ლობირებით, წაყრუებითი ხასიათის, ტაქტიკურ და კომპეტენციის გადამეტებით დაშვებულ შეცდომებად. (პაპავა, ვ. 2015, 74) ამ შეცდომებმა კი საბოლოოდ

გამოიწვია ის, რომ ინსტიტუციების ეფექტიანობა შეზღუდა და ქვეყანა შეიყვანა „ინსტიტუციურ ხაფანგში“. ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის სიტუაციაზე პასუხისმგებლობის დაკისრება სუბიექტური იქნება და უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველომ თავისუფლების აღდგენის შემდეგ იმდენად მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობა მიიღო, რომ ქვეყანას რიგი ფინანსური, მმართველობის ნიჰილისტური თუ სხვა მსგავსი ხასიათის სირთულეების გამკლავება, მარტივად რომ ვთქვათ, მძიმე ტვირთად დააწვა.

კაცობრიობის არსებობის განუყოფელი ნაწილია ნორმების არსებობა, რომლებიც ფორმირდება ინსტიტუტებად და აწესრიგებს სხვადასხვა სფეროში საზოგადოების ურთიერთობას. ინსტიტუტები შეიძლება იყოს ეფექტიანი და არაეფექტიანი, სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ჯანსაღი იქნება ის გარემო, სადაც ნორმებია დამკვიდრებული. (სურმანიძე, ნ. 2018) აღსანიშნავია ის, რომ ინსტიტუტს, როგორც მოვლენას, ახასიათებს წარსულზე დამოკიდებულება⁵. რაც გულისხმობს იმას, რომ მისი მომავალი განვითარება მეტწილად დამოკიდებულია წარსულ მდგომარეობაზე. (Puffert, D. (edited by R. Whaples). 2008) თუ წარსულ მდგომარეობად განვიხილავთ საბჭოთა კავშირს, კავშირზე დამოკიდებულების ეფექტით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში წარსული მანკიერი ზეგავლენა ცუდ შედეგებს მოიტანდა. სწორედ ამ მოვლენას ასახავს ტერმინი „ინსტიტუციური ხაფანგი“. ეს გულისხმობს სიტუაციას, როდესაც homo transformaticus ანუ გარდამავალი პერიოდის ადამიანი (პაპავა, ვ. 2007) აკეთებს არჩევანს მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით და მისთვის მისაღებია ყოველგვარი კანონდამრღვევი ქმედება. სწორედ მსგავს სიტუაციებში ყალიბდება „ინსტიტუციური ხაფანგები“, რომელთა აღმოფხვრა საქართველოში დღემდე რჩება ძირითად პრობლემად, რომელთა გადაჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყანაში ჯანსაღი გარემოს ფორმირებისთვის.

2.2. უცხოური გამოცდილება და პერსპექტივები

ფართომასშტაბიანმა რეფორმებმა, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში გატარდა 90-იან წლებში, ცხადყო, თუ რამდენად საჭიროა ინსტიტუციური ეკონომიკური

⁵ ნათარგმნია ავტორის მიერ ტერმინიდან „Path dependence“

განვითარების თეორიის განვითარება და, ამავე დროს, აჩვენა თუ რამდენად არადადამაკმაყოფილებელი იყო მისი იმჟამინდელი მდგომარეობა. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, განსაკუთრებით კი რუსეთმა, მწარე გაკვეთილები გამოსცადეს საკუთარ თავზე „ინსტიტუციური ხაფანგების“ ჩამოყალიბების მხრივ. რუსეთის გარდაქმნები ნებისმიერ სფეროში კრახით დასრულდა. ექსპერტების შეფასებები ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით არ გამართლდა და სახელმწიფომ დაიწყო ფასების ნებისმიერი გზით დასტაბილურება, რამაც გადასახადებისგან თავის არიდების გზების დამკვიდრება და ბარტერული ინსტიტუტების ჩამოყალიბება გამოიწვია. ფაქტობრივად ბარტერული ეკონომიკა ახალ საფეხურზე გადავიდა. საგადასახადო სისტემის რეფორმის მცდელობამ ჩრდილოვან ეკონომიკას ჩაუყარა საფუძველი. რესურსებზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტებამ, რისი თეორიული საფუძველიც იყო კონკურეტული გარემოს ფორმირება, რეალურად წარმოშვა მაღალი დონის კორუფცია. შოკურმა პრივატიზაციამ ეფექტიანი კერძო საკუთრების ნაცვლად ჩამოაყალიბა არაეფექტიანი ორგანიზაციული ფორმა ღია სააქციო საზოგადოებისა, რომელიც თანამშრომლებს საკუთრებაში გადასცემდა საწარმოს. ყველა ამ მეტამორფოზის ფონზე წარმოების დონე მკვეთრად შემცირდა. (სურმანიძე, ნ. 2018)

მსგავსი გამოცდილება ომის შემდეგ პერიოდში ამა თუ იმ ფორმით დასავლეთმა ევროპამ მიიღო, ხოლო განსაკუთრებულად - სამხრეთი აზიისა და ლათინოამერიკის ქვეყნებმა. (სურმანიძე, ნ. 2018)

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველა ინსტიტუტი ეკონომიკისთვის ეფექტიანი ვერ იქნებოდა. სწორედ იმის დადგენა, თუ რატომ ხდება ზოგიერთი ინსტიტუტი არაეფექტიანი, წარმოადგენდა ვებლენის, არტურის, ნორტის და სხვ. მკვლევართა ნაშრომების მიზანს. არტური თავის იდეებს ამყარებდა დინამიკური მოდელებით, რომლებსაც აკავშირებდა ტექნიკურ პროგრესთან. ხოლო ნორტი აღნიშნავდა, რომ არტურის მიერ აღწერილი მექანიზმები დიდ როლს თამაშობდნენ ინსტიტუციონალიზმის ევოლუციაში და განსაკუთრებით გამოყოფდა 2 ფაქტორს, რომლებიც, მისი აზრით, განსაზღვრავდნენ ინსტიტუციური გარდაქმნების მიმართულებებს: მასშტაბის ეფექტის გავლენა და ტრანზაქციული დანახარჯები.

სწორედ არტურისა და ნორტის იდეების გამოყენებით აღწერენ არაეფექტიანი ინსტიტუტების ფორმირების სქემას. (სურმანიძე, ნ. 2018)

პოლეროვიჩის ნაშრომებზე დაყრდნობით, „Институциональные ловушки и экономические реформы // Экономика и математические методы“, „Элементы теории реформ“, „Стратегии институциональных реформ. Перспективные траектории“. „ინსტიტუციურ ხაფანგში“ იგულისხმება არაეფექტური, მაგრამ სტაბილური ინსტიტუტი (ნორმა), ანუ სხვა სიტყვებით „ინსტიტუციური ხაფანგი“ ეს არის ნეშის წონასწორობა პარეტოს ოპტიმალურობის გარეშე. „ინსტიტუციური ხაფანგის“ ჩამოყალიბებას ის უკავშირებს ფაქტორთა სამ ჯგუფს: ფუნდამენტური ფაქტორები - რესურსებთან და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებთან დაკავშირებულნი და სისტემის მაკროეკონომიკური თვისებები; ორგანიზაციული ფაქტორები - არსებული კანონმდებლობა და ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავენ ბაზარზე მოქმედების წესებს; სოციალური ფაქტორები - არსებული მოლოდინები და სოციალური ურთიერთობების სტერეოტიპები. ნორმად შეიძლება იქცეს როგორც კორუფცია, ისე სამუშაოს „პატიოსნად“ შესრულება. თუ რომელი მათგანი იქნება დომინანტი, დამოკიდებულია ფუნდამენტურ ფაქტორებზე, როგორცაა შრომის ანაზღაურება, კორუფციის კონტროლის მექანიზმები და დასჯის ღონისძიებები; სოციალურ ფაქტორებზე, როგორცაა თანამშრომლებისა და კლიენტების მზადყოფნა კორუფციასა და გამოძალვაში ჩართვისათვის. (სურმანიძე, ნ. 2018)

არტური და ნორტი თავიანთ ნაშრომებში „Shared mental models: Ideologies and institutions“, „Институты, институциональные изменения и функционирование экономики“ და სხვ. თვლიდნენ, რომ ნორმების ფორმირება დამოკიდებულია მოულოდნელ გარემოებებზე. მათი მოსაზრებები მოქმედია მხოლოდ უნიკალურ და განუმეორებელ შემთხვევებში. თუ მაგალითად ლიბერალისტური რეფორმების თანამდევია კორუფციის ზრდა, მაშინ, ცხადია, უნდა ვეძებოთ ასეთი ნორმის აღმოცენებისა და დამკვიდრების არსებითი მიზეზი. ამ შემთხვევაში, როგორც ფუნდამენტური, ისე ორგანიზაციული ფაქტორები შეიძლება იყოს გადამწყვეტი. (სურმანიძე, ნ. 2018)

„ინსტიტუციური ხაფანგების“ სისტემის აღსაქმელად საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ტრანზაქციული ხარჯები და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის

ხარჯები. ეგერტსონი ხსნიდა ტრანზაქციულ დანახარჯებს თავისი სტატიებით. იგი ტრანზაქციულ დანახარჯებს განსაზღვრავს განზოგადებული გაგებით, როგორც ამა თუ იმ ნორმებში მოქცეული ურთიერთმოქმედების ხარჯები. ჩინოვნიკისათვის, რომელმაც ქვევის ნორმად აირჩია კორუფცია, მექრთამეობა წარმოადგენს ტრანზაქციულ დანახარჯს.

ერთი ნორმიდან მეორეში გადასვლა წარმოადგენს ინსტიტუციური ტრანსფორმაციის დანახარჯს ან, მოკლედ, ტრანსფორმაციულ დანახარჯს. ფართომასშტაბიანი რეფორმების დროს ტრანსფორმაციული დანახარჯები ტვირთად აწვება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ისე კერძო ფირმებს.

ნებისმიერ ტრანსფორმაციას, განსაკუთრებით ფართო მასშტაბიანს, მივყავართ ამა თუ იმ სისტემის დეზორგანიზაციამდე და ზრდის ადაპტაციის ხარჯებს. ამიტომ რეფორმის ნებისმიერი პროექტი უნდა შეიცავდეს შესაბამისი ხარჯების შეფასებას. (სურმანიძე, ნ. 2018)

იმისათვის, რომ მოქმედების ნორმა იყოს მდგრადი, ინდივიდებისთვის არ უნდა იყოს მომგებიანი მისგან გადახრა. მდგრადობა ერთი მხრივ, უნდა განაპირობოს ამა თუ იმ ნორმის შესრულებლობის მიმართ უარყოფითმა უკუკავშირმა. ასეთი მექანიზმი შეიძლება დაეყრდნოს ინდივიდუალური მოსაზრებების სტრუქტურას. ხოლო, მეორე მხრივ, ნორმის არშესრულება ითვალისწინებს კანონით გაწერილ სანქციებს. მესამე და ყველაზე საინტერესო სტაბილიზაციის მექანიზმი კი დაფუძნებულია ეგრეთ წოდებულ კოორდინაციის ეფექტზე, რომელიც გამოხატულია სპეციალური სახის გარეგანი ეფექტებით. რაც უფრო მეტად იცავს საზოგადოება ამა თუ იმ ნორმას, მით უფრო მეტი ხარჯი აქვს მის არდამცველ ინდივიდს. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ დროთა განმავლობაში დომინანტი ნორმის შესრულების ტექნოლოგია და ნორმის შესრულების მეთოდები იხვეწება (სწავლების ეფექტი). საბოლოოდ კი ნორმათა ერთობლიობა ქმნის სისტემას და ნორმის არშესრულება გამოიწვევს სისტემაში ჯაჭვურ რეაქციას. ეკონომიკური სუბიექტების შემთხვევაში აგენტების მოქმედების კოორდინაცია ამცირებს ტრანზაქციულ დანახარჯებს, ხოლო მათი არშესრულება აგენტს აგდებს არამომგებიან სიტუაციაში ანუ გაუზრდის ტრანზაქციულ დანახარჯებს. (სურმანიძე, ნ. 2018)

ამგვარად ნორმების დამკვიდრების პროცესში ტრანზაქციისა და ტრანსფორმაციის ხარჯები უკუპროპორციულად იზრდება. ნორმის შეცვლის პირობებში აგენტებს შორის ტრანზაქციული დანახარჯები არათანაბრად ნაწილდება. (სურმანიძე, ნ. 2018)

თუ მოვიშველიებთ ზოოლოგიის ტერმინებს, „ინსტიტუციური ხაფანგების“ ევოლუციის სამი ძირითადი ფორმა შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, ესენია: მუტაცია, ინდივიდუალური ინსტიტუტების ელემენტების რეკომბინაცია და სიმბიოზი. ამათგან ყველაზე საინტერესოს ბოლო მათგანი, სიმბიოზი წარმოადგენს. ინსტიტუტი-ხაფანგი და მისი კონკურენტი ინსტიტუტი წარმოადგენენ ერთიან სისტემას, რომელსაც აზრი ეკარგება ერთ-ერთი მათგანის არარსებობით. შესაბამისად, ინსტიტუტი კონკურენტი არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, რადგან მისი ფორმირება მოხდა „ინსტიტუციურ ხაფანგში“. სწორედ ამ „გადაჯაჭვულობის“ ეფექტს ეწოდება სიმბიოზი. როდესაც განვიხილავთ ნებისმიერ საზოგადოებას, უნდა ჩავთვალოთ, რომ ისეთი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ყველა შემთხვევაში დაიცავენ ნორმებს, უხეშად რომ ვთქვათ „წესიერი“ ადამიანების რაოდენობა საშუალოდ 10%-ია, „არაწესიერი“ ანუ ნორმების აქტიურად დამრღვევთა რაოდენობაც იგივე 10%-ია, ხოლო 80% ადამიანებისა ნეიტრალურია და ბაძავს დომინანტს. შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებაში ეფექტიანი ინსტიტუცია დამკვიდრდება თუ არაეფექტიანი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი გაიმარჯვებს ამ ორიდან. (სურმანიძე, ნ. 2018)

პოლტეროვიჩის მიხედვით „ინსტიტუციურ ხაფანგებზე“ საუბრისას უნდა განვიხილოთ ბარტერი, კორუფცია, გადასახადებისგან თავის არიდება და ვალდებულებების მასობრივი შეუსრულებლობის პრობლემები, რომლებმაც რუსეთის ეკონომიკა უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო. გარდა ამისა, რუსეთში თავი იჩინა ინსტიტუციურმა „მუტანტებმა“, წარმოების ახალი ფორმის ჩამოყალიბების, ღია სააქციო საზოგადოების სახით. ამ ტიპის საწარმოების განახლება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან როდესაც საწარმო ეკუთვნის მასში მომუშავეებს, მენეჯერს არ შეუძლია მასობრივად გაათავისუფლოს თანამშრომლები, რადგან, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მან დაკარგოს სამუშაო. ბევრ რუსულ ფირმას აქვს თანამშრომელთა ჭარბი კადრების რაოდენობა და განიცდის მმართველების დაბალ კვალიფიკაციას. ამასთან,

პარადოქსული ორგანიზაციული ფორმა წინ ეღობება შრომაზე დანახარჯების არსებითად შემცირებას და ახალი მენეჯერების მიზიდვას.

თუ სისტემაში დომინირებს ეფექტიანი ნორმა, ძლიერმა დარღვევებმა, თუმცა ისეთმა რომელიც არ ცვლის წონასწორობას, შესაძლოა სისტემა ჩააგდოს „ინსტიტუციურ ხაფანგში“ და ასე დარჩება მაშინაც კი, როცა მოიხსნება დარღვევები. ეს არის ე.წ. ჰისტერეზისის ეფექტი - რომელიც ტიპური მოვლენაა ნორმის ფორმირების პროცესში და უფრო მეტიც, „ინსტიტუციური ხაფანგის“ წარმოქმნაში. უფრო ღრმა განხილვა გვიჩვენებს, რომ ტრანსფორმაციული ხარჯების არსებობას მოაქვს ახალი მდგრადი მდგომარეობები - მოქმედების შერეული ნორმები. (სურმანიძე, ნ. 2018)

შერეულ წონასწორობაში ერთი ნორმის უპირატესობა მეორეზე ბათილდება ტრანსფორმაციული ხარჯების გამო. ზოგიერთი შერეული წონასწორობა შესაძლებელია იყოს ეფექტიანი, ზოგიერთი კი - არა. ერთობლიობაში კი წარმოქმნიან მთლიან სპექტრს „ინსტიტუციური ხაფანგებისა“. (სურმანიძე, ნ. 2018)

„ინსტიტუციურ ხაფანგში“ მოხვედრისას სისტემა ირჩევს განვითარების არაეფექტიან გზას, ამასთან, დროთა განმავლობაში, ეფექტიან ტრაექტორიაზე გადასვლა შესაძლებელია არარაციონალური აღმოჩნდეს. (სურმანიძე, ნ. 2018)

„ინსტიტუციური ხაფანგიდან“ თანდათანობით გამოსვლის მეთოდები დემონსტრირებულია კორუფციაზე მიძღვნილ არაერთ ნაშრომში, სადაც გათვალისწინებულია ორი ელემენტი: ჯერ ერთი აგენტის საქციელით ფორმირდება მისი რეპუტაცია და ახდენს კუმულაციურ ეფექტს მის შემდეგ შესაძლებლობებზე. მეორედაც, აგენტის ქმედებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმიტაციურ კომპონენტებს - გამოიყენონ სხვა წარმატებული აგენტების მიერ გამოყენებული სტრატეგიები. თუმცა კორუფციული წონასწორობა შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკურად მომგებიანი აღმოჩნდეს, ხოლო საკმარისი კონკურენციის პირობებში ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება ქრთამის აღებაზე უარი განაცხადოს. ისინი, ვინც უარს განაცხადებენ მექრთამეობაზე, დროთა განმავლობაში მიიღებენ უპირატესობას სხვებთან შედარებით, მაღალი რეპუტაციით. ეს კი დაავალდებულებს სხვა ჩინოვნიკებს მათი მოქმედების იმიტირებას. რა თქმა უნდა, ფუნდამენტურ და

ორგანიზაციულ ფაქტორებს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს „ინსტიტუციური ხაფანგიდან“ სისტემის სპონტანურად გამოსვლას.

ხარჯების შერწყმის ეფექტი განაპირობებს, რომ „ინსტიტუციური ხაფანგიდან“ თავის დაღწევა, შესაძლოა არამომგებიანი აღმოჩნდეს. არაეფექტური ტრაექტორიის ერთჯერადად არჩევის შემდეგ სისტემა იძულებული ხდება, გააგრძელოს სვლა ამ ტრაექტორიაზე კრიზისში შეუსვლელად. გეგმური ეკონომიკის ევოლუცია შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მაგალითი ასეთი განვითარებისა. სახელმწიფოს უუნარობა - ნახოს „რბილი“, არამკაცრი გზა „ინსტიტუციური ხაფანგიდან“ გამოსვლისა, არის ერთ-ერთი მიზეზი სისტემური კრიზისებისა, რომლებიც დღემდე შეინიშნება რიგ განვითარებად, გარდამავალ ეკონომიკებში.

„ინსტიტუციური ხაფანგები“ რადიკალური პოზიციების სიმცდარის დემონსტრირებაა როგორც მბრძანებლური, ისე ლიბერალური მოსაზრებების მიმართ. როგორც მაგალითები გვიჩვენებს, რადიკალური გადაწყვეტილებები ყველაზე ხშირად წარმოქმნის „ინსტიტუციურ ხაფანგებს“.

ყველა ინსტიტუციური გარდაქმნისას ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული „ინსტიტუციური ხაფანგების“ პროგნოზირებისა და თავიდან აცილებისკენ. ეს ძალისხმევა უნდა გახდეს რეფორმების მომზადების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

რეფორმებისათვის ერთ-ერთი დიდი საშიშროება ისაა, რომ გარდამავალი ნორმები გახდეს მუდმივი და არაეფექტიანი გრძელვადიან პერსპექტივაში. პროტექციონისტული პოლიტიკა აუცილებელია გარკვეულ ეტაპზე, თუმცა მან შეიძლება მიგვიყვანოს არაეფექტიანი, არაკონკურენტუნარიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე და შეინარჩუნოს მუდმივი ლობიზმი. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი „ინსტიტუციური ხაფანგის“ ჩამოყალიბება, თავიდანვე უნდა დაიგეგმოს დემონტაჟი იმ ინსტიტუტისა, რომელიც გრძელვადიან პერიოდში არაეფექტიანია - შემოღებული ნორმა უნდა იყოს დროებითი და უნდა ითვალისწინებდეს თავისი თავის ავტომატურ გაუქმებას. (სურმანიძე, ნ. 2018)

კიდევ ერთი მთავარი, ასე ვთქვათ, უნივერსალური პრინციპი „ინსტიტუციური ხაფანგების“ თავიდან აცილებისა ინსტიტუციური ფორმების მრავალფეროვნების ხელშეწყობაა. იმის განსაზღვრა, თუ რომელი ინსტიტუტი რა როლს ასრულებს

ინსტიტუციურ წონასწორობაში, თითქმის შეუძლებელია და, არცთუ იშვიათად, არ არის შესაძლებელი მათი ეფექტიანობის პროგნოზირება გრძელვადიან პერსპექტივაში. რაც უფრო მდიდარია ინსტიტუციური გარემო, მით უფრო მეტი გამოსავალია „ინსტიტუციური ხაფანგიდან“. (სურმანიძე, ნ. 2018)

ამასთან, გასათვალისწინებელია უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ ერთ კულტურაში ეფექტიანი ინსტიტუტი ვერ იქნება იმის გარანტია, რომ იგი სხვა კულტურაშიც ეფექტიანი იქნება. აუცილებელია კულტურული ინერციის და ინსტიტუციური კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობის გათვალისწინება. ასევე სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების განხორციელების საწყისი ეტაპის მნიშვნელოვანი ამოცანაა გარდამავალი რენტის სამთავრობო კონტროლში გადაცემა იმისათვის, რომ გამოირიცხოს შემოსავლების დიფერენციაცია და საზოგადოების კრიმინალიზაცია, რაც „ინსტიტუციური ხაფანგის“ თავიდან არიდების შანსებს გაზრდის.

ნებისმიერი ახალი კონსტრუქციის დანერგვა, მათ შორის, ინსტიტუციურის, საჭიროებს დანერგვისა და ადაპტაციის დროს. ინსტიტუციური ინოვაციებისათვის, რომლებიც ეხება მილიონობით ადამიანის ინტერესებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეტაპის პროექტები, შუალედური ინსტიტუტების შექმნის შესაძლებლობის ჩათვლით. ინოვაციების დანერგვის პროცესში ეკონომისტები გვთავაზობენ სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც ემყარება ფორმულებს და მათ მოდელირებას. შევეცადოთ მათი საშუალებით ავხსნათ „ინსტიტუციური ხაფანგიდან“ სისტემის გამოსვლის გზები.

ავიღოთ სისტემის ინსტიტუციური მდგომარეობის ორი შესაძლო ვარიანტი: ძველი, რომელშიც სისტემა უკვე იმყოფება, და ახალი, რომელშიც სისტემა სავარაუდოდ გადავა. ამასთან ჩავთვალოთ, რომ მეორე მდგომარეობა უკეთესია ვიდრე პირველი. შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები: C_1 და C_2 - 1 ანუ ძველი და 2 ანუ ახალი ტრანზაქციული დანახარჯები, რომლებიც შეესაბამება ძველ და ახალ ინსტიტუტებს, K_0 - ტრანსფორმაციული დანახარჯები, T - დროის მონაკვეთი (საპროგნოზო გეგმის), რომლის განმავლობაში ნავარაუდევია განხორციელდეს ტრანსფორმაციული დანახარჯების კომპენსირება, r - ეფექტიანობა (პროცენტებში)

ინვესტიციებისა, რომელიც ჩაიდება ინოვაციურ ინსტიტუტებში მთელი პერიოდის (T) განმავლობაში, t - დრო (მაგ. წელი).

მაშინ ინსტიტუციური წონასწორობის მდგომარეობა აღწერილია შემდეგი ძირითადი განტოლებით:


$$\int_0^T [C_1(t) - C_2(t)]dt = (1 + r)K_0 \quad (1) \quad (\text{Балацкий Е. В. 2012})$$

ინტეგრალით გამოსახული ტოლობა გვიჩვენებს დამოკიდებულებას ტრანზაქციულ და ტრანსფორმაციულ დანახარჯებს შორის: პირველი მათგანი არის არასაოპერაციო ხარჯი, ხოლო მეორე - განმეორებადი. ეს ნიშნავს, რომ ტრანზაქციული დანახარჯები არის პერმანენტული ხასიათის და იგი მუდმივად აწვება საქმიანობას, როდესაც ტრანსფორმაციული დანახარჯები პერიოდულად იჩენს თავს მხოლოდ ინსტიტუციური ცვლილებების დროს.

(1) ტოლობის ლოგიკა ნაჩვენებია ნახ. N 1. ამ ლოგიკის თანახმად, ძველი ნორმიდან ახალზე გადასვლა ნიშნავს, რომ ტრანზაქციული დანახარჯები მეტი უნდა იყოს ტრანსფორმაციულ ხარჯებზე. (1) ტოლობიდან გამომდინარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დასკვნა: რაც უფრო დიდია დაგეგმვის ჰორიზონტი (T) ეკონომიკური სუბიექტისთვის, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ გადავა პროგრესულ ნორმაზე .

სქემის თანახმად ძველი ინსტიტუტი ნაკლებად ეფექტიანია, ამიტომ ამ სისტემაში დიდი ხნით ყოფნა ნიშნავს „ინსტიტუციურ ხაფანგში“ მოხვედრას. ხოლო ახალ სისტემაზე გადასვლა კი ნიშნავს „ხაფანგიდან“ თავის დაღწევას ანუ მის გადალახვას. რაც უფრო დიდია დაგეგმვის ჰორიზონტი (T) ეკონომიკური სუბიექტისთვის, მით უფრო დიდია ალბათობა „ინსტიტუციური ხაფანგიდან“ თავის დაღწევისა.

დიაგრამა 17. ინოვაციის დანერგვის გეომეტრიული ინტერპრეტაცია



წყარო: Балацкий Е. В. 2012

თუ განვიხილავთ, რომ $x(t)$ - წარმოების მთლიანი მოცულობა (ფირმისთვის), C_1 - კონკრეტული ტრანზაქციული დანახარჯები, რომელიც შეესაბამება ძველ ინსტიტუტს, C_2 - კონკრეტული ტრანზაქციული დანახარჯები, რომელიც შეესაბამება ახალ ინსტიტუტს, მაშინ ტოლობა ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\int_0^T [(C_1(t) - C_2(t))x(t)dt = K_0 \quad (2)$$

თუ დამატებით აღვნიშნავთ, რომ ზრდის ტემპი (ფირმისთვის) მუდმივია და უდრის λ , მაშინ, სადაც $x = e^{\lambda t}$, C_{10} და C_{20} არის საწყისი მნიშვნელობები შესაბამისი სიდიდეებისა, რომლებიც, დროის მიუხედავად, არ იცვლებიან, მაშინ (2) ტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს:


$$((C_{10} - C_{20}) x_0 = (1+r) \lambda K_0 \quad (3)$$

თუ შემოვიტანთ შემდეგ ტოლობას $v = K_0 (1 + r) / [(C_{10} - C_{20}) x_0]$, მაშინ (3) ფორმულა მიიღებს უფრო კომპაქტურ სახეს:

$$e^{\lambda t} - 1 = v \lambda \quad (4)$$

მომდევნო გვიჩვენებს (4) ფორმულის ინტერპრეტაციას: წარმოების ზრდის კრიტიკული ტემპი (ფირმისთვის) λ' არის (4) ტოლობის მარცხენა და მარჯვენა მხარეების გადაკვეთის წერტილი. შინაარსობრივად იგი გვიჩვენებს, რომ თუ ფირმას ბაზარზე უპირატესობის მოპოვების სტრატეგია დასახული აქვს ($\lambda > \lambda'$), მაშინ იგი აუცილებლად იქნება დაინტერესებული „ინსტიტუციური ხაფანგიდან“ გამოსვლით, ხოლო თუ ფირმას არ აქვს აქტიური წარმოების პროგრამა ($\lambda < \lambda'$), მაშინ იგი არჩევს დარჩეს „ინსტიტუციურ ხაფანგში“.

დიაგრამა 18. ინოვაციის დანერგვისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის ურთიერთკავშირის ინტერპრეტაცია



წყარო: Балацкий Е. В. 2012

აღწერილი თეორია ყურადღებას ამახვილებს ორ ფაქტორზე: დაგეგმვის ჰორიზონტი და ეკონომიკური ზრდის ტემპი. იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუციური გარემო გზას უკვალავს ეკონომიკურ ზრდას, ვაწყდებით საინტერესო პარადოქსს. რომელიც შეისწავლა პოლტეროვიჩმა: „ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი არის თავად ეკონომიკური ზრდა“. ამდენად ინსტიტუციური ევოლუციისთვის წამყვან ძალას წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა. ამავდროულად, საჭიროა დაგეგმვის ჰორიზონტის გაფართოება, რისთვისაც, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება დაგეგმვის ინდიკაციური სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივების დანახვას და მათ შემუშავებაში ჩართული არიან მწარმოებლები.

ამდენად, (1) ფორმულით აღწერილი თეორია საშუალებას გვაძლევს, პირდაპირ გადავიდეთ მმართველობით გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიტუტებთან და „ინსტიტუციურ ხაფანგებთან“.

მე-20 საუკუნეში განხორციელდა ეკონომიკური ინსტიტუტების ცვლილებები, რაც გამოიწვია ამ პერიოდში გატარებულმა გეგმურმა რეფორმებმა. რეფორმებმა დააგენერირა ინოვაციური ინსტიტუციები, რომლთა ერთი ნაწილი თავიდანვე ჩაფიქრებული ვარიანტით განვითარების უნარის მქონე აღმოჩნდა. მეორე ნაწილი თავდაპირველ ჩანაფიქრს ცოტათი ჰგავდა, ხოლო მესამე - სწრაფი დაღუპვისთვის იყო განწირული. სწორედ ამიტომ რეფორმების თეორია, რომლის შექმნაც „ვამინგტონის

კონსესუსის“ შემდეგ მეტად აქტუალური გახდა, ინსტიტუციური ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

როდესაც თავისუფალი ქვეყნების წინაშე დადგა საკითხი, რომ აერჩიათ, თუ რომელი ეკონომიკური მოწყობა იქნებოდა უფრო ხელსაყრელი. მათთვის მაგალითი იყო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რომლებიც დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობითა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკით მოწინავე ქვეყნების რიგებში იყვნენ. ისინი ასევე ხვდებოდნენ იმასაც, რომ კაპიტალიზმი ეკონომიკებს სამომავლოდ გლობალიზაციას უქადდა და გლობალიზაცია კი ჩაკეტილი, მბრძანებლური ეკონომიკებისთვის ნაკლებად თუ იქნებოდა ტენდენციური. თუმცა იმის ცალსახად მტკიცება, რომ დემოკრატიაა სწორედ ის პოლიტიკური მოწყობა, რომელსაც შეუძლია ქვეყანა განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადაიყვანოს, არცთუ გონივრულია. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ოთხი აზიური ვეფხვი (სინგაპური, სამხრეთ კორეა, ჰონკ-კონგი, ტაივანი), რომლებმაც კაპიტალისტური განვითარების მაღალ დონეს ჯერ კიდევ არადემოკრატიული რეჟიმის პერიოდში მიაღწიეს. აგრეთვე ჩილესა და ესპანეთში ავტორიტარულ რეჟიმს ხელი არ შეუძლია წარმატებული რეფორმების შედეგად კაპიტალიზმის მაღალ დონეზე გადასულიყვნენ. იგივე შეგვიძლია ვთქვათ თანამედროვე ჩინეთზეც, რომელიც, კომუნისტური რეჟიმის მიუხედავად, საბაზრო ეკონომიკის მოწინავე ქვეყანაა. აქედან გამომდინარეობს ფაქტი, რომ ეფექტიანი ეკონომიკური რეფორმები მოითხოვს პრინციპულ პოლიტიკას ხელისუფლებისგან, რომელიც არის ლეგიტიმური და რომელიც ნაკლებად რეაგირებს სოციალურ თუ სხვა სტრესებზე. როდესაც ხელისუფლება ახორციელებს ეკონომიკურ რეფორმას, მას მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება, ხოლო სოციალური სიდუხჭირე ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა. რეალურად ხელისუფლების დასაყრდენ ძალას მოსახლეობის ძლიერი საშუალო ფენა წარმოადგენს. ხოლო თუ მოსახლეობა სიდატაკეში ცხოვრობს, ამ დროს ხელისუფლებას უჭირს ორიენტირი გრძელვადიან მიზნებზე აიღოს, რადგან ეშინია, ძალაუფლება არ დაკარგოს. ეს მდგომარეობა კი დემოკრატიის პირობებში რეალურ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ხელისუფლებას ხალხი ირჩევს, ხოლო თუ ეს ხალხი ღარიბია, შესაბამისად ვერ ხორციელდება დაზოგვა ინვესტირებისათვის და იზრდება ხარჯები, რასაც, საბოლოოდ, ბიუჯეტის

დეფიციტამდე მიყვავართ. სწორედ ამიტომ ამომრჩევლებზე დამოკიდებული ხელისუფლება ხშირად ვერ ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკისათვის ეფექტიან რეფორმებს.

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ დემოკრატიის ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლებას ჰყავს ოპოზიცია და პოლიტიკური პლურალიზმი კონტროლის ძლიერი იარაღიცაა. ხელისუფლება ამ დროს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება შეცდომებს და ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობა განაპირობებს მათი ელექტორატის რაოდენობას. იმისათვის კი, რომ ეკონომიკური რეფორმები წარმატებული და ეფექტიანი იყოს, მხოლოდ პოლიტიკური მოწყობა საკმარისი არაა, არამედ რეფორმის განმახორციელებელი აპარატიც უნდა იყოს მაღალკვალიფიციური.

ეკონომიკური რეფორმების კუთხით უცხოური გამოცდილების შესწავლისას ძალიან საინტერესოა ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი. ექსპერტთა მოსაზრებით საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ესტონეთი მიიჩნეოდა ყველაზე ნაკლებპერსპექტიულად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წარმატებულობის მხრივ. ამას ის განაპირობებდა, რომ ესტონეთს არაფერი ჰქონდა ისეთი, რაც გლობალიზაციის პირობებში კონკურენტულ უპირატესობას მოუტანდა, სსრკ-ის ეკონომიკამ ქვეყნის ეკოლოგია სრულიად გაანადგურა და იგი თითქმის მთლიანად იყო დამოკიდებული რუსეთის ეკონომიკაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესტონური რეფორმების განმახორციელებელი გახლდათ ბალცეროვიჩი. ესტონეთისთვის მთავარ გამოწვევას საკუთარი ვალუტის შემოღება წარმოადგენდა, რაც მათ დაიცავდა აღმოსავლეთის ინფლაციისგან, ნაღდი ფულის კრიზისისგან და იქნებოდა წონასწორული სავალუტო კურსის მყარი გარანტი. ის იყო პირველი, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, რომელმაც საკუთარი ვალუტა შემოიღო და ესტონური კრონა გაამყარა გერმანული მარკით, რომ მოეპოვებინა სანდო ვალუტის რეპუტაცია. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ თუ სხვა ქვეყნების მთავარ მიზანს ფასების ლიბერალიზაცია წარმოადგენდა, ესტონეთმა ორიენტირი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე აიღო. ეს განპირობებული იყო იმით, რომ სხვა ქვეყნების მაგალითზე ესტონეთის ხელისუფლება მიხვდა, რომ ბიუჯეტის დაბალანსება იყო ერთადერთი გარანტი, რათა გატარებულიყო წარმატებული სავალუტო რეფორმა. პარალელურად, ესტონეთის მთავრობა მჭიდრო ურთიერთობებს ამყარებდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან,


როგორებიცაა The Heritage Foundation, International Republican Institute, Adam Smith Institute, Timbro და სხვა, რეფორმების განხორციელების პროცესში დახმარების კუთხით. ასევე მთავრობა აცნობიერებდა იმასაც, რომ ბიუჯეტის ბალანსი მოიცავდა მთავრობის ოპტიმიზაციის რეფორმასაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეფორმა ნაკლებად პოპულარული იქნებოდა. აგრეთვე ბიუჯეტის დასაბალანსებლად საჭირო საკანონმდებლო ბაზაც იქნა შემოღებული, რათა გაადვილებოდა მთავრობას პარლამენტში ბიუჯეტის გატანა. (Aslund, A., Nelson, J., M., Tilly, C., Walker, L., eds. 1998)

მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე კურსის ორიენტირებამ ესტონეთის მთავრობა აიძულა გაეტარებინა მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, რაც იმას გულისხმობდა, რომ ფულის მასის ზრდა მაქსიმალურად შეიზღუდა და ხელისუფლებას მხოლოდ სამთავრობო ხარჯების შემცირებით შეეძლო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება. უფრო მეტიც, მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შეთავაზებულ სესხზეც კი უარი თქვა.

მთავრობამ ასევე გადაწყვიტა უარი ეთქვა სუბსიდირებაზე და ეიძულებინა სახელმწიფო საკუთრებისგან გათავისუფლებული აწ უკვე კერძო კომპანიები, ამოქმედებულიყვნენ და კონკურენციას თავად განესაზღვრა, რომელი გააგრძელებდა არსებობას და რომელი - არა.

მთავრობამ გადაწყვიტა საბოლოოდ გაენადგურებინა არაეფექტიანი ეკონომიკა, რამაც თავდაპირველად ესტონეთის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. თუმცა 1993 წლიდან მოსახლეობამ უკვე იგრძნო კაპიტალიზმის და ადამ სმიტის ცნობილი მოძღვრების, „უხილავი ხელის“, სიკეთე. თუ 1992 წელს ინფლაცია 1000 % იყო, 1993 წელს იგი 11-ჯერ შემცირდა, მომდევნო სამი წლის განმავლობაში ნახევრდებოდა და 1996 წლიდან მოყოლებული სტაბილურად დაბალ დონეზეა. (World Bank, 2019) ამის პარალელურად მსკ-ს მაჩვენებელი სტაბილური ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ქვეყანამ კურსი განვითარებული დასავლეთისკენ აიღო და მიზნად დაისახა განეხორციელებინა ყველა აუცილებელი რეფორმა, რომელიც ესტონეთის ეკონომიკის გაძლიერებისა და განვითარებისთვის იქნებოდა საჭირო.

დიაგრამა 19. ესტონეთის სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა (ინფლაცია, მსკ) 1992-2018 წლებში



წყარო: მსოფლიო ბანკი, 2019, (10.11.2019)

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონეთის ეკონომიკაში ისტორიულად ვაჭრობას დიდი ადგილი ეჭირა, სწორედ ამიტომ საბაზრო ეკონომიკა ამ ქვეყნისთვის ინსტიტუციურად უცხო არ იყო. სწორედ ამას მიიჩნევს ბევრი ექსპერტი ესტონეთის ეკონომიკის დიდ პლუსად, საქართველოსთან შედარებით. ესტონეთის ხელისუფლებამ მოხსნა სავაჭრო ბარიერები და ქვეყანა თავისუფალ სავაჭრო ზონაში მოექცა. ამ პოლიტიკამ ესტონეთში განვითარებისთვის გზა გაუხსნა კომპანიებს, რომლებმაც თავისუფალი ექსპორტის პირობებში საგარეო ვაჭრობაზე აიღეს კურსი. ესტონეთის მთავრობამ ამით მოიზიდა ინვესტორები, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანაში ფული შემოსულიყო მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაცემული სესხებით. რადგან ხელისუფლებას სწამდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება ნაკლებად იძლეოდა საშუალებას, რომ ქვეყანა წარმატებულად ექცია და, უფრო მეტიც, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკებისთვის ამ ტიპის სესხები ეკონომიკურ ჩამორჩენილობას იწვევდა. მათი მოთხოვნა ამ ორგანიზაციების მიმართ ის იყო, რომ მათ ესტონეთისათვის საგარეო ვაჭრობაში ჩასართავად ხელი შეეწყოთ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ცალსახად უმნიშვნელოვანესი იყო და ამას ისინი უცხოელი ინვესტორებისთვის პრივილეგიების მინიჭების გზით ახორციელებდნენ, თუმცა ესტონეთში ეს ასე არ მომხდარა. აქ სახელმწიფო პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ისეთი ბიზნეს გარემო შეექმნათ, რომელიც ერთნაირად ხელსაყრელი იქნებოდა, როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ბიზნესმენებისთვის. აგრეთვე, მიწის

უცხოელებზე გაყიდვის კანონის შემოღებამ და ქვეყნის რეპუტაციის ზრდაზე მუდმივმა ზრუნვამ, ერთ დროს ინვესტორებისთვის სრულიად უცხო ქვეყანა, სულ მალე მიმზიდველად აქცია. უცხოური ინვესტიციების შედეგად ახალი საწარმოები შეიქმნა, რამაც დასაქმების სტიმულირება მოახდინა, განხორციელდა საბჭოური ქარხნების მოდერნიზება, ქვეყანაში ახალი ინოვაციები და ტექნოლოგიები შევიდა, საბოლოოდ კი საერთაშორისო ასპარეზზე ესტონეთის კონკურენტუნარიანობა ამაღლდა.

პრივატიზაციის გარდაუვალმა აუცილებლობამ მოსახლეობის მწვავე რეაქცია გამოიწვია, რაც უმუშევრობის ზრდას შეუქცეველ პროცესად აქცევდა. ამ დროს მთავრობამ პროფკავშირებს უხმო და მათი ნდობა მოიპოვა, რათა მოსახლეობა პროცესის სამომავლო ეფექტიანობაში დაერწმუნებინათ. სწორედ ამ ტიპის დიალოგმა გააძლიერა ესტონეთში სამოქალაქო საზოგადოება და იგი ჩამოაყალიბა, როგორც პროგრესული ინსტიტუტი, რომელიც ქვეყანაში ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელადაა აუცილებელი.

გარდამავალი ეკონომიკებისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია ეფექტიანი ინსტიტუციების შემოღება, თუმცა ეს წარმოდგენელია ეფექტიანი კანონმდებლობის შემოღებისა და ამ კანონების აღსრულების გარეშე. კანონმდებლობა არის ძირითადი ბერკეტი, რომლითაც შესაძლებელია კორუფციასთან ბრძოლა, რაც საქართველოსთვის ისევე, როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ესტონეთმა აჩვენა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს, რომ კორუფციის დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ინსტიტუტების დანერგვით, კანონის უზენაესობის დაცვითა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებით. როდესაც ვსაუბრობთ კორუფციაზე, პირველ რიგში გვახსენდება მექრთამეობის მანკიერი ბუნება, რომლის დამარცხება ესტონელებმა იმით შეძლეს, რომ მთავრობას შეუზღუდეს უფლება ბიზნესისთვის ლიცენზირების, სუბსიდირებისა და შეღავათიანი კრედიტების გაცემის კუთხით, რამაც კომპანიებს შორის კონკურენცია გააძლიერა და მათ სტიმული დაუკარგა - ქრთამის გაცემით მიეღოთ სასურველი რესურსი.

ესტონეთმა საბანკო რეფორმაც დიდი წარმატებით განახორციელა. გაუქმდა სახელმწიფო ბანკები, ხელი შეუწყო კერძო ბანკებს საქმიანობის განხორციელებისთვის

და შეუქმნა მათ როგორც მკაცრი რეგულაციები, ისე გაკოტრების გამოცხადებისთვის ყველა საჭირო საკანონმდებლო ბაზა. ესტონეთის მთავრობა განსაკუთრებით მკაცრ პოლიტიკას იჩენდა და იჩენს თაღლითური საბანკო ოპერაციებისადმი, რომ ქვეყანაში შავი ფულის შემოდინება არ მოხდეს და სწორედ ამიტომ მისი საბანკო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე ჯანსაღია ევროკავშირში.

1990 წელს ესტონეთში მიიღეს საკუთრების რეფორმის შესახებ კანონი, რომლითაც გასაბჭოებული ქონება ყოფილ მეპატრონეებს დაუბრუნეს, ხოლო თუ დაბრუნება ფიზიკურად შეუძლებელი იყო, მაშინ კომპენსაციებს ვაუჭერების სახით გასცემდნენ, რომლითაც მათ უფლება ეძლეოდათ კომპანიიდან ან მიწის ნაკვეთიდან თავიანთი წილი გაეყიდათ. ხოლო დიდი ობიექტების პრივატიზება აუქციონის გზით განხორციელდა, რომელშიც ყველას შეეძლო მონაწილეობის მიღება. ამ პროცესიდან ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა არა ფინანსური მოგების მიღება, არამედ საჭირო ინვესტიციების გენერირება და მუშების გარკვეული ოდენობის უზრუნველყოფა საწარმოებში. ამგვარმა პოლიტიკამ პრივატიზაციის პროცესს უმტკივნეული ხასიათი მისცა.

ესტონეთში საგადასახადო რეფორმა 1994 წელს გატარდა, როდესაც წრფივი საშემოსავლო გადასახადი შემოიღეს, რომელიც იყო მარტივი და გადამხდელისთვის აღსაქმელად და შესასრულებლად იოლი. მოსახლეობამ გადასახადებისგან თავის არიდების სურვილი დაკარგა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ქვეშ საქმიანობის განხორციელება მათთვის ნაკლებად ეფექტიანი გახდა. შედეგად ესტონეთში ახალი სასტუმროები, მაღაზიები, კვების ობიექტები გაიხსნა. ესტონელი მოსახლეობა მეწარმეებად გადაიქცა და მათ შეძლეს დაემარცხებინათ უმუშევრობა. ამ ტიპის საგადასახადო სისტემა სხვა ქვეყნებისთვისაც სამაგალითო გახდა და მალევე შემოიღეს. თავდაპირველად ლატვიამ და ლიეტუვამ, მოგვიანებით რუსეთმა (2001 წელს), საქართველომ, უკრაინამ და სლოვაკეთმა (2004 წელს), ასევე რუმინეთმაც (2005 წელს). (შეშელიძე, პ. 2007)

თავი 3. საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება

3.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

საქართველოსთვის, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ქვეყნისთვის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ეკონომიკას, რათა წარმოების საერთო დონე ამაღლდეს, რისთვისაც ინფლაციის მინიმალური დონე და სრული დასაქმებაა დამახასიათებელი. მაშასადამე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არეგულირებს ფულის მიწოდებას შემდეგი მიზნით: ეკონომიკური ზრდა, ფასებისა და დასაქმების დონის სტაბილიზაცია. კერძოდ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ვარდნის ფაზაში დანახარჯების წახალისების მიზნით ზრდის ფულის მიწოდებას, ხოლო ინფლაციისას, პირიქით, ფულის მიწოდებას ზღუდავს დანახარჯების შესამცირებლად. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება განხორციელდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მქონე რთული ქსელის მეშვეობით: პოლიტიკური გადაწყვეტილებებით ზემოქმედებენ ბანკების რეზერვებზე; რეზერვების ცვლილება მოქმედებს ფულის მიწოდებაზე; ცვლილება ფულის მიწოდებაში სარგებლის განაკვეთის ცვლილებას იწვევს; ამ უკანასკნელის შეცვლა კი ინვესტიციებზე ზემოქმედებს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისობა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მოქნილი და პოლიტიკურად მიზანშეწონილია იგი. რა თქმა უნდა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არაა თავისუფალი თავის ქმედებებში და ის მრავალ პრობლემასა და შეზღუდვას აწყდება. მათგან შეიძლება გამოვყოთ: ფულის მიწოდების გასაფართოებლად კომერციულმა ბანკებმა არაა აუცილებელი გამოიყენონ იაფი ფულის პოლიტიკით შექმნილი ჭარბი რეზერვები; ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ფულის მიწოდებაში გამოწვეული ცვლილების კომპენსირება ნაწილობრივად შესაძლებელია ცვლილებით ფულის მიმოქცევის სიჩქარეში; ფულზე მოთხოვნის შემცირებით შესაძლებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედების შესუსტება.

ცნობილია, რომ ფისკალურ პოლიტიკასთან შედარებით, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო ნელი ტემპით იცვლება. ფისკალური პოლიტიკა საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია, მოგვიანებით განიხილოს

ან იქნეს გამოყენებული, რასაც ნამდვილად ვერ მივაწერთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებებს ყოველდღიურად იღებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის თაობაზე და ამით სარგებლის განაკვეთზე, ფულის მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედებს. მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე საკუთარი არც ფულად-საკრედიტო სისტემა და, მითუმეტეს, პოლიტიკა საქართველოს არ გააჩნდა. ქვეყნისთვის უჩვეულო პირობებში მათი განვითარება და ჩამოყალიბება ძალზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლას 1991 წელს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ სტრუქტურების, რომლებიც საკრედიტო სისტემას შეადგენდნენ, საქართველოს რესპუბლიკის მფლობელობაში გადასვლის შესახებ საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება მოჰყვა. მათ შორის იყო სახელმწიფო ბანკი, რომელიც ბაზაზეც ეროვნული ბანკი დაფუძნდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეცვლასა და ისეთი საბანკო სექტორის ჩამოყალიბებას ითხოვდა, რომელიც ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა ეროვნული ვალუტის შემოღებისთვის. შესაბამისად, გატარდა რამდენიმე რეფორმა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო სამანეთო სივრცეზე იყო დამოკიდებული, ქვეყანას არ ჰქონდა სხვა გამოსავალი, გარდა რუსული მოდელის გამოყენებისა. წესით, შეუძლებელი იყო ეკონომიკური რეფორმების სხვა გზით გატარება, მაგრამ მიიღო გადაწყვეტილება სრულიად საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებისა. კერძოდ, გაიცა უამრავი უმიზნო კრედიტი, რაც იმ დროისთვის არსებული სარეზერვო კურსისთვის შეუსაბამო ქმედება იყო. (გამსახურდია, გ. 1997) (პაპავა, ვ. 2002)

ასეთმა არჩევანმა, რა თქმა უნდა, რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია, რასაც საქართველოს მიმართ სანქციების მიღება და სამანეთო სივრციდან ნაადრევად გაძევება მოყვა. ამან, შესაბამისად, საკუთარი ვალუტის შემოღება დააჩქარა, ქვეყანა კი არ იყო მზად ამისთვის, წარმოების ტემპი იკლებდა, არც სავალუტო რეზერვები გაგვაჩნდა და სხვ.. ყოველივე ამან ინფლაციის დაჩქარება გამოიწვია, ლიბერალური საკრედიტო რეფორმის შემდეგ კი ინფლაცია

ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, თუმცა ამ მხრივ მდგომარეობა ნელ-ნელა გამოსწორდა. (გამსახურდია, გ. 1995)

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის გადაწყვეტილებებზე, მათ მოქმედებებსა და განვითარების დონეზეა დამოკიდებული. ფინანსური ინსტიტუტების ოპტიმიზაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი პროცესია. სახელმწიფოსა და ეროვნული ბანკის თანამშრომლობით გატარებული რეფორმების საფუძველზე განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა ფინანსურ ინსტიტუტებზე საკმაოდ დიდია, ამიტომ დეტალურ განხილვას საჭიროებს.

3.2. ფინანსური ინსტიტუტების ოპტიმიზაცია

არასწორმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ საბანკო სექტორს სახელი შეუღალა, რამაც კლიენტების მხრიდან უნდობლობა და ბანკების ლიკვიდაცია გამოიწვია. საჭირო გახდა ზომების მიღება მათი იმიჯის გასაუმჯობესებლად.

იმისთვის, რომ ზემოთ ხსენებული მდგომარეობა გამოესწორებინა, ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს საწესდებო კაპიტალის მოცულობა გაუზარდა, გამკაცრდა ლიცენზირების პროცესი და სხვა. საფუძველი ჩაეყარა საბანკო აუდიტს, რაც კომერციული ბანკებისთვის აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გაწევას გულისხმობდა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება უჭირდა, მან სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისგან მიიღო დახმარება. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა მოკლე დროში შემუშავებულიყო ახალი კანონები საბანკო სისტემისთვის. ამასთანავე, ჩვენმა სახელმწიფომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო 15 მლნ-ანი სესხი, რომელიც ეკონომიკის რეაბილიტაციას, კერძოდ ბანკებისა და საგადასახადო სამსახურების რეორგანიზაციას უნდა მოხმარებოდა. საქართველო პირველი იყო მსოფლიო ბანკის ახალი წევრებიდან, რომელსაც გააჩნდა საკრედიტო

ხაზი სტენდბაი⁶. საბანკო დოკუმენტების გაგზავნას ფოსტის მაგივრად უკვე ელექტრონული ფოსტით ახორციელებდნენ.

საბანკო სისტემის რეგულირებისთვის მიღებულ იქნა არაერთი კანონი, რომლებიც ნათლად გამოხატავდა საბაზრო ეკონომიკისკენ აღებულ გეზს, კერძოდ, ეროვნული ბანკის, მეწარმეობის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვ. ამ საკანონმდებლო აქტებით ძირითადად ის აზრი გადმოიცემა, რომ სუბიექტებს შორის ურთიერთობა თავისუფალი მოლაპარაკებებითა და შეთანხმებით უნდა განხორციელდეს და არა ბრძანებების საფუძველზე. საბანკო სისტემის რეორგანიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო ეროვნული ბანკის სტრუქტურული რეფორმის გატარება, გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული ბანკი საქართველოს საბანკო სისტემის ზედა რგოლს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი ბოლომდე ჯერ კიდევ არა შეესაბამება საბაზრო მექანიზმს, მთავარია, რომ ნაწილობრივ ეს ეტაპი უკვე დასრულებულია და ეროვნული ბანკი არეგულირებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას პარლამენტის, მთავრობისა და სხვათა ჩარევის გარეშე. ეროვნული ბანკი ყოველთვის უნდა ადევნებდეს თვალს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებასა და ამ მხრივ მიმდინარე ცვლილებებს. ასევე, ეროვნული ბანკის ფუნქციაა იზრუნოს იმაზე, რომ ლარმა შეასრულოს ფულის ყველა ფუნქცია, იყოს სტაბილური დევალვაციის კუთხით.

გარდა ამისა, ცენტრალური ბანკი სხვადასხვა ეკონომიკური თუ ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენებით უფლებამოსილია დაარეგულიროს კომერციული ბანკების, სხვა ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციონირების კონტროლი, მიიღოს გადაწყვეტილებები მათი შექმნისა და ლიკვიდაციის თაობაზე.

საბანკო სისტემის რეორგანიზაციის დასაწყისში ბანკებში თავი იჩინა საწესდებო კაპიტალის სიმცირემ, პერსონალის არაკვალიფიციურობამ და ტექნოლოგიების განვითარების დაბალმა დონემ. კომერციულ ბანკებს შორის საკმარისი კონკურენცია არ არსებობდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით სახელმწიფოში დაიწყო კონკურენტუნარიანი კომერციული ბანკების შექმნის პროცესი. მისივე ინიციატივა

⁶ Standby – დათქმული ოდენობის კრედიტის ბანკიდან გაცემის ვალდებულება, რომელიც გამყარებულია ფასეულობით -ოქრო, უცხოური ვალუტა და სხვ.) (ბერულავა, რ. 1997)


იყო საწესდებო კაპიტალის მოცულობის გაზრდა. შესაძლებელი გახდა ისეთი ბანკების ჩამოყალიბება, რომლებსაც, წვრილი ბანკებისგან განსხვავებით, კომერციული საფუძველი გააჩნდათ და ქვეყნის ეკონომიკისთვის სიკეთის მომტანი იქნებოდა.

საბანკო სისტემის რეფორმის მიზანს ფასების დასტაბილურება, სამუშაო ადგილების შექმნა და წარმოების მოცულობის რეალური ზრდა წარმოადგენდა. სამანეთო სივრცის დატოვების შემდეგ ეროვნულ ბანკს უკვე შეეძლო დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარება. გარდა ამისა, მისივე ვალდებულება იყო და არის კომერციული ბანკების ზედამხედველობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია.

ამ ეტაპზე ბაზარს უკვე ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ საზღვარგარეთული ბანკები მოეზიდა. ქვეყანაში გაიხსნა უცხოური ბანკების ფილიალები და შეიქმნა ერთობლივი ბანკები.

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, სრულყოფილი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების მიზნით გატარებული რეფორმა სახელმწიფოს კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევაში დაეხმარა. გამომდინარე იქიდან, რომ ინფლაციის ტემპი არასასურველ დონეს აღწევდა, მის დასარეგულირებლად საჭირო გახდა რადიკალური ზომების მიღება. იმისათვის, რომ მიმოქცევადი ფულის მასა შემცირებულიყო, გაიზარდა საკრედიტო განაკვეთი ბანკებს შორის და სავალდებულო გახდა რეზერვების შექმნა 20%-ის ოდენობით. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019)

დიაგრამა 20. სავალუტო რეზერვების დაცვის ნორმა 1992-2018 წლებში⁷



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

ჰიპერინფლაციის პრობლემის აღმოსაფხვრელად ეროვნულმა ბანკმა შეაჩერა კრედიტების გაცემა, რასაც თავისუფალი საპროცენტო განაკვეთების დაწესება მოყვა.

ფულად მასაზე ზეგავლენის მოსახდენად ეროვნულმა ბანკმა გამოიყენა საკრედიტო განაკვეთი ბანკებს შორის. მისი დონის გაზრდით მიიღწევა სამი ეფექტი: პირველ რიგში, იმ ბანკების რაოდენობის შემცირებით, რომლებსაც ეროვნული ბანკისგან ძვირადღირებული კრედიტის აღების შესაძლებლობა აქვთ, მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა შედარებით ნელი ტემპით გაიზრდება; მეორე, ის ბანკები, რომლებიც მაინც აიღებენ ძვირ სახელმწიფო კრედიტს, იმისათვის, რომ ეროვნულ ბანკთან ანგარიშსწორება გაუმარტივდეთ, ორიენტირებულები იქნებიან მაღალშემოსავლიანი და მომგებიანი პროექტების დაკრედიტებაზე; დაბოლოს, იმ ფულადი დანაკარგების დასაბალანსებლად, რომლებსაც სახელმწიფო კრედიტის აღება იწვევს, ბანკი აძვირებს თავის კლიენტებზე გასაცემ კრედიტებს, რასაც მოთხოვნის შემცირება და, შესაბამისად, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის შენელებული ზრდა მოჰყვება. (ზურაბიშვილი, ვ. 1996)

თუმცა საკრედიტო განაკვეთის ზრდას უარყოფითი ზეგავლენა აქვს საწარმოო სფეროზე, ვინაიდან კრედიტების სიძვირე ინვესტიციების ნაკლებობასა და ეკონომიკური წინსვლის შენელებას იწვევს. მაშასადამე, ბანკთაშორისი კრედიტის გაძვირებით ეროვნული ბანკი არა მარტო ინფლაციის ტემპის ზრდას, არამედ საინვესტიციო პროცესის განვითარებასაც უშლის ხელს. იმისათვის, რომ ასეთი

⁷ 2007 წლიდან მოქმედებს დაცვის შემდეგი მეთოდი: სახსრები უცხოური ვალუტით განთავსდება ცალკე ანგარიშზე, ხოლო ლარებისთვის მხედველობაში მიიღება სალარე საკორესპოდენტო ანგარიშზე ორკვირიანი პერიოდის განმავლობაში რიცხული ნაშთების საშუალო არითმეტიკული

ეფექტი აიცილოს თავიდან, ეროვნულმა ბანკმა შესაბამისი ბერკეტები უნდა გამოიყენოს.

რეზერვების შექმნა გულისხმობდა ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ იმ თანხის შეტანას, რომელსაც ისინი ვერ გამოიყენებენ კლიენტებზე სესხების გასაცემად. ფულადი მასის გასაკონტროლებლად ეროვნულ ბანკს შეუძლია სხვა რეგულატორების გამოყენებაც. მაგალითად, იგი არ უნდა გასცემდეს საწარმოო დანიშნულების სესხებს, ეს კომერციული ბანკებისთვისაა დამახასიათებელი და სხვ.

ამას გარდა, ეროვნულ ბანკს მხოლოდ მაშინ შეუძლია საკუთარი ფუნქციის ზედმიწევნით შესრულება, როცა მისი საქმიანობა კანონმდებლობით კონტროლდება და არა ხელისუფლების მიერ. ამიტომ საბანკო სისტემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოწესრიგების მიზნით ჩამოყალიბდა „საქართველოს კანონი ეროვნული ბანკის შესახებ“, მიღებული 1995 წელს და „საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, რომელიც მიიღეს 1996 წელს. ამ კანონების გავლენით ეროვნული ბანკი გახდა პასუხისმგებელი კომერციული ბანკების კონტროლზე, რომელსაც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებდა. ამასთან ერთად, შეიქმნა ლიკვიდაციის მექანიზმი და დაიხვეწა ლიცენზირების პროცესი, რაც უკვე არსებულ კომერციულ ბანკებსაც შეეხო. იგულისხმება ის, რომ შემოწმდა ლიცენზიები და გადაიხედა მათი საქმიანობა. კომერციული ბანკები ვალდებულები იყვნენ საკუთარი ბალანსი ახალი რეგულაციების შესაბამისი ყოფილიყო. გაეუმჯობესებინათ მენეჯმენტი და დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნა კაპიტალის სავალდებულო რაოდენობის შესახებ. (კაკულია, რ. 2003)

ამასთან ერთად, ეროვნული ბანკის ფუნქციებს დაემატა ეროვნული ვალუტის, ლარის ღირებულების დადგენა საზღვარგარეთულ ფულის ერთეულებთან მიმართებით და სავალუტო კურსის კონტროლი.

ნებისმიერი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ნაკლია ის, რომ ცენტრალურ ბანკებს არ შეუძლიათ ერთსა და იმავე დროს დაასტაბილურონ როგორც ფულის მიწოდება, ასევე სარგებლის განაკვეთი. მაგალითად, თუ ცენტრალურ ბანკს სურს ამ მხრივ ფულის მიწოდებაზე გაამახვილოს ყურადღება, მაშინ მერყევ სარგებლის განაკვეთს უნდა შეეგუოს, ამ უკანასკნელს კი მაკროეკონომიკურ კრიზისმდე

მიყვარო, რომლისგანაც თავის დაღწევა საკმაოდ რთულია. (Hallwood, P., MacDonald, R. 2017)

1995 წლამდე საბანკო სექტორის მიერ ბიზნეს სუბიექტებზე გაცემული სესხების $\frac{3}{4}$ გადახდისუნარო იყო, რაც თანხობრივად საკმაოდ სოლიდური გახლდათ, რადგან ამ ეტაპისთვის ბანკებს წარმოებაზე გაცემული ჰქონდა 81 მლნ ლარის ოდენობის სესხები, რაც იმის ნიშანი იყო, რომ, რეალურად, საბანკო სისტემა არ მუშაობდა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019). იმ ბანკების რაოდენობა, რომლებსაც ფუნქციონირებისათვის საკმარისი კაპიტალი და ეფექტიანი მენეჯმენტი ჰქონდა, არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ნორმალურად ფუნქციონირებადი საბანკო შუამავლების შექმნისთვის ჩაეყარა საფუძველი, მაშინაც კი, თუ კომერციული ბანკები დეპოზიტების შემნახველი ორგანიზაციების კუთხით შინამეურნეობების ნდობას დაიბრუნებდა. მსგავსმა პრობლემამ არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებშიც იჩინა თავი და მათ მოსაგვარებლად სხვადასხვა ზომები მიიღეს. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ეროვნულ ბანკთან ერთად ცდილობდა თავი აერიდებინა იმისთვის, რომ საბანკო სექტორის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო სახსრები გამოეყენებინა. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანას ფული არ გააჩნდა, სახელმწიფო კი ვერ დაიწყებდა ამ საჭიროებიდან გამომდინარე მის ბეჭდვას, რადგან ამ პროცესს არასასურველი შედეგები მოჰყვებოდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისთვის. გარდა ამისა, ასეთ ქმედებას შესაძლოა ეროვნული ბანკისთვის, როგორც საბანკო სექტორის ზედამხედველისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლისთვის, ავტორიტეტი შეერყია. კომერციული ბანკების დიდი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, ასეთი მიდგომის განხორციელება არც ისე მარტივი იყო ეროვნული ბანკისა და მთავრობისათვის. 1996 წლიდან ახალი კანონმდებლობის შემოღებით ბანკები იძულებული იყვნენ ისეთი ღონისძიებები გაეტარებინათ, რაც მათ გაკოტრების საფრთხისგან დაიცავდა. გარდა ამისა, შეიცვალა ბანკის აქციების ფლობისა და ასევე საბანკო ინვესტიციების განხორციელების წესები. კერძოდ, “კომერციული ბანკი უფლებამოსილია ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის არაუმეტეს 20 პროცენტისა, თუ კომერციული ბანკის წილი ჯამურად

კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს არ აღემატება” (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ 1996) .

ასევე, ახალი წესების მიხედვით, შემოვიდა ინსტრუმენტები, რომლებითაც ბანკის მუშაობის ობიექტური შეფასება იქნებოდა შესაძლებელი. სისტემის გარდაქმნის შემდეგ ბანკების უმეტესობას დამატებითი კაპიტალის მოზიდვა დასჭირდა, რასაც ახალი აქციების უკვე არსებულ ან ახალ მფლობელებზე მიყიდვით ან მოგების შენარჩუნებით ახერხებდნენ.

შეუძლებელი იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის დარეგულირება ფულად-საკრედიტო ურთიერთობის წესის ძირეული შეცვლის გარეშე. რა თქმა უნდა, უკეთესია, თუ სასესხო ურთიერთობები კანონმდებლობით რეგულირდება. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო კრედიტორის, არამედ დებიტორის მოთხოვნებსა და ვალდებულებებს.

კომერციული ბანკების საქმიანობისა და ფუნქციების სრულყოფა ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობაა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში. ბანკების არასასურველი მდგომარეობა აქტიური ოპერაციების განვითარების დაბალმა დონემ გამოიწვია. გამომდინარე იქიდან, რომ ის, თუ რამდენად ეფექტურია აქტიური ოპერაციები, დამოკიდებულია საკრედიტო პოტენციალზე, კლიენტების საიმედოობასა და თავისუფალი ფულის ჯეროვან რეგულირებაზე. ფულადი რესურსების ფორმირება თუ პასიური ოპერაციების გამოყენების საშუალებით მიმდინარეობს, აქტიური ოპერაციები ამ რესურსებს მიმართავს მოგების მაქსიმიზაციისკენ, ამიტომ მათი დარეგულირებაც, რეკომენდებულია, სამართლებრივად მოხდეს. (კოვზანიძე, ი. 2002)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი სახელმწიფო ბანკებისგან შექმნილ კომერციულ ბანკებში ადგილი ჰქონდა ვალის არასასურველ ზრდას. უკვე არსებულ დებიტორულ დავალიანებას ახალი ვალები დაემატა, რაც არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობით, ბანკების მოუმზადებლობითა და გამოუცდელობით იყო გამოწვეული. ეს პრობლემას უქმნიდა არა მარტო საბანკო სექტორს, არამედ მთელ ქვეყანას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მხრივ. ამიტომ სახელმწიფომ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გამოყენებულ ხერხს მიმართა და

კომერციული ბანკები საექვო ვალებისგან გაათავისუფლა, ამ ქმედების მთავარი მიზანი კი ბანკების სანდოობის ამაღლება იყო.

ქვეყანაში წარმოების დაბალი დონისა და არაეფექტიანი კვლავწარმოების არსებობის შემთხვევაში, ინვესტიციების სტიმულირების პროცესში ეროვნული ბანკიც ერთვება და კომერციულ ბანკებზე სხვადასხვა ინსტრუმენტებით ზემოქმედებს. ამ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება სესხების ლიმიტირება, დისკონტის განაკვეთი და სხვ.

საქართველოში ორდონიანი საბანკო სისტემის საფუძველი არასტაბილური ეკონომიკის პირობებში ჩამოყალიბდა, ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოური ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებმაც კრიზისს თავი შედარებით მოკლე დროში დააღწიეს. ეს გარემოება საკრედიტო სექტორის ლიკვიდობისა და ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა. გარდა ამისა, კომერციული ბანკების უმეტესობას არ გააჩნდა საკმარისი კაპიტალი სესხების გაცემისთვის და ამას დაუბრუნებელი კრედიტებიც ემატებოდა. ინფლაციის მაღალი დონის პირობებში ბანკები ახერხებდნენ ამ უკანასკნელისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, მაგრამ კრიზისის დაძლევის შემდეგ არსებობას მხოლოდ ის ბანკები გააგრძელებდნენ, რომლებიც კლიენტებს გაუმჯობესებულ სერვისს და მომსახურების ფართო სპექტრს შესთავაზებდნენ.

გადაუხდელი კრედიტების სიმრავლე არა მარტო საბანკო სექტორზე ახდენს გავლენას, არამედ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზეც მოქმედებს, ამიტომ, გადახდისუნარიანობის კრიზისის დასაძლევად საბანკო სისტემამ და სახელმწიფომ ერთად და შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ.

შესაბამისი კანონმდებლობის შემოღებამდე საბანკო სისტემა არაეფექტიანი იყო, რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მყოფ სახელმწიფოს ბევრ პრობლემას უქმნიდა. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ეროვნული ბანკის როლის განუსაზღვრელობა ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში და მისი დამოკიდებულება მთავრობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებებზე. პრაქტიკულად, ეროვნული ბანკი პარლამენტის მითითებების შემსრულებლად გვევლინებოდა. (შათირიშვილი, ჯ. 2002)

მოგვიანებით ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის მიღწევა საქართველოს მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავების საფუძველი გახდა. ეს მიმართულებები, საბიუჯეტო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ოყო ქვეყნის

სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზება და პროგნოზირება, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მასის კონტროლი, საპროცენტო განაკვეთების რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირება.

ამ ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის მიმართულებებსა და სტრატეგიებს, მასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვასა და კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საბანკო სისტემის მთავარი ორგანო, მმართველთა საბჭო ახორციელებდა. ეროვნული ბანკი მოქმედებდა მმართველთა საბჭოს მითითებების საფუძველზე და მისი გადაწყვეტილებების მიხედვით ატარებდა კონკრეტულ ღონისძიებებს, არეგულირებდა ფინანსურ ბაზარს. (საქართველოს კანონი ეროვნული ბანკის შესახებ, 2009) მას მხოლოდ მმართველთა საბჭოს მიერ ნებადართულ ფარგლებში შეეძლო ფულის ემისია. კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებისთვის ეროვნული ბანკი ძირითადად სარეზერვო ნორმისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შესაძლებლობას იყენებდა.

იმ დროისთვის კომერციული ბანკები მხოლოდ საკრედიტო ინსტიტუტებს წარმოადგენდა და არ შეეძლო ისეთი ოპერაციების ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვა, როგორცაა ლიზინგი, ფაქტორინგული ოპერაციები, საკონსულტაციო მომსახურებები და სხვ. ყურადსაღები იყო კომერციული ბანკების მარკეტინგისა და მენეჯმენტის განვითარება.


საბანკო სისტემის მეორე დონეს კომერციული ბანკების გარდა წარმოადგენდა შემნახველი სალაროები და სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაცია, რომლებსაც თავისი მასშტაბები არ აძლევდა საინვესტიციო-საკრედიტო საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას.

ბოლო წლების მონაცემებით საბანკო პროდუქტები ძალზე მრავალფეროვანია. იმისათვის, რომ უკეთ შევისწავლოთ ქართულ ბაზარზე არსებული საბანკო პროდუქტები, უნდა მოვიშველიოთ სტატისტიკურ მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საკრედიტო პროცენტებთან შედარებით, საქართველოს არცთუ სახარბიელო სიტუაცია აქვს. ხშირ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ მაღალია. საქართველოში წლიური საპროცენტო განაკვეთი

კომერციული ბანკების მხრიდან საშუალოდ 10%-ია მინიმუმ და ამას შემდეგ ემატება ის ხარჯები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ და, ნებისმიერ შემთხვევაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აღემატება ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს. ასევე ახალი კანონმდებლობით ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა არაუმეტეს 100%-ისა. (საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 2016)

დიაგრამა 21. საპროცენტო განაკვეთები მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებზე 2001-2018 წწ (%)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

დიაგრამიდან ჩანს, რომ საპროცენტო განაკვეთების დინამიკა საქართველოში კლებად ტენდენციას ავლენს, კარგი იქნებოდა, რომ სესხზე პროცენტი უფრო დაბალი იყოს, რათა მომხმარებელს მძიმე ტვირთად არ დააწვეს იგი და პირნათლად შეასრულოს ბანკის (კრედიტორის) მიერ დაკისრებული ვალდებულება. ასევე შეიძლება ითქვას უზრუნველყოფილ სესხებზე. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების შემოსავლების, საკრედიტო ისტორიის და მიზნობრიობისათვის საჭირო თანხის ოდენობა განსაზღვრავს ამ ტიპის კრედიტის პირობებს, შესაბამისად, ბანკებისა და მომხმარებლების მიხედვით იგი გამოირჩევა ინდივიდუალობით. საქართველოს მთავრობის დადგენილებით კი სესხი, რომლის ოდენობა არ აღემატება 100 000 ლარს, აუცილებელია გაიცეს ეროვნულ ვალუტაში. (საქართველოს მთავრობის

დადგენილება N1, საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2017) საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 8 %-დან ზემოთ, ხოლო სესხის ვადა მაქსიმუმ შესაძლებელია იყოს 15 წელი.

დიაგრამა 22. ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გაცემული ქონებით უზრუნველყოფილი სესხების % განაკვეთები 2006-2018 წწ (%)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

ქართულ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში არის 8-9%-მდე, ხოლო ეროვნულ ვალუტაში საშუალოდ 13%; ევროპის ქვეყნებში ეს სტატისტიკა შემდეგია: საბერძნეთსა და ნიდერლანდში საშუალოდ 5,5%-მდე, ხოლო მალტასა და დიდ ბრიტანეთში 4,99%. (Financial Advisory, 2019) გამომდინარე იქედან, რომ საქართველომ გააკეთა ევროპული არჩევანი, საგულისხმოა, რომ საპროცენტო განაკვეთები ევროპასთან შედარებით საკმაოდ მაღალია, რაც ნეგატიური მოვლენაა, რადგან ევროინტეგრაციული პროცესების აქტიურ ფაზაში გადასვლა სასურველია აისახოს ამ სფეროზეც და ქართულმა საბანკო სექტორმა ევროპის ანალოგიური საპროცენტო განაკვეთები შესთავაზოს თავის მომხმარებლებს.

საქართველოში ხშირია საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებული პრობლემური ქეისები, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათი მეპატრონეები ხშირად ამჯობინებენ თანხის განაღდებას და სწორედ ამიტომ ქართული საპროცენტო განაკვეთებიდან გამომდინარე ამ ბარათის განაღდებას საკომისიოზე, რომელიც შეადგენს 3%-დან 4%-მდე სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ძალიან იზრდება. საშეღავათო პერიოდი სტანდარტულად არის ხოლმე 55 დღე წლიური საპროცენტო განაკვეთები კი 18-36%-ია. როდესაც მომხმარებელი ბარათს გადახდების განსახორციელებლად

იყენებს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ძალიან მცირდება. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი საიმისოდ, რომ წახალისდეს ბანკის მხრიდან უნაღდო ანგარიშსწორება, არის ის რომ, ხშირ შემთხვევებში ამ ტიპის ბარათთა გადახდის ოპერაციების განხორციელება მომხმარებელს საშუალებას აძლევს დააგროვოს ქულები, რომლებიც შემდგომ ბანკების მიხედვით ინდივიდუალურად შეუძლია გადაცვალოს სხვა მომსახურების მიღებაში. ასევე ბარათით გადახდებზე ხორციელდება შეღავათების სხვადასხვა სახეობები. (საზოგადოება და ბანკები, 2019)


დიაგრამა 23. მიმოქცევაში არსებული საგადახდო საკრედიტო ბარათების რაოდენობა 2008-2018 წწ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

ცნობილია, რომ სულ უფრო იზრდება საგადახდო ბარათების რაოდენობა, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიური განვითარებით. სტანდარტული პლასტიკური ბარათების ნაცვლად სულ უფრო მოთხოვნადი გახდა ელექტრონული ბარათები, რომლებიც შესაძლებელია მობილური ტელეფონის აპლიკაციის საშუალებით იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, ე.წ. საგადახდო „სტიკერები“ და QR კოდები საკმაოდ პოპულარული გახდა და საბანკო ბარათების მომხმარებლების ნაწილი აქტიურად იყენებს მათ.


როგორც ზემოთ განვმარტეთ, ანაზრები ძირითადად 2 ტიპისაა: ვადიანი და მოთხოვნამდე. კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთები შემდეგია: *დიაგრამა 24. წლიური საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 2008-2018 წწ*



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

საქართველოში ინტერნეტბანკის როლი სულ უფრო იზრდება. აღსანიშნავია, რომ დისტანციური მომსახურებით სულ უფრო მეტი რაოდენობის ოპერაცია ხორციელდება და სულ უფრო მეტად იზრდება თანხების ოდენობებიც. უფრო მეტიც, საქართველოში მოქმედი გერმანული ბანკი „პროკრედიტ ბანკი“ ცდილობს მომხმარებელი სულ უფრო მეტად ჩართოს დისტანციურ მომსახურებებში და ამისათვის ფილიალების როლი მეტად შეამცირა და საკუთარ კლიენტებს სთავაზობს მარტივად გამოსაყენებელ და მრავალფუნქციურ ინტერნეტბანკინგს, ასევე 24 საათიან თვითმომსახურების ზონებს, რომელთა საშუალებითაც ნებისმიერი კლიენტი ახორციელებს დღე-ღამის პერიოდის განურჩევლად საბანკო ოპერაციებს. ფაქტობრივად, „პროკრედიტ ბანკმა“ ბანკის ფლიალის ფიზიკური როლი მინიმუმამდე დაიყვანა.

დიაგრამა 25. ინტერნეტ ბანკით განხორციელებულ ოპერაციათა რაოდენობა 2008-2018 წწ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

საქართველოში პირველი ბანკომატი 1998 წელს გამოჩნდა, მას შემდეგ მათი რაოდენობა და როლი სულ უფრო მეტად იზრდება (კოვზანაძე, ი., კონტრიძე, გ. 2014, 481) . ამ პროცესმა ქართულ ბანკებს რიგი უპირატესობანი მოუტანა, კერძოდ,

შემცირდა ოპერაციების განხორციელების ლოდინის დრო, რადგან ელემენტარულ ოპერაციებს ბანკომატები ითავსებდნენ, ამან ავტომატურად შრომითი რესურსების დაზოგვისა და უფრო ეფექტიანად გამოყენების საშუალება მისცა ბანკირებს. შედეგად მათ შეამცირეს ხარჯები და აიმაღლეს კონკურენტუნარიანობა.

საქართველოში გადახდის აპარატების მიმართულებით ინოვაციური ტექნოლოგია შეიქმნა, კომპანია VISO-მ შექმნა სმარტ-ტერმინალი, რომელიც ითავსებს სალარო აპარატის, საბანკო ტერმინალისა და ელექტრონული ვალუტის გადახდის ტერმინალის ფუნქციებს ერთდროულად. ამ მოწყობილობის დანერგვს შედეგად საქართველო იქნება პირველი ქვეყანა მთელს მსოფლიოში, სადაც რეალურ ფულსა და კრიპტოვალუტას შორის საზღვარი აღარ იარსებებს. მისი საშუალებით ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად იმისა, საბანკო ანგარიშზე აქვს თანხა, ხელზე თუ კრიპტოვალუტის სახით, ჩვეულებრივ მაღაზიაში შეეძლება შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქტი. მისი ერთ ერთი ფუნქცია გახლავთ ის, რომ მას გააჩნია უნარი წაიკითხოს შტრიხ-კოდები და QR-კოდები, ასევე მიეზას საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამას. ბიზნესმენს შეუძლია 1 აპარატის საშუალებით ჩაანაცვლოს არა მხოლოდ 3 აპარატი, არამედ უფრო მეტიც მიიღოს რეპორტები, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს, როგორც საგადასახადო ორგანოში, ისე მარკეტინგული კვლევების ჩასატარებლად. (Viso, 2019)

ამრიგად, საბანკო პროდუქტები საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზეა დანერგილი და საბანკებო ის სფეროა, რომელიც მუდმივად იყენებს ინოვაციურ ტექნოლოგიებს.

3.3. ფინანსური პოლიტიკა და მისი ძირითადი მიმართულებები

განვითარებულ და ასევე განვითარებად საბაზრო, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების პროცესებზე დაკვირვებით მიღებული გამოცდილება საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების დახვეწისა და განვითარების ისეთი სტრატეგიის შერჩევის საშუალებას იძლევა, რომელიც შეამცირებს საზოგადოებრივი ცვლილებების ხანგრძლივობას, მათთან დაკავშირებულ დანახარჯებს და შეცდომების დაშვების რისკს.

იმ მექანიზმების სრულყოფისათვის, რომლებიც ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად გამოიყენება, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ქვეყნის საფინანსო პოლიტიკას, რომელიც საგადასახადო დაბეგვრისა და სახელმწიფო ხარჯების რეგულირების სფეროსგან შედგება და ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამასთანავე, ფისკალური პოლიტიკის ბერკეტებია საგადასახადო განაკვეთების მთავრობის მიზნების შესაბამისი ცვლილებები და სახელმწიფო ხარჯების რეგულირება. ორივე მათგანს მულტიპლიკატორის ეფექტი გააჩნია.

დღესდღეობით, საფინანსო პოლიტიკის მთავარ პრობლემას ფისკალური და, ასევე, ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფა წარმოადგენს, რაც შეუძლებელია ეკონომიკური ანალიზის ჩატარების გარეშე. კვლევები ადასტურებს, რომ საფინანსო პოლიტიკა მთავარ როლს ასრულებს სახელმწიფოსთვის საწარმოო და ფინანსური რესურსების რაციონალურ განაწილებასა და გამოყენებაში. (ბახტაძე, ლ. 2013)

საფინანსო პოლიტიკის როლი საწარმოო ძალის რაციონალურ განაწილებაზე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში გადამწყვეტია. იგი ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებისთვის ფინანსური რესურსების კონცენტრაციის ხელშემწყობი ფაქტორია, ფულადი სახსრებით უზრუნველყოფს მიზნობრივ პროგრამებს და ადგილობრივი ნედლეულის რესურსის ოპტიმალურად გამოყენებას უწყობს ხელს.

საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანები 2005-2013 წლებში იყო შემდეგი:



ყოველივე ამის გათვალისწინებით, ინვესტიციების სფერო ქვეყნისგან გონივრულ პოლიტიკას მოითხოვს, რადგან არასათანადო საინვესტიციო პოლიტიკა

დაგვაშორებს ღია და ლიბერალურ ეკონომიკასთან, რაც გამოიწვევს საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის დაკარგვას. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენს ეროვნულ მეურნეობაზე, ამიტომ მათ გარეშე რთული იქნება ამ უკანასკნელის განვითარება.

დღეს საქართველოში ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მნიშვნელოვანია ინვესტიციების უცხოეთიდან მოზიდვის საკითხი. გარდაუვალია ფინანსური წყაროების სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ძიება იმ ქვეყანაში, რომელშიც საინვესტიციო სახსრების ნაკლებობაა.

კაპიტალის მოზიდვისას არა მარტო საკუთარი ინტერესები უნდა მივიღოთ მხედველობაში, არამედ უცხოელი პარტნიორებისაც. კაპიტალის მოზიდვაზე მოქმედი ფაქტორები, როგორცაა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა მდგომარეობა. რომელთა შეფასებაც ეხმარება ინვესტორს კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში და მოსალოდნელი რისკების განსაზღვრაში.

ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ კაპიტალდაბანდებაებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ამ საკითხის მარეგულირებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ქვეყნისთვის დამახასიათებელი მონაწილეობისა და პირობების დაცვის კულტურა. ის, თუ რამდენად სტაბილურად ფუნქციონირებენ სახელმწიფოს მართვაში მონაწილე ორგანოები, რამდენად და როგორ ერევიან ისინი ეკონომიკურ პროცესებში; რამდენად ეფექტიანად მოქმედებს სახელმწიფო აპარატი; რა თანმიმდევრობით ატარებს სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას და სხვა. (ნაჭყეპია, მ., კობალავა, ვ. 2004, 373-376)

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას დაინტერესებული ქვეყნებისთვის დიდად მნიშვნელოვანია ინვესტორთა უფლებების დამცველ და კაპიტალდაბანდებაებთან დაკავშირებული რისკის შემცირების უზრუნველყოფელ საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობა.

საინვესტიციო კლიმატი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაა, რომელიც ეკონომიკაზე ურთიერთდაკავშირებული პროცესების გავლენით ყალიბდება და საინვესტიციო მოტივაციების წარმოქმნას იწვევს.

საინვესტიციო პროცესი, მისი გრძელვადიანი ხასიათიდან გამომდინარე, ნაკლებად განიცდის სწრაფ ცვლილებებს. ამ თვისებიდან გამომდინარე, უნდა შეირჩეს საინვესტიციო კლიმატზე ზეგავლენის მქონე ისეთი ფაქტორები, რომლებსაც შედარებით მდგრადი ხასიათი აქვთ და რეალურად მოქმედებენ ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებაზე.

უდავოა, რომ ფინანსურად სტაბილური გარემო ნებისმიერი ქვეყნისთვის ინვესტორების ნდობის ამალვებას უწყობს ხელს და დადებითად მოქმედებს უცხოური კაპიტალის მოზიდვის პროცესზე.

საინვესტიციო კლიმატზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სავალუტო კურსის ტენდენციას. რადგანაც სამიზნე ქვეყანაში ვალუტის კურსის დაცემა მის მიერ წარმოებულ პროდუქციას უფრო კონკურენტუნარიანს ხდის საერთაშორისო ბაზარზე, ასეთი სიტუაცია უცხოელი ინვესტორებისთვის მომგებიანია, მაგრამ თუ შეიმჩნევა ვალუტის კურსის პერმანენტული ვარდნის ტენდენცია, ინვესტორი ასეთ ქვეყანაში ხშირად კაპიტალის დაბანდებისგან თავს იკავებს.

ვალუტის კურსის მუდმივი ზრდა, ერთი შეხედვით, დადებითია ქვეყნისთვის, თუმცა იგი საინვესტიციო კლიმატზე უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციების მოცულობის შემცირებითა და ამ ქვეყნის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის დაწევით.

საინვესტიციო კლიმატზე მოქმედ ნეგატიურ ფაქტორებს მიეკუთვნება ვალუტის კურსის ხელოვნურად შენარჩუნება განვითარებად ქვეყნებში. თუ ინვესტორს ექნება ეჭვი, რომ სახელმწიფო ვერ შეინარჩუნებს ვალუტის კურსს და შესაძლებელი იქნება მისი დაცემა, უარს იტყვის ამ ქვეყანაში ინვესტიციის ჩადებაზე. (თეთრუაშვილი, ზ. 1999, 42)

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მთლიანად ფინანსური გარემოსთვის საფრთხის შემცველია არასასურველი მაკროეკონომიკური პირობების, არამდგრადი სამართლებრივი ბაზისა და სამთავრობო კრიზისების, არასასურველი კრიმინოგენული ვითარების, არათანმიმდევრული საკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვევო პოლიტიკის, საკმარისი საინვესტიციო საშუალებების არმქონე რეგიონების, დაკრედიტების არახელსაყრელი პირობების, საბანკო მომსახურების

სფეროში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არსებობა, ცენტრალური ბანკისთვის დამახასიათებელი სავალდებულო ნორმატივების არამუდმივობა და სხვა.

საინვესტიციო კლიმატზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ინფლაციის ტემპი. ინფლაციის დაბალ დონეს, ნაწილობრივ, მიაწერენ ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ჯერ კარგად არაა განვითარებული ფინანსური ბაზრები და დოლარიზაციის დონე ისევ მაღალია, ცვლილება ფულის მიწოდებაში ფასების დონეზე, ძირითადად, გაცვლითი კურსის მეშვეობით მოქმედებს. სავალუტო ბაზრისკენ მიმართული ჭარბი ფულის მასა ფასების სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. ამის გამო ფულადი მასის რეგულირების პროცესში ყურადღება უნდა ექცეოდეს შიგა სავალუტო ბაზარზე ფულის მოთხოვნას, რაც თავიდან აგვაცილებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ძლიერ მერყეობას, ხელს შეგვიწყობს შევინარჩუნოთ სტაბილური გარემო და ინფლაციის შედარებით დაბალი დონე. (ცაავა, გ. 2001)

საბანკო სისტემის სრულყოფის, სტრუქტურული გარდაქმნების, საბანკო სტრუქტურების სტაბილურობის, გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ამაღლებით 2003 წლიდან საბანკო სისტემის მდგრადობა საქართველოში თანდათან გაუმჯობესდა. კერძოდ, საქართველოში, ნახსენები დროიდან, ადგილი აქვს ეკონომიკური ზრდის ტენდენციას ბანკთა აქტივებში, საკრედიტო დაბანდებებში, ანაბრებში, მოზიდულ სახსრებსა და წმინდა მოგებაში. (საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2006-2009 წლებისთვის 2006)

თუ განვიხილავთ საინვესტიციო გარემოს ფინანსურ მხარეს, მნიშვნელოვანია შევვხვთ საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობის საკითხს. ბაზრის მუშაობის გაუმჯობესება აუცილებელია საკრედიტო რესურსების თავმოყრის ხარისხის ამაღლებისა და ეკონომიკის ფინანსური რესურსებით შედარებით სრულად დაფინანსებისთვის. საკრედიტო მექანიზმი უნდა იყოს ხელშემწყობი ფაქტორი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სხვა პროცესებში. საბოლოოდ, ეს დადებითად აისახება ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობაზე.

საქართველოში 2000 წლიდან მოყოლებული საკრედიტო პორტფელის მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია ასევე

გრძელვადიანი დაკრედიტების სფეროში. კერძოდ, გრძელვადიანი სესხის ხვედრითმა წილმა 2004 წელს მთლიანი სესხების 11%-ს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ბიზნესის გრძელვადიან დაფინანსებაში საბანკო სექტორისგან მეტი მხარდაჭერაა საჭირო.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა ეკონომიკური ზრდა, სტაბილური ეროვნული ვალუტა, მოსახლეობის დასაქმება, შესაბამისი საგადასახდელო ბალანსის ჩამოყალიბება და სხვა. თუმცა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანა უნდა იყოს ისეთი გეგმის შემუშავება და შემდეგ მისი განხორციელების ხელშემწყობი ქმედებების გატარება, რომელიც ფულის მასის გადაადგილების ოპტიმალურ დინამიკას უზრუნველყოფს, რაც ინფლაციური პროცესების შეჩერების და, ამასთანავე, წარმოების განვითარების სტიმულირების შესაძლებლობას იძლევა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ბანკთაშორისი დაკრედიტების მოქნილობა და კრედიტების გაცემის რაციონალური მართვა. (გაბრიჭიძე, ა. 2009)

იმ ქვეყნებზე, რომლებშიც შიგა ფინანსური ბაზარი იზოლირებულია საერთაშორისო ბაზრისგან, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი ნაკლებად ახდენს ზეგავლენას და ნომინალურ სპროცენტო განაკვეთებს განსაზღვრავს შიგა საფინანსო-საკრედიტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, ის, თუ რა სიდიდისაა ჭარბი ფულადი მასა და ინფლაციის როგორი ტემპია მოსალოდნელი.

განვითარებად ქვეყნებში შერჩევით საკრედიტო პოლიტიკას მთავრობები ძირითადად შემდეგი მექანიზმებით ახორციელებენ:

1. მინიმალური ლიმიტების დაწესება ნაკლებად მნიშვნელოვანი დარგების დაკრედიტებისთვის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების აქტივების რეგულირების მიზნით.

2. სპეციალური საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც საკუთარ რესურსებს დაბალი საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით პრიორიტეტული დარგებისკენ მიმართავენ.

3. სარეზერვო მოთხოვნების შემცირებითა და განაღდებასთან დაკავშირებული შეღავათებით სპეციალური შესაფერისი პირობების შექმნა პრიორიტეტული დარგების დაკრედიტებაში მონაწილე ინსტიტუტებისთვის.

4. საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯზე საკრედიტო განაკვეთებისა და დეპოზიტების განსხვავების დაფინანსება. (გაბრიჭიძე, ა. 2009)

უნდა აღინიშნოს ამგვარი რეგულირების უარყოფითი მხარეებიც: პირველი, შერჩევითი საკრედიტო პოლიტიკა გულისხმობს სუბიექტური ფაქტორის ძლიერ გავლენას. მისი შედეგები იმ პირებზეა დამოკიდებული, რომლებიც პრიორიტეტულ დარგებს არჩევენ, ეს კი შესაფერისი გადაწყვეტილების მიღების შანსს ამცირებს. მეორე, იაფი კრედიტი საბანკო სესხზე მოთხოვნას ზრდის, რაც ფულადი მასის მატებასა და სავალუტო რეზერვების არასასურველ შემცირებს იწვევს. მესამე, სახსრები შეიძლება არადანიშნულებისამებრ იქნას გამოყენებული, დანაზოგების მომარაგების პროცესი ირღვევა. მეოთხე, პრიორიტეტული დარგებისთვის გასაცემ სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი ქმნის სუბსიდიების დიდ რაოდენობას, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებისგან აღებული შეღავათიანი სესხებით, დეპოზიტების შემოსავლების შემცირებით, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მოგებათა შემცირებით, საბიუჯეტო ასიგნებებით და სხვა წყაროებით იფარება.

საბანკო სფეროში იმ პრობლემათა უმეტესობა, რომლებიც ლიკვიდობასთანაა დაკავშირებული, ბანკის გარე გარემოში წარმოიშობა, გამომდინარე ლიცენზიიდან, ბანკის კლიენტების ლიკვიდობის პრობლემები ბანკის ლიკვიდობის პრობლემებად გარდაიქმნება. ბანკებში ლიკვიდობის მართვა მათთვის აუცილებელი ლიკვიდური სახსრების ხელმისაწვდომობის პრობლემასა და საპროცენტო რისკთანაა დაკავშირებული. იმისთვის, რომ ლიკვიდური სახსრები მართოს ეფექტიანად, საჭიროა, ქვეყანას ჰქონდეს შესაბამისი ბაზარი, რათა: პირველი, მათი ფულად გადაქცევის სიჩქარე ოპტიმალური იყოს; მეორე, ფასების დონე სტაბილური იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზარმა ფასების უმნიშვნელო ცვლილებებით შეძლოს გასაყიდი აქტივების მიღება. მესამე, უნდა ახასიათებდეს უკუქცევა, ესე იგი, გამყიდველისთვის შესაძლებელი უნდა იყოს პირველადი ინვესტიციების მინიმალურად ანაზღაურება. (გაბრიჭიძე, ა. 2005, 65-72)

საქართველოში ბანკების უმეტესობა ლიკვიდობას აქტივებითა და პასივებით მართავს, ანუ შუალედურ სტრატეგიას იყენებს. ბანკებს არ ეძლევათ საშუალება ლიკვიდური აქტივები შეიძინონ, რადგან საქართველოში ადგილი არ აქვს ფასიანი

ქვალდეების მსხვილმასშტაბიან მიმოქცევას, განსაკუთრებით ეს ეხება მეორად ბაზარს.

ჩანს, რომ რეალურად საქართველოში ბანკები ლიკვიდობას აქტივებით ნაკლებად მართავენ, ასეთივე მდგომარეობაა პასივებთან დაკავშირებითაც, რადგან საქართველოს არ აქვს ბაზარი, სადაც დროის საჭირო მომენტში საჭირო რაოდენობითა და მისაღები ფასებით ლიკვიდური სახსრების მოზიდვაა შესაძლებელი. ამასთანავე, პასივებით მართვა საკმაო რისკს შეიცავს და ამას ისიც ემატება, რომ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს ავალდებულებს მათი ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 30%-ს შეადგენდეს ყოველი თვის ბოლოს.

აქვე, საქართველოს ეროვნულ ბანკს რაც შეეხება, მისი საქმიანობა სარეზერვო მოთხოვნების შესაბამის რეგულირებას და კომერციულ ბანკთა რეფინანსირების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ეროვნულ ვალუტად მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულმა ლარმა უბიძგა სახელმწიფო ხელისუფლებასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო პოლიტიკის მიმართულებებისა და მიზნების ჩამოყალიბებისკენ.

ვალუტის კურსის მართვას საქართველოს ხელისუფლებისათვის შესაძლებელს გახდიდა, პირველ რიგში, ეროვნულ კეთილდღეობაზე დაკვირვება, რაც სავალუტო პოლიტიკის განსაზღვრის საფუძველს შექმნიდა. ეროვნულ კეთილდღეობასთან დაკავშირებული პრობლემები ეტაპობრივად უნდა შესწავლილიყო. პირველ რიგში, სახელმწიფომ სავალუტო პოლიტიკის 5 არსებული ვარიანტიდან ერთ-ერთი უნდა შეარჩიოს, ამ არჩევანის შემდეგ უნდა გამოიკვლიოს თუ როგორ მოქმედებს, როგორც ფიქსირებული, ასევე მცურავი სავალუტო კურსი სავალუტო ბაზარზე და დადგინდეს, როგორ შეუძლია ქვეყანას მართოს მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე. შემდეგ განიხილება და არგუმენტდება ის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რომლებიც ახასიათებს ცვალებად სავალუტო კურსს.

ეკონომისტები სავალუტო სტრატეგიებს ხუთ ჯგუფად ყოფენ: (Copeland Laurence, S., 2000, 113-117)

ცხრილი 2. სავალუტო სტრატეგიები



წყარო: Copeland Laurence, S, 2000, (10.11.2019)

სავალუტო სტრატეგია უნდა განსაზღვრულიყო იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი იყო ზემოთ ჩამოთვლილთაგან საქართველოს სავალუტო ბაზრის იმდროინდელი ვითარებისთვის შესაფერისი.

დროებითი არასტაბილურობის დაფინანსება ეფექტიანია საგადასახდელო ბალანსის დროებითი ცვლილებების წარმოქმნისას, მხოლოდ თუ მათი პროგნოზირებაა შესაძლებელი. ქვეყანას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს სავალუტო რეზერვები, თუ ეკონომიკაში არსებული დისბალანსი დროებითია. ასეთ შემთხვევაში, უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომ რეზერვების შემცირებით ფულის მიწოდების შენელებამ არ იმოქმედოს შიგა ბაზარზე და შენარჩუნდეს სტაბილურობა დადებითი სალდოს წარმოშობამდე.

მეორე სტრატეგია, სავალუტო კონტროლი. სახელმწიფოს მხრიდან სხვა ქვეყნებთან გარიგებების კონტროლი ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც მთავრობას სავალუტო რეზერვების გადანაწილების შესაძლებლობა გააჩნია. სავალუტო კონტროლის დაწყების მთავარი მიზეზი, როგორც წესი, ვალუტის შესყიდვის პროცესის დარეგულირებაა სხვადასხვა მიზნის მისაღწევად, მათ შორის სოციალურისაც.

სავალუტო კონტროლის ეფექტიანობისთვის აუცილებელია დაგეგმვის მრავალსაფეხურიანი რთული სისტემა, რომელიც ქვეყნის ყველა ეკონომიკურ თავისებურებასა და მსოფლიო ბაზარზე მის ადგილზე ამახვილებს ყურადღებას. ასევე ითვალისწინებს სავალუტო ბაზრის ოპერაციებში ჩართულ მონაწილეთა ინტერესებს.

სავალუტო სახსრების სწორი და ეფექტიანი განაწილების შემთხვევაშიც კი შეიძლება წარმოიშვას დანაკარგები: პირველი, ვალუტის უკმარისობა შიგა ბაზარს აკარგვინებს ურთიერთსარგებლიანი გარიგებების არსებობის შესაძლებლობას; მეორე, ის, თუ რამდენად რთულია სავალუტო კონტროლი, დამოკიდებულია ქვეყნის სიდიდეზე, და სირთულის ხარისხის სიმაღლე მის ეფექტიანობას უკავშირდება, კერძოდ, ეფექტიანობა იკლებს, რაც მეტად რთულია მექანიზმი. ასეთი ვითარების დროს ქვეყანა, ფინანსების მხრივ, დიდ დანაკარგებს განიცდის; და, ბოლოს, ეკონომიკაში ჩართულ სუბიექტებსა და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის დაბალგანვითარებული და შეუსაბამო კავშირის პირობებში სავალუტო კონტროლი მისი ეფექტიანობის დაწევით ეკონომიკის განვითარების შეფერხების მიზეზი ხდება. (ბარბაქაძე, ხ. 2008)

იმ ქვეყნებში, რომელთაც საბაზრო ეკონომიკა ახასიათებთ და კონვერტირებადი ვალუტა გააჩნიათ, ხშირია თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსის გამოყენება. მცურავ კურსს დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია მაშინ, როცა ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილურ მდგომარეობაშია, ინფლაცია არ არსებობს, ან მისი ძალიან დაბალი დონის შემთხვევაში ტარდება სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, საქართველოში არასასურველი იყო თავისუფალი სავალუტო კურსის გამოყენება, რადგან ეს გამოიწვევდა რიგ უარყოფით შედეგებს. ესენია: ინფლაციის დონის მატება, სავაჭრო პირობების გაუარესება, ვინაიდან თავისუფალი კურსი უკავშირდება რისკებს; ვალუტის მსყიდველობითი უნარის დაქვეითება, ეროვნული ეკონომიკის დესტაბილიზაცია, ექსპორტზე გასატანი საქონლის მწარმოებლურობა. იგი ასევე ზეგავლენას მოახდენდა ფულადი და ფისკალური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობაზე, რაც საჭიროა სტაბილური ფასებისა და სრული დასაქმების მისაღწევად.

ვალუტის რეგულირებადი ცურვის გამოყენების შემთხვევაში სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ერევა კურსის მართვის პროცესში და ასეთი პოლიტიკა მიზანმიმართულია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი მოთხოვნის შემცირების ან, ზოგ შემთხვევაში, თავიდან აცილებისკენ. ამ პროცესის განსახორციელებლად აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს ვალუტის რეზერვების მნიშვნელოვანი მარაგი. შესაბამისად, რეგულირებადი ცურვის პოლიტიკის გატარებისას შეცდომების დაშვება რეზერვების

დიდ დანაკარგებამდე მიგვიყვანს. ასეთ დროს კურსის რეგულირება კი პროფესიონალიზმსა და წინასწარ მომზადებას მოითხოვს. მიუხედავად არსებული რისკისა, საქართველოში ვალუტის მართვადი ცურვის პოლიტიკის გატარება შესაძლებლობას შექმნიდა ფინანსურ ბაზარზე წარმოშობილი სიტუაციები მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადი ყოფილიყო.

ფიქსირებული კურსის შემთხვევაში, მისი გამოყენება უპირატესია კრიზისულ ვითარებაში. მას შესწევს ინფლაციის ტემპის შენელების უნარი, ნაკლებად გვხვდება სავალუტო სპეკულაციები, რასაც ეკონომიკაზე მადესტაბილიზებელი ეფექტი აქვს. ფიქსირებული კურსის პოლიტიკა ორ ძირითად ფაქტორს ეყრდნობა. ესენია: ვალუტის რეზერვების არსებობა და საგადასახდელო ბალანსის შედარებით მცირე დეფიციტი.


1998 წელს რუსეთში წარმოშობილმა ფინანსურმა კრახმა, რაც რუსული რუბლის დევალვაციაში გამოიხატა, საქართველოს საგადასახდელო ბალანსზე უარყოფითი გავლენა იქონია, ვითარების გამოსასწორებლად და საბანკო სისტემის დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად ქვეყანა მართვადი კურსიდან მცურავ, თუმცა არა თავისუფალ (იგულისხმება ის, რომ ეროვნულმა ბანკმა ინტერვენციები აშშ დოლარის მიმართ შეწყვიტა მხოლოდ, ეროვნულ ვალუტას კი კვლავ აკონტროლებდა) კურსზე გადავიდა.

სავალუტო პოლიტიკის ცვლილების შემდეგ, რამდენიმე წელიწადის განმავლობაში, საქართველომ ორჯერ განიცადა სერიოზული საკურსო რყევა. პირველი გამოწვეული იყო ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის მიმართ ინტერვენციების შეწყვეტით და რამდენიმე დღეში დარეგულირდა. მეორე უფრო ხანგრძლივი და დიდი მასშტაბის მქონე აღმოჩნდა, ვინაიდან მისი გამომწვევი მიზეზი საგადასახდელო ბალანსის გაუარესებასთან ერთად მიმოქცევაში მყოფი ლარის მასის გაზრდა გახდა, რაც განპირობებული იყო თელასის ამონაგების სრული დახარჯვით საგადასახადო დეფიციტის ასანაზღაურებლად. ამან ვალუტის კურსის დაქვეითება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა შესაბამისი ზომები მიიღო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებით.

კერძოდ, ხელისუფლების შიგა ხარჯების დაკრედიტებით ფულის მიწოდება შეამცირა ქვეყნის საზღვრებს შიგნით და შიგა ვალის მომსახურებით თანხების ამოღება

გამკაცრა. ყოველივე ამის ეფექტი სწრაფადვე გამოჩნდა, რაც გაცვლითი კურსის ვარდნაში გამოიხატა: 1 აშშ დოლარი 1999 წლის მარტში უკვე საშუალოდ 2,265 ლარად ფასობდა, 2,171-ად აპრილში, მაისში კი 2,03-ად. მოგვიანებით, რამდენიმე წლის განმავლობაში, მაჩვენებელი 1,80-1,78-ს შორის მერყეობდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას, როცა საგადასახდელო ბალანსი არაა მკვეთრი სეზონური ზეწოლის ქვეშ, კურსი ნორმალურ ჩარჩოებში მერყეობს და საკმაოდ პროგნოზირებადია. (გვიჩია, მ., კაკაშვილი, ნ. 2005)


დიაგრამა 26. ლარის ოფიციალური კურსი აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ, 1999 წელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)


თუ 1999 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასები 5,04%-ით გაიზარდა, მარტში ეს მაჩვენებელი 1,88 იყო, აპრილში - 1,28, ამასთან მაისიდან მოყოლებული ოთხი თვის მანძილზე საქართველოში ინფლაციას საერთოდ არ ჰქონია ადგილი. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019)

დიაგრამა 27. ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ 1995-2019 (საშუალო თვიური მაჩვენებელი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

დიაგრამა 28. ინფლაციის დონე თვეების მიხედვით 1999 წელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

დიაგრამა 29. წლიური ინფლაცია 1996-2019 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

თუ დავუბრუნდებით 21-ე საუკუნის დასაწყისს, მცურავი კურსის შედეგებისა და იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელი იყო სავალუტო კურსის პოლიტიკის გადახედვა და ისევ რეგულირებად კურსზე გადასვლა.

საქართველოში ასევე სუსტად იყენებენ ოპერაციებს ღია ბაზარზე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკმაოდ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ინსტრუმენტის განვითარებისა და ფართოდ გამოყენების მიზნით მისი მუშაობის მექანიზმი უნდა განვიხილოთ. ქვეყნებში, სადაც ეს მექანიზმი კარგადაა განვითარებული, სახელმწიფო ბანკის განვითარების მაღალი დონის წყალობით, ფასიანი ქაღალდების ემისიას ვიწრო და ფართო გაგებით განიხილავენ. კერძოდ, ფართო გაგებით, იგი ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო ინსტრუმენტს წარმოადგენს, ვიწრო გაგებით კი - მექანიზმს, რომელიც ფულის მიმოქცევაზე მოქმედებს და მართავს მის მოცულობას. გარდა ამისა, იგი ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების არაემისიური ხერხია.

ამასთანავე, მისი გამოყენებით შესაძლებელია საწარმოებისა და მოსახლეობის მფლობელობაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების დროებითი მობილიზება და მის ხარჯზე იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას და მნიშვნელოვანია.

ფისკალური პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს. ამასთანავე, ანალიზიდან ჩანს, რომ მას მხოლოდ ტაქტიკური მიზნების განსახორციელებლად იყენებდნენ.

ფინანსური ბაზრები, ფულის, კაპიტალის, სადაზღვევო და საკრედიტო რესურსების ბაზრები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საბაზრო ეკონომიკისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარებაში. საქართველოში ფინანსური ბაზრები ეტაპობრივ ევოლუციას განიცდის. (მალაზონია, გ. 2002)

ზემოთ ნახსენებ მარეგულირებელ ინსტიტუტებთან ერთად სახელმწიფო ფინანსური ორგანოები, სამსახურები და კომისიები ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან.

მსოფლიო პრაქტიკიდან ცხადად ჩანს, რომ ფინანსური მომსახურების სხვადასხვა სახეობას არეგულირებენ როგორც გაერთიანებული, ისე განცალკევებული ფინანსური რეგულატორები. (კაკულია, რ. 2004)

საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები, მიიჩნევენ, რომ განვითარებად ქვეყნებში ფინანსური ბაზრის რეგულირებისთვის აუცილებელი და ნაწილობრივ საკმარისია, როცა დამოუკიდებელ განცალკევებულ ფინანსურ რეგულატორებს აქვთ შეთანხმებული და კარგად ჩამოყალიბებული ურთიერთობა, რომელიც, წესისამებრ, თანამშრომლობის მემორანდუმზეა დაფუძნებული.

2005 წლის მაისის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, ასევე მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაერთიანებულმა მისიამ FSAP (ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა) ფარგლებში, მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით საქართველოს მისცეს რეკომენდაცია ეროვნულ ბანკსა და ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის დადების თაობაზე.

2006 წელს ეროვნულმა ბანკმა გამოიჩინა ინიციატივა ურთიერთგაგების მემორანდუმზე მუშაობის დაწყებაში კომისიასა და დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურთან. კომისიამ წამოაყენა ინიციატივა სამმხრივი მემორანდუმის გაფორმების თაობაზე, და იგი განხილულიც იქნა, თუმცა ეროვნულმა ბანკმა იმ ეტაპისთვის ცალ-ცალკე მემორანდუმების დადება არჩია, რომლებსაც ხელი 2007 წელს, თებერვალში მოეწერა.

ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს ფინანსურ ორგანიზაციათა ჯგუფის წევრების, კომერციული ბანკის საქმიანობის ზედამხედველობას მის შვილობილ კომპანიებთან ერთად, რომლებიცაა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები, აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი.

ფინანსურ ურთიერთობებში შესაძლოა წარმოშვას ჯგუფური რისკები, რომლებიც საჭიროებს შეფასებას. მაგალითად, კონგლომერატში შემავალ კომერციულ ბანკს, რომელიც პრობლემურია, შეუძლია საინვესტიციო თუ სადაზღვევო კომპანიის დესტაბილიზაცია და უკანასკნელის პოლისის მფლობელებზე, ინვესტორებსა და ინდივიდუალურ მეანაბრეებზე საკმაოდ ნეგატიური გავლენა მოახდინოს. ამ რისკების გათვალისწინებით, ევროკავშირმა მიიღო დირექტივა (EUR-Lex Access to European Union law Directive 2002/87/EC 2002), რომელიც თანამშრომლობითი ზედამხედველობის სტანდარტებს აყალიბებს. ზუსტად ეს სტანდარტები გახდა ეროვნულ ბანკსა და დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს, ეროვნულ ბანკსა და კომისიას შორის გაფორმებული მემორანდუმების საფუძველი და მისი ძირითადი ელემენტია მუდმივი ინფორმაციის გაცვლა და შეთანხმებული მოქმედება საჭირო დროს.

მემორანდუმის დადება შეგვიძლია დადებით მოვლენად ჩავთვალოთ, რადგან ნახსენებ ორგანოებს შორის არაკონსტრუქციული და უსისტემო ურთიერთობა იყო წლების განმავლობაში. ამჯერად მიზანშეწონილია დაიდოს შეთანხმება კომისიასა და დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს შორის სადაზღვევო და საპენსიო სქემების ერთობლივი ზედამხედველობის შესახებ.

ფინანსური სექტორის რეგულირებისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტების სია ბაზელის კომიტეტისა და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს კუთვნილ დოკუმენტებშია აღწერილი. ამას გარდა, ფინანსური ბაზრების რეგულირებისას

გამოსაყენებელი შესაძლო მიდგომები ასახულია ევროდირექტივებში. თუმცა რა ხერხით უნდა წარიმართოს მისი განხორციელება და რეალიზაცია, ნაკლებად განხილვადი საკითხია. იმ ანგარიშებში, რომლებიც მსოფლიო კრიზისის გამომწვევ მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებს ასახავს, არ ვხვდებით ანალიზს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ფინანსური ზედამხედველობისადმი ინსტიტუციური მიდგომა. რეგულირების ინსტრუმენტების რეალიზაციისას ზედამხედველობის ეფექტიანობა ამ პროცესის საფუძველი უნდა გახდეს. მას კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისივე ინსტიტუციური მოწყობა.

ერთ დროს ფასიანი ქაღალდების, სადაზღვევო და საბანკო სექტორის განცალკევებული ზედამხედველობის კლასიკური მოდელი, ახლა გამონაკლისი უფროა, ვიდრე ჩვეულებრივი მოვლენა. ზედამხედველობის ორგანიზაციული მექანიზმი, კლაივის მიხედვით (Briault, C. 1999), მაშინაა ეფექტიანი, როცა იგი ფინანსური ბაზრების განვითარების დონესა და რეგულირებად ინსტიტუტებში მიმდინარე ძირფესვიან ცვლილებებს ერგება. ამის მაგალითია ფინანსურ ზედამხედველებს შორის არსებული საზღვრებით ეკონომიკური რეალობის ასახვის უგულვებელყოფა კონგლომერატების წარმოშობით.

თავი 4. კერძო სექტორის ჩამოყალიბება საქართველოში

4.1. პრივატიზების ტემპები და გამოცდილება

კაპიტალისტური ეკონომიკის საყრდენს წარმოადგენს კერძო სექტორი, რაც მეწარმეებისთვის უმნიშვნელოვანესია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა პრივატიზაციის საკითხი, რაც ეკონომიკაში ახალი ინსტიტუტების დანერგვას გულისხმობდა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქვეყნებმა, სადაც კერძო სექტორს დომინირებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ეკონომიკურ სფეროში დიდ წარმატებას მიაღწიეს. შესაბამისად კლასიკური კაპიტალიზმის წარმომადგენელი ქვეყნები გაცილებით მეტად განვითარდნენ ვიდრე ქვეყნები, სადაც სახელმწიფოს ჩართულობის დონე ეკონომიკურ ურთიერთობებში უფრო მაღალი იყო.

პრივატიზაციის შემდეგ საქართველოს კერძო სექტორში გაჩნდა როგორც მცირე, ისე საშუალო საწარმოები. დამოუკიდებლად არსებობის პირველი პერიოდი მათთვის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა. იმისათვის, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი დაემლია, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

კერძო სექტორის განვითარების აუცილებლობის ძირითადი მიზეზებია: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებისთვის დამახასიათებელი არაეფექტიანობა, მოთხოვნა კერძო საკუთრებაზე, საბაზრო ეკონომიკის განვითარების ობიექტური აუცილებლობა.

პრივატიზაციის სიკეთეები შეიძლება იყოს ქვეყანაში მწარმოებლურობის ზრდა, შედარებით გაძლიერებული კონკურენცია და სხვა. ეს კი საბოლოო ჯამში გამოიწვევს სახელმწიფოში ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას და ბაზრის განთავისუფლებას სახელმწიფოს მონოპოლისტური გავლენისგან. (სილაგაძე, ა., დიდბარიძე, გ., ჯუღელი, ე. და სხვ. 1996)

პრივატიზაციის მნიშვნელობა იმითაც აიხსნება, რომ ეკონომიკური დოვლათის შემქმნელ ობიექტებს გამოუჩნდებათ მესაკუთრეები, რომლებიც იზრუნებენ მათ ეფექტიან მუშაობაზე, რადგან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომლებიც დაფინანსების გარეშე ფუნქციონირებდნენ, ძალიან რთულ ვითარებაში იყვნენ და მათი უმეტესობა გამარცხვა-განადგურებას ემსხვერპლა. სახელმწიფოს უნდა

გაეკეთებინა არჩევანი: თავად დაეფინანსებინა და აემუშავებინა ეს ობიექტები, ან გადაეცა ისინი მათთვის, ვინც ამას უკეთ შეძლებდა.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესის ტემპების დასაჩქარებლად აუცილებელი გახდა საერთაშორისო გამოცდილების გადმოღება და გაზიარება. როგორც ცნობილია, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის პრივატიზაციის 3 ტიპი იყო დამახასიათებელი: ზომიერად რადიკალური, რადიკალური და ევოლუციური.

ზომიერად რადიკალური ტიპის მაგალითები გვხვდება სლოვაკეთში, ჩეხეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში. აქ მნიშვნელობა ენიჭებოდა ორ ამოცანას: პრივატიზაციის სწრაფად განხორციელებასთან ერთად ყურადღება ექცეოდა ინვესტიციების მოზიდვასა და ტექნოლოგიათა მოდერნიზაციას. ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ჩეხოსლოვაკიის კუპონური პრივატიზაცია, რომელიც 1991 წლიდან ამოქმედდა. ქვეყნის ყველა სრულწლოვან მოქალაქეს დაურიგეს საკუპონე წიგნაკები, რომლის ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლებოდა. მათ მფლობელებს შეეძლოთ საინვესტიციო ფონდების მეშვეობით შეეძინათ აქციების პაკეტი 70 000 კრონის (დაახლოებით 2800 ამერიკული დოლარის ექვივალენტი) ნომინალური ღირებულებით. კუპონური პრივატიზება იძლევა საკუთრების გაზნევის შესაძლებლობას მოსახლეობის ფენებში. ეს ხელს უშლის მესაკუთრეთა კლასის გაჩენას და თავიდან გვაცილებს დიდი პრივატიზების კრიმინალიზაციას. (მექვაბიშვილი, ე. 1997)

ეკონომიკური ეფექტიანობის კუთხით პრივატიზების ყველაზე კარგი შედეგი პოლონეთში გამოვლინდა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო რადიკალური პრივატიზების ტიპი, ინვესტორთათვის სახელმწიფო ქონების მიყიდვით. 90-იანი წლების დასაწყისისთვის არსებული 8000 საწარმოდან მხოლოდ 1150 იყო პრივატიზებული. დარჩენილი 5000 საწარმო საპრივატიზაციო უწყებას გადაეცა, რომელიც სანქცირებას თავად, თავისი სახსრებით ახორციელებდა და მიზნად ისახავდა პრივატიზაციის მომდევნო ეტაპების ჩატარებას უფრო მაღალ ფასებში. 1995 წლიდან მოყოლებული ეტაპობრივად იყიდებოდა ამ საწარმოთა აქციები, თავდაპირველად 413 საწარმოს აქცია გაიყიდა. აქციები იყიდებოდა საპრივატიზაციო სერტიფიკატებზე ან ნაღდ ფულზე. დარჩენილი 2000 საწარმო სწრაფად დაიხურა იმის გამო, რომ არ არსებობდა მათი განვითარების პერსპექტივა, ამან კი გამოიწვია

უმუშევრობის მკვეთრად გაზრდა. ამიტომ პრივატიზაციის პროცესი პოლონეთისათვის, სოციალური თანასწორობის მხრივ, ექსპერტების მხრიდან არაეფექტიანად მიიჩნევა. თუმცა იგი ხელს კაპიტალის რეალურ დაგროვებას უწყობდა, რამაც ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების გამო გამოწვეული კრიზისის სწრაფად გადალახვა უზრუნველყო. (სილაგამე, ა., გაბუნია, მ., და სხვ. 1995)

საქართველოში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესი ყველაზე მეტად რუსულ პრივატიზაციას ჰგავდა. სწორედ ამიტომ რუსული გამოცდილების განხილვა საგულისხმოა ქართული რეალობის უკეთ აღსაქმელად.

რუსეთი ხასიათდებოდა რადიკალური პრივატიზებით, თუმცა მას თავისებურებებიც ჰქონდა. თავდაპირველად გაიყიდა მცირე საწარმოების ნაწილი. დიდი საწარმოები კი უმეტესად ვაუჩერებით (რომლებიც გამოიცა პრივატიზაციისათვის) უსასყიდლოდ გადავიდა კერძო საკუთრებაში. ისინი თავდაპირველად სააქციო საზოგადოებებად გარდაიქმნა და შემდეგ ვაუჩერებზე გაიყიდა. ამასთანავე, შეღავათებით სარგებლობდნენ საწარმოს ის მუშები, რომლებმაც უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასად მოიპოვეს ამ საწარმოების აქციები.

პრივატიზაციის შემდეგი ტალღა დაიწყო 1994 წელს. ამ პერიოდში საწარმოთა აქციების ყიდვა მხოლოდ ფულით შეიძლებოდა, თუმცა მოსახლეობას ნაკლებად გააჩნდა რაიმეს მსყიდველობითი უნარი და, მით უმეტეს, საწარმოს; ამიტომაც პროცესი გაჭიანურდა. ამან შედეგად გამოიწვია ის, რომ საშუალო ფენა ვერ ჩამოაყალიბა მცირე საწარმოთა მოსახლეობის ხელში გადასვლამ. ეს პრობლემა დღემდე თვალსაჩინოა რუსეთის ეკონომიკისათვის, რადგან უმუშევრობა აქ დღემდე აქტუალური საკითხია და წარმატებული ქვეყნების გამოცდილებით მისი დაძლევა მხოლოდ მცირე მეწარმეობის განვითარებით შეიძლება.

დიდი ზომის საწარმოების პრივატიზების პროცესი კიდევ უფრო კომპლექსური ხასიათის გამოდგა. ისინი მცირე, ყველანაირად არასაბაზრო ფასად იყიდებოდა, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტმა დიდი ოდენობით თანხებზე თქვა უარი. ამრიგად რუსეთში პრივატიზაცია სიმბოლურ თანხებად განხორციელდა, რის გამოც ვერ მოხდა რეალური საბიუჯეტო კაპიტალის აკუმულირება და, შესაბამისად, პროცესი ვერც ეკონომიკურ ზრდას შეუწყობდა ხელი.

ასევე მეტად საინტერესოა ჩინეთის გამოცდილება, სადაც ევოლუციურ პრივატიზებას ჰქონდა ადგილი. თავდაპირველად სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნებისთვის საწარმოები თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ. მათ არ შეეძლოთ რესურსებითა და წარმოების საშუალებებით ვაჭრობა, თუმცა მოგვიანებით დამკვიდრდა საკუთრების ალტერნატიული ფორმები, კერძოდ ისინი იყენებდნენ ინვესტიციების ალტერნატიულ წყაროებს, როგორცაა ახალი საწარმოების შექმნა. ჩინეთმა აქცენტი გააკეთა არა საკუთრების ფორმის შეცვლაზე, არამედ წარმოებისა და ინვესტიციების გაზრდაზე. ამ მიზნების რეალიზების შედეგი წარმოების ზრდა იყო. ეს გამოცდილება ნაწილობრივ შეესაბამება რეფორმის ეკონომიკურ კრიტერიუმებს, როგორცაა: წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ტემპის დაჩქარება, ცხოვრების დონის ზრდა.

მაშასადამე, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: პრივატიზაციის ტიპების შერჩევა არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისებურებების მხედველობაში მიღება და მათი გათვალისწინება ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესში. იმისათვის, რომ დადებითი შედეგი მივიღოთ, აუცილებელია, პრივატიზაცია ორგანულად შეერწყას სახელმწიფოში მიმდინარე მაკროეკონომიკურ ცვლილებებს. თუ ამ ორ პროცესს არ დავაბალანსებთ, სასურველ შედეგზე ვერ გავალთ.

საქართველოში ეკონომიკის განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა პრივატიზაცია. ეს პროცესი რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით, როგორცაა: საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ; საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ; საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დამტკიცების თაობაზე; საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე; ქონების მართვის მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე; ქონების მართვის

მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. (ბაბუნაშვილი, თ. 1998)

საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ პრივატიზებას განსაზღვრავს, როგორც საკუთრების უფლების ყიდვას სახელმწიფოს ქონებაზე. რაც შეეხება აღნიშნული ქონების შემძენს, ის შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქე იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომლის არსებულ ქონებაში საქართველოს მონაწილეობის წილი არის 25 პროცენტზე მცირე. ამასთანავე კანონში მოცემულია მკაფიო ჩამონათვალი იმ ობიექტებისა, რომლებიც პრივატიზებას ვერ მოიპოვებენ. აღნიშნულ ჩამონათვალს ეკუთვნის ელექტროენერგეტიკული სექტორის დისპეჩერიზაციის სამსახურები. თუმცა მაინც გაურკვეველია, თუ რაზე დაყრდნობით გასხვისდა ეს სექტორი (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, 2010).

სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემის კანონიერ ფორმებს მიეკუთვნება: კონკურსი, აუქციონი, პირდაპირი მიყიდვა და იჯარა-გამოსყიდვა.

განვიხილოთ კონკურსი. ამ ფორმის მიზანია იმ მყიდველს მიანიჭოს საკუთრების უფლება, ვინც საუკეთესო პირობებს შესთავაზებს სამინისტროს.

კონკურსის ფორმით პრივატიზაციის ჩატარებისა და ორგანიზაციის წესი არის კანონით განსაზღვრული. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დადგენილებით ქვეყნდება საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი. ამის შემდგომ კი მიმდინარეობს საკვალიფიკაციო შერჩევა. იმისათვის, რომ მასში მონაწილეობა მიიღონ დაინტერესებულმა პირებმა, სამინისტროს რიგი დოკუმენტები უნდა წარუდგინონ, რომლებიც უნდა შეიცავდეს განაცხადს და მათ მიერ გაკეთებულ წინადადებებს. შერჩევის პროცესის შემდეგ გამოვლენილი პირები უკვე მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას. გამარჯვებულის სტატუსს მოიპოვებს ის მონაწილე, რომლის წარმოდგენილი წინადადებებიც დააკმაყოფილებს კონკურსის კრიტერიუმებს საუკეთესო პირობების წარმოდგენით. სამინისტროს უფლება აქვს გამოავლინოს საუკეთესო წინადადებები რიგითობის მიხედვით და მათთან მოლაპარაკებები აწარმოოს. ამის შემდეგ გამოავლენენ გამარჯვებულს, რომელთანაც აფორმებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას. (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების

პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, 1997)

ასევე მნიშვნელოვანია ვისაუბროთ აუქციონის მეთოდზე. აუქციონის გამართვისას გამარჯვებულია ის მყიდველი, რომლის შეთავაზებული ფასიც უმაღლესია ყიდვა-გაყიდვის მიმდინარეობისას. ამ დროს ობიექტის გადაცემა მიმდინარეობს მოცემული რიგითობით: ობიექტების სიის შედგენა, კვალიფიკაციის წინა ეტაპის შერჩევა, აუქციონის ჩატარება და ბოლოს ხელშეკრულების გაფორმება.

ამ ორ ფორმას შორის ბევრი მსგავსება არსებობს. მაგალითად აუქციონის დროსაც ტარდება კვალიფიკაციის წინა ეტაპის შერჩევა, რომლის ჩატარებისა და ორგანიზაციის წესი იდენტურია პირველი მეთოდით განხორციელებული მსგავსი ეტაპისა.

ამ პროცესის შემდეგ აუქციონის მონაწილე ვალდებულია სამინისტროს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები: განაცხადი, ინფორმაცია მონაწილეზე, ქონების დასახელება, რომლის ყიდვასაც აპირებს, და საწყისი ფასი. თითოეულ ობიექტზე მანამ გრძელდება ვაჭრობა სანამ ერთ-ერთი მონაწილე ყველაზე მაღალ ფასს არ შესთავაზებს. ეს პროცესი საბოლოოდ სრულდება ხელშეკრულების დადებით. (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ", 2005)

პრივატიზების კიდევ ერთი ფორმაა მიყიდვა. ამის თაობაზე შესაბამის პირობებს შეიმუშავენ და გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს პრეზიდენტი. ამ ფორმით გაყიდვის იდეა ის გახლავთ, რომ ამ დროს საკუთრების უფლება გადაეცემა იმ მყიდველს, რომელიც კეთილსინდისიერად და სრულად შეასრულებს მოცემულ პირობებს. ამ პროცესის მიზანია გასაყიდად შეთავაზებული ქონების თავისებურებებზე დაყრდნობით, წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის შესაბამისად, ინვესტიციათა მოზიდვა. (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, 1997)

კანონის თანახმად, მყიდველმა ეკონომიკის სამინისტროში უნდა წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას მყიდველის შესახებ და განაცხადს. სამინისტრო ეცნობა შემოსულ განაცხადებს ამის შემდეგ ის ამ წინადადებებს

პრეზიდენტს წარუდგენს და საბოლოოდ სწორედ პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას გაყიდოს თუ არა აღნიშნული ქონება.

აღსანიშნავია, რომ აუქციონის, კონკურსისა და პირდაპირი ფორმით განხორციელებული პრივატიზებისას შედგენილ ხელშეკრულებებში შეიტანება ცნობები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ, მყიდველის ვალდებულებები ქონებით სარგებლობის შესახებ, პრივატიზების მიმდინარეობის პირობები და თანხის დაფარვის გრაფიკი. ხელშეკრულების პირობების მიმდინარეობისას, სანამ უშუალოდ სრულად დაიფარება სახელმწიფო ქონების ღირებულება, მყიდველი იღებს ქონებას სარგებლობასა და მფლობელობაში, თუმცა წილი ან აქციები მას მართვის უფლებით გადაეცემა. საკუთრების უფლება მხოლოდ მაშინ ეძლევა, როცა სრულად დაფარავს გასაყიდ ფასს და გაიცემა მასზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა. (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, 1997)

პრივატიზების შესახებ კანონიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოქმედების დროს მყიდველს არ შეუძლია განკარგოს, სარგებლობის უფლებით გასცეს ან სხვა რაიმე სახით დატვირთოს ეს ქონება სამინისტროს ნებართვის გარეშე. ამასთანავე, მყიდველი პასუხისმგებელია აღნიშნული ქონების მოვლა-პატრონობაზე. (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, 1997)

სახელმწიფოში პრივატიზების პროცესს აკონტროლებს ეკონომიკის სამინისტრო. ის გამოავლენს სფეროში მიმდინარე კანონსაწინააღმდეგო ფაქტებსა და გადაწყვეტილებებს და მათ აღმოსაფხვრელად იღებს ზომებს. ამასთანავე, პრივატიზების პროცესთან დაკავშირებულ ყველა ბათილად ცნობის საკითხსა და სადავო ვითარებას განიხილავს სასამართლო. (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, 1997)

როგორც უკვე ვთქვით, პრივატიზაციის ფორმებს შორის არის იჯარა-გამოსყიდვა, რომლის მიხედვით მოიჯარეს ენიჭება საქმიანობის დამოუკიდებლად

განხორციელებისთვის ტერიტორიული ფასეულობის სასყიდლიანი და ვადიანი სარგებლობისა და მფლობელობის უფლება, სანამ ის გამოისყიდის იჯარით გაცემულ ქონებას. (საქართველოს მთავრობის დადგენილება მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების შესახებ, 2014)

იჯარა-გამოსყიდვის მეთოდით სახელმწიფო ქონების გადაცემა ხდება კონკურსის წესის მიხედვით. ინფორმაციის გამოქვეყნებას უზრუნველყოფს ეკონომიკური სამინისტრო ანუ მეიჯარე. დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირები თავიანთ განცხადებებს წარუდგენენ საკონკურსო კომისიას. აღნიშნული კომისია წარდგენილ განცხადებებს ატარებს რეგისტრაციაში და მას შემდეგ, რაც გამოვლინდება გამარჯვებული, ის შეჯამებულ ოქმს წარუდგენს მეიჯარეს, რომელიც ვალდებულია, რომ 10 დღის ვადაში დაამტკიცოს შედეგი. კონკურსში მონაწილეობას იღებენ შერჩევაში გამოვლენილი გამარჯვებული პირები. (სახელმწიფო მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე 1997)

გამარჯვებულის სტატუსს მიიღებს ის პირი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო კრიტერიუმებს. მას შემდეგ, რაც გამოავლენენ გამარჯვებულს, აუცილებელია გაფორმდეს გამოსყიდვის ხელშეკრულება და ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია. აუცილებელია, რომ ხელშეკრულებაში მოცემული იყოს მისი სპეციფიკისა და საკონკურსო პირობებიდან გამომდინარე ყველა მონაცემი. სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებელია, რომ საიჯარო ხელშეკრულება შეიცავდეს იჯარით გაყიდული ობიექტის ვადებს, გამოსყიდვის პირობებსა და საჯარიმო სანქციებს. თუ მოიჯარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არ შეასრულებს ის მიიღებს გაფრთხილებას და ჯარიმდება. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის დაცვა პრივატიზაციის ეფექტურობის და წარმატებულობის გარანტიაა. (სახელმწიფო მინისტრის ბრძანება „სახელმწიფო

ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 1999)

ქირისა და ქონების ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ მოიჯარეს გადაეცემა საკუთრების დამადასტურებელი ცნობა. ასევე აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციის ხარჯებს ფარავს მოიჯარე. (სახელმწიფო მინისტრის ბრძანება „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 1999)

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების რეგულირებისთვის გამოიყენება კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ. ამ კანონის მიზანია აითვისოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფონდი, დააჩქაროს მიწის ბაზრის განვითარების ტემპები და რაციონალურად გამოიყენოს ფონდი. კანონის მიხედვით, მსგავსი მიწის პრივატიზების სამი ფორმა არსებობს: სპეციალური აუქციონი, ღია აუქციონი და პირდაპირი მიყიდვის ფორმა. (საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ, 2005)

პირდაპირი მიყიდვის გზით იჯარით გაცემული ნაკვეთების პრივატიზებას, ასევე ღია აუქციონის ფორმით იჯარით გაუცემელი და ყოფილი საიჯარო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ზედამხედველობით, ხოლო იმ მიწის ნაკვეთების პრივატიზება, რომლებიც არის იჯარით გაუცემელი, სპეციალურ აუქციონზე თავად ქალაქის, სოფლის, თემის ან დაბის საკრებულო ახორციელებს. (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება “საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ“, 2005)

იჯარით გაუცემელი ნაკვეთის პრივატიზაცია სპეციალური აუქციონით ხორციელდება, იჯარით გაცემული ნაკვეთის - პირდაპირი მიყიდვით, ხოლო ისეთი მიწების, რომლებიც არ იყიდება სპეციალურ აუქციონზე- ღია აუქციონით.

სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის აუცილებელია სახელმწიფოსა და მოიჯარეს შორის გაფორმდეს ხელშეკრულება, რომელიც დარეგისტრირებული იქნება საჯარო რეესტრში. დაინტერესების შემთხვევაში მოიჯარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შესაბამის პირებს. (საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 2010)

კანონით აკრძალულია მოიჯარის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის ნაწილის პრივატიზება. იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთი დაყოფილია ერთმანეთისგან სივრცობრივ-გეოგრაფიულად განცალკევებული რამდენიმე მიწის ნაკვეთისგან, მას შეუძლია გამოისყიდოს სასურველი ნაკვეთი. თუ ხდება საიჯარო მიწის პრივატიზება, დარჩენილ მიწის ფართობზე უქმდება იჯარის ხელშეკრულება და ის გაიყიდება ღია აუქციონის ფორმით. (საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ, 1998)

პირდაპირი მიყიდვის ფორმის გამოყენებისას პრივატიზების შესასყიდი თანხა დგინდება როგორც განცხადების წარდგენის თარიღისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთის გაათმაგებული ოდენობა. გასაყიდ ფასს დაემატება შენობა-ნაგებობების ღირებულებაც მათი არსებობის შემთხვევაში. (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, 1997)

მოიჯარე ვალდებულია მიწის ნაკვეთის პრივატიზების შესახებ განცხადების წარდგენიდან ერთი თვის შემდეგ შეიტანოს სპეციალურ ანგარიშზე ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული უძრავი ქონების საფასურის მინიმუმ 20 პროცენტი. აღნიშნული გადახდის დოკუმენტი შემდეგ უნდა წარადგინოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში. თუ მოიჯარე თანხას ვადაზე ადრე გადაიხდის, მას შეუძლია ისარგებლოს ფასდაკლებით.

იჯარით გაუცემელი მიწის ნაკვეთების პრივატიზების დროს გამოიყენება ღია და სპეციალური აუქციონის ფორმები. თუ სპეციალურ აუქციონზე ვერ გამოვლინდება გამარჯვებული, შემდეგ ჩატარდება ღია აუქციონი. სპეციალურ აუქციონში მონაწილეობენ მხოლოდ იმ სოფლის, ქალაქის, თემის და დაბის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, სადაც უშუალოდ მდებარეობს გასაყიდი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ შემთხვევაში ფასის შეთავაზება უნდა გაკეთდეს

ერთჯერადად და წერილობითი სახით. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 2011)

მიწის ნაკვეთის ღირებულება, რომელიც სპეციალურ აუქციონზე იყიდება და ასევე ღია აუქციონის ფორმით გასასხვისებელი იჯარით გაუცემელი ნაკვეთის ფასი დგინდება აუქციონის გამოცხადების მომენტისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით მსგავსი ტიპის მიწაზე განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთის გაორმაგებული ოდენობის, ხოლო ყოფილი საიჯარო ნაკვეთის ფასი, რომელიც იყიდება ღია აუქციონის ფორმით, არის მასზე დადგენილი ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთის ათმაგი ოდენობა. (საქართველოს მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე 2010)

ღია და სპეციალურ აუქციონებში გამარჯვებული პირი ვალდებულია გამარჯვების დამადასტურებელი საბუთის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში გადაიხადოს ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების საფასური ან ამ საფასურის მინიმუმ 20 პროცენტი და წარადგინოს ის ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში. შემძენს შეუძლია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული უძრავი ქონების თანხა დაფაროს ერთჯერადად ან პერიოდული გადახდებით 9 წლის მანძილზე, ხოლო თუ თანხა არ დაიფარება მოცემულ ვადაში, ეს ქონება გაიყიდება. თუ ვადამდე გადაიხდის მყიდველი მთლიან ღირებულებას, ის ისარგებლებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და უძრავ ქონებაზე იპოთეკა და საკუთრების უფლება ერთად რეგისტრირდება, პირველადი რეგისტრაციის ფორმით. (საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ, 2005)

ღია, პირდაპირი მიყიდვის ან სპეციალური აუქციონის ფორმით მიწისა და ქონების შემძენმა, იმისათვის რომ დაარეგისტრიროს იპოთეკა ან საკუთრების უფლება, უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს და შესაბამის სამსახურებს წარუდგინოს

მოთხოვნილი დოკუმენტები. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 2011)

საბაზრო ეკონომიკის შუალედური ფაზის საფეხურზე მყოფი ქვეყნისათვის ეკონომიკის სიძლიერის მთავარი ფაქტორია კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესების წარმატებულად წარმართვა. მაშასადამე, უნდა წარიმართოს ისეთ პოლიტიკა, რომ ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის კურსი ორიენტირებული იყოს ოპტიმალურ დეცენტრალიზაციაზე, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების როლის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული ორგანოების ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იჯარა-გამოსყიდვისა და კონკურსის ფორმით კერძო საკუთრებაში გადაცემული ობიექტების, ასევე სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფორმებით გადაცემული ქონების მოიჯარეებსა და მყიდველებთან გაფორმებული კონტრაქტების პირობების შესრულებისა და თანხის ვადებში გადახდის პროცესების მონიტორინგი.

თუმცა, ტერიტორიული ორგანოების ჩატარებულ პრივატიზებული ქონების მყიდველებთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდის მონიტორინგის გარდა, მოსაწესრიგებელია ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული საკონკურსო პირობების შესრულების მონიტორინგიც. (ბაბუნაშვილი, თ. 1998)

კონტროლის მექანიზმის დასახვეწად და ზემოთქმული საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია, დაიგეგმოს ტერიტორიულ ორგანოთა საქმიანობის თემატური და კომპლექსური შემოწმებაც, სადაც ასევე ყურადღება დაეთმობა ტერიტორიული ორგანოების საქმიანობისას სხვა ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლსაც.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ანტიკორუფციული ღონისძიებების რეალურად გატარება ტერიტორიულ ორგანოებში. ამ მხრივ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აუცილებელია გამკაცრდეს ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კონტროლი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის მხოლოდ ერთი მხარე და მართო ამ მიმართულებით მუშაობა ვერ გამოიღებს პრაქტიკაში მნიშვნელოვან შედეგს.

თაღლითობის შესამცირებლად ასევე არსებითია კანონმდებლობათა სივრცეში ცვლილებების დაგეგმვა, რათა მოიხსნას არსებული წინააღმდეგობები, რომლებიც დღევანდელი კანონმდებლობის ძალით ეხმარება ან შესაძლოა დაეხმაროს პრივატიზაციის პროცესში გარკვეულ გარიგებებს. ამის პარალელურად, საჭიროა გაიზარდოს მოხელის შრომის ანაზღაურება. ეს კი აუცილებლად უნდა მოხდეს ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობით.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ობიექტების აქციების ფორმით განკერძოება, ანუ საფონდო ბაზარზე კერძო საკუთრებაში გადასაცემი ობიექტები მთლიანი პაკეტების ფორმით არ იქნება გამოტანილი, არამედ დაყოფილად, აქციების სახით. ეს პროცესი ხელს შეუწყობს ბირჟის განვითარებას, რომლის განვითარების დონეც საკმაოდ დაბალია, და, ასევე, ინვესტიციების მოზიდვას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისთვის.

სანამ მივიღებთ საკუთრების რეფორმების შესახებ საკანონმდებლო აქტებს, აუცილებელია საგულდაგულო ექსპერტიზა, იმის შესასწავლად, თუ რა გავლენას ახდენს ეს რეფორმა ხარისხსა და ეკონომიკისა და საზოგადოების კრიმინალიზაციაზე.

თავად პრივატიზაცია არის ანტიკორუფციული საშუალება. მაგალითად, საწარმოს კერძო საკუთრებაში გადაცემისას აზრი ეკარგება მანკიერ მოვლენებს, როგორცაა: დატაცება, ქურდობა, შემოსავლების დამალვა, გაფლანგვა, არაკომპეტენტურობა, მიწერები, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, არაპროფესიონალიზმი და სხვა მსგავსი.

საქართველოში, კანონმდებლობის თანახმად, პრივატიზაციის პროცესის რეგულირებისთვის გამოიყენება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და ბრძანებები. უკეთესი იქნება კანონქვემდებარე აქტები ძირითად კანონებში მოექცეს ან სრულიად ახალი კანონი შეიქმნას, რომელშიც ყველა ის ნორმა იქნება განსაზღვრული, რომელიც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით იყო გაწერილი. (პავლიაშვილი, ს. 2009)

როგორც ვიცით, დღეს აღარ არსებობს ქონების მართვის სამინისტრო. ამიტომ ამ სამინისტროს ბრძანებები: სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე და სახელმწიფო ქონების იჯარა-

გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე აუცილებლად საჭიროებს დახვეწას.

თუ გვსურს, რომ პრივატიზაცია წარმატებით წარმომართოს, საჭიროა ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, როგორც კანონმდებლობაში, ისე პოლიტიკაში. საჭიროა ვიცოდეთ ის, თუ რამდენად შეუძლია სახელმწიფოს შემუშავებული პოლიტიკის რეალურ ცხოვრებაში დანერგვა და რამდენად სტაბილურია ქვეყანაში ხელისუფლება.

მღელვარება და სოციალური დაძაბულობა არღვევს საწარმოო პროცესების ნორმალური ტემპით მიმდინარეობას და პროდუქციის გასაღების პროცესის შეზღუდვას იწვევს, ეს ყველაფერი კი ინვესტორთათვის არახელსაყრელ გარემოს ქმნის. რის საფუძველზეც, ქვეყანაში არსებული მაღალი რისკის გამო, ისინი ტოვებენ რეგიონს. სამეწარმეო აქტიურობის წინაპირობა სახელმწიფოში დემოკრატიული გარდაქმნების სტაბილურობაა.

სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი მსხვილი და საშუალო საწარმოების უმეტესობისთვის დამახასიათებელია არარენტაბელურობა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია რეაბილიტაცია, რესტრუქტურირაცია ან ლიკვიდაცია. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ეს საწარმოების ინვესტორებისთვის მიმზიდველი.

2012 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს ექვემდებარება და სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია მთლიანად მისი ფუნქციაა. 2012 წლიდან დღემდე სააგენტომ განახორციელა 333 363 707 ლარისა და 44 582 396 აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ელექტრონული თუ პირდაპირი მიყიდვის წესით:

ცხრილი 3. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებული მიწის ნაკვეთები რეგიონების მიხედვით (ღირებულება ეროვნულ ვალუტაში) 2012-2019 წლებში

აბაშის მუნიციპალიტეტი	376113
ადიგენის მუნიციპალიტეტი	4717657
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	523301
ასპინძის მუნიციპალიტეტი	191000

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	1200700
ახალციხის მუნიციპალიტეტი	2062150
ახმეტის მუნიციპალიტეტი	341660
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	783968
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	3528500
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	3794840
გორის მუნიციპალიტეტი	2408759
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1129191
დაბა ჩხოროწყუ	414400
დაბა აბასთუმანი	1057200
დაბა ლენტეხი	26550
დაბა ჩოხატაური	6000
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	77400
დმანისის მუნიციპალიტეტი	329050
დუშეთის მუნიციპალიტეტი	1461923
ვანის რაიონი	123818
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1244720
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	3517372
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	568011
თელავის მუნიციპალიტეტი	1014700
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	884630
თიანეთის მუნიციპალიტეტი	572050
კასპის რაიონი	835023
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	559100
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	1708678
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	6400
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1793400
მარტვილის მუნიციპალიტეტი	450015
მესტიის მუნიციპალიტეტი	1169200
მცხეთის მუნიციპალიტეტი	7538900

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	618850
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1240685
ონის მუნიციპალიტეტი	333964
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	741300
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	771700
საჩხერის რაიონი	122854
სენაკის მუნიციპალიტეტი	1710523
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	394600
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	138000
ფოთი	4116100
ქარელის მუნიციპალიტეტი	388250
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	16648400
ქუთაისი	8635700
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	547450
ყვარლის მუნიციპალიტეტი	1014400
შუახევის მუნიციპალიტეტი	16400
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	154200
ცაგერის მუნიციპალიტეტი	184703
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	299540
წალკის მუნიციპალიტეტი	765502
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1490707
ჭიათურის რაიონი	489000
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	31400
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1954700
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	492800
ხობის მუნიციპალიტეტი	2679367
ხონის რაიონი	160334

წყარო: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, 2019, (10.11.2019)

ცხრილი 4. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებული მიწის ნაკვეთები რეგიონების მიხედვით (ღირებულება აშშ დოლარში) 2012-2019 წლებში

ბათუმი	25 004 626
თბილისი	13 005
	000

წყარო: (სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2019)

ცხრილი 5. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებული სახელმწიფო საწარმოები და მოძრავი ქონება (ღირებულება ეროვნულ ვალუტაში) 2012-2019 წლებში

შპს „განთიადის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის (საიდ. კოდი №239397988)	94 000
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტრაქტორი „ბელარუსი მტზ-82“-ის (ძრავის №300986-240-1002015-A3-6)	5 800
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება „საზ-3507-22“-ის (სახელმწიფო №5284 ГРБ)	1 000
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტრაქტორი „ბელარუსი ტ-25“-ის (ძრავის №941695, შასის ნომერი - 333925)	2 500
შპს „გზამშენი-24“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის (საიდ.კოდი №217874833)	60 000
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 56 ტონა შავი ლითონის ჯართი	25 500
სს „კასპიგაზის“ (საიდ.კოდი №232539063) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 აშშ დოლარიანი ნომინალური ღირებულების 930 ცალი აქციის (სახელმწიფო წილი კაპიტალში 0.79 %)	7 000
შპს „ვარციხის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის (საიდ. კოდი 225064710)	2 010 000
შპს „ახალქალაქის მოძრავ-მექანიზებული კოლონის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის (საიდ.კოდი 223352244)	63 000

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული MOSKVICH-ის მარკის ავტომობილის (მოდელი - 21412, საიდენტიფიკაციო NM0234099-321459)	320
სს „ქობულეთის ჩაის“ (საიდ. კოდი 246953756) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 2592 ცალი ჩვეულებრივი აქციის (სახელმწიფოს წილი კაპიტალში 1.681839 %)	3 100
სს „მინას“ (საიდ. კოდი 236034830) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 24 032 ცალი ჩვეულებრივი აქციის (სახელმწიფოს წილი კაპიტალში 0.140523 %)	39 000
შპს „გრუზვინპრომის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის (საიდ. კოდი 231289290)	31 105 000
სს „ექსკავაციის“ (საიდ. კოდი 211752227) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 0.63074 ლარიანი ნომინალური ღირებულების 943 ცალი ჩვეულებრივი აქციის (სახელმწიფოს წილი კაპიტალში 4.08508 %) პრივატიზება	4 400
შპს „ბორი ოილის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 248436287) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 40%-იანი წილი	668 000
ბრძანების დანართი 1-ით განსაზღვრული მოძრავი ქონება	420
სს „კურორტი ახტალას“ (საიდ. კოდი 227720883) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 3 549 156 ცალი ჩვეულებრივი აქციის (სახელმწიფოს წილი კაპიტალში 99.54808%)	3 760 000
შპს „აკადემიკოს ე. ფიფიას სახელობის სახალხო კლინიკური საავადმყოფოს“ (საიდ. კოდი 202353755) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი	430 000

წყარო: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, 2019, (10.11.2019)

4.2. პრივატიზაცია და ნაციონალიზაცია

კერძო საკუთრებაში ქონების გადაცემის 1992 წლის გეგმით დაწყებული ეტაპი ნაწილობრივ სასურველი კურსით მიმდინარეობდა. 2005 წლის მონაცემებით 15 000-ზე მეტი საწარმო იყო პრივატიზებული, თუმცა სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი უძრავი ქონება და საწარმოო სიმძლავრეები მაინც მოცულობითი იყო. ამასთანავე დაიგეგმა სახელმწიფოს ორგანიზებით შექმნილი საწარმოების პრივატიზების პროცესიც.

2005 წელს დაიწყო შემდეგი ეტაპი, რომელიც გათვლილი იყო 2,5 წელზე. პრივატიზაციის განვითარებაზე დადებითად იმოქმედა სახელმწიფოში ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებამ. ეს თავისთავად მოიცავდა რეფორმების კომპლექტს, როგორცაა, მაგალითად, შეღავათიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. როგორც ცნობილია, თუ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია ჯანსაღი საინვესტიციო პირობები, ეს პირდაპირპროპორციულად უკავშირდება პრივატიზაციის პროცესის განვითარების შესაძლებლობებს. (ჯიბუტი, ა. 2012)

2003 წელს ვარდების რევოლუციით ახალი ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათავეში. მათ მიერ გატარებულ რეფორმებს შორის ერთ-ერთი იყო დაჩქარებული პრივატიზაციის პროცესიც. ამ პროცესის მიზანი იყო სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოები სწრაფად გადასულიყო კერძო საკუთრებაში და ასევე ეკონომიკის რეგულირების შემსუბუქება, რათა გაზრდილიყო კერძო ინვესტიციათა რიცხვი.

ხშირად არის შემთხვევები, როცა ქონების კერძო მფლობელობაში გადაცემა არის მრეწველობისა გამოჯანსაღების მთავარი მექანიზმი. პრივატიზაციისთვის გამოყოფილ ობიექტებს უმეტესად მდგომარეობის შეცვლის გარეშე ყიდიან. ასეთ დროს ცდილობენ, ობიექტებზე დააწესონ ფასები, რომლებიც ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდებით.

იმ პერიოდში ხელისუფლება მუშაობდა იმაზე, რომ მაქსიმალურად მოეზიდა სხვა ქვეყნებიდან ინვესტორები და შეექმნა საქართველოში შესაბამისი ინფრასტრუქტურა ბიზნესისთვის. რეფორმა, რომელმაც ხელი შეუწყო პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას, ეს იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებისთვის ფუნქციებისა და როლის გაზრდა, რადგან ამ პერიოდამდე აღნიშნულ რეგიონში ძალიან მცირე ოდენობის საწარმოების პრივატიზაცია მოხდა.

განვიხილოთ საყურადღებო მოვლენები, რომლებმაც ცვლილებები მოიტანეს აღნიშნულ თემატიკაში და ვნახოთ მათი გავლენა იმ პერიოდში აქტუალურ საკითხებზე. აუცილებელია, რომ სიახლეები აღნიშნულ სფეროში მოსახლეობის დიდ რაოდენობამდე მივიდეს და კერძო მფლობელობაში გადაცემის მიმდინარეობა შეძლებისდაგვარად საჯარო გახდეს. ამისთვის ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შეიმუშავეს ელექტრონული საიტი, სადაც საპრივატიზაციო ქონების თაობაზე ახალი მოვლენები და დეტალები თავსდება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ

2003 წელს ქონების მართვის სამინისტროს გაუქმების შემდეგ მისი კომპეტენცია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაეცა. შესაბამისად პრივატიზაციის მართვის უფლებამოსილებაც ზემოთ თქმულ სამინისტროს გადაეცა. (ბაბუხაძია, ა. 2008)

აღსანიშნავია, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესიდან შემოსული თანხა დაახლოებით 365 მილიონი ლარია.

1993 წელს დაიწყო საქართველოში ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი. 2003 წლის დასაწყისში საქმიანობა შეწყვიტა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, რომელიც მთავარი უფლებამოსილი ორგანო იყო პრივატიზაციის დაწყებით სტადიაზე. ეს სამინისტრო შემდეგ შეცვალა პრივატიზაციის დეპარტამენტმა და ქონების მართვის სააგენტომ.

მცირე ზომის საწარმოთა კერძო საკუთრებაში გადაცემა ამავე წლის გაზაფხულზე დაიწყო და დიდი წარმატებით განხორციელდა. 1993-2005 წლებში სულ 17 571 მსგავსი ტიპის საწარმო გადაეცა კერძო საკუთრებაში. საწარმოთა დიდი ნაწილი ამ პროცესში დაიშალა, ამან გამოიწვია ის, რომ რეალურად კერძო პირთა მფლობელობაში გადაცემული საწარმოების რაოდენობა არ ემთხვევა საპრივატიზაციოდ გამოტანილ საწარმოთა რაოდენობას.

პრივატიზებული საწარმოების უმეტესობა მოდიოდა მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორზე- 46% და 32%, ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა ენერჯეტიკის სექტორმა- 0,5%.

აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი საწარმოს პრივატიზება თბილისში მოხდა- დაახლოებით 5454 საწარმო. მეორე ადგილზე იყო იმერეთი - 3416 საწარმო და მესამე ადგილს იკავებდა ქვემო ქართლი - 1683 საწარმო. (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი, 2005)

რევოლუციის შემდეგ განხორციელებული ობიექტების სიაში ჭარბობდა აუქციონის ფორმით პრივატიზება, მეორე ადგილს იკავებდა კონკურსი და ყველაზე ნაკლებად გამოიყენებოდა პირდაპირი მიყიდვის მეთოდი.

2005 წლის ოქტომბრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების პროცესიც დაიწყო. ამ დროისათვის სახელმწიფოს კუთვნილებაში იყო 360 000 ჰექტარი

მიწის ნაკვეთი, რაც მთლიანი ფართობის 45%-ს შეადგენდა. მანამ კი 1992-1998 წლებში საერთო ფართობის 55% გადავიდა კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაში. დარჩენილი მიწის ნაკვეთების პრივატიზება 2005 წლისთვის დაიგეგმა და ამ პროცესიდან სახელმწიფო ვარაუდობდა, რომ მიიღებდა 80 მილიონი ლარის შემოსავალს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კერძო საკუთრებაში გაცემა განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარებულიყო.

თუ განვიხილავთ 1993-2005 წლების პერიოდს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრივატიზაციიდან შემოსული თანხები, რომლებიც კონსოლიდირებულ ბიუჯეტში ნაწილდება, ზრდადი სიდიდეა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 2004-2005 წლები, რადგან ამ პერიოდში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა მიზნად ისახავდა პრივატიზაციის პროცესის მაქსიმალურად დაჩქარებას.

როგორც ვიცით, პრივატიზაცია ნიშნავს მთავრობის მფლობელობაში განწესებული ქონების გაყიდვა-გასხვისებას. აღნიშნული თავისთავად ნიშნავს, რომ ქონების გასხვისებიდან ამოღებული შემოსავალი ქვეყნის ფონდში მიემართება, რაც იწვევს მთავრობის შემოსავლებისა და ბიუჯეტის გაზრდას, ესე იგი, ჩნდება დადებითი ფისკალური ეფექტიც. ამის საფუძველზე ვითარდება ქვეყნის მეურნეობა და იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ეს კი, თავისთავად, დადებითად აისახება დასაქმების დონეზე.

მწარმოებლურობის გადიდების შედეგად იზრდება მთლიანი სამამულო პროდუქტიც, ყოველივე ეს დადებითად აისახება ეკონომიკური ზრდის მონაცემებზეც. უნდა აღვნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში ვიღებთ დადებით ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც ვლინდება როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდშიც, კერძოდ კი გადასახადების სახით, რომლებსაც მოქმედი საწარმოები იხდიან ბიუჯეტში. (კახნიაშვილი, ა. 2002)

მენეჯმენტის გაუმჯობესება გულისხმობს სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული აქციების ან თავად საწარმოების მართვის უფლების მინიჭებას იურიდიული ან ფიზიკური პირებისთვის. ამ პროცესის მთავარი მიზანია, რომ აამაღლოს მართვის ეფექტიანობა. თუმცა, ამ დროს, პრივატიზაციისგან განსხვავებით,

ნაცვლად იმისა, რომ გაიზარდოს კაპიტალური შემოსავლები, იზრდება სახელმწიფო ხარჯები.

სახელმწიფო ხარჯები ყალიბდება მანქანა-დანადგარების, მატერიალური აქტივებისა და შენობა-ნაგებობების აღდგენისათვის ჩატარებული სამუშაოების ხარჯზე. ეს ყველაფერი კი საჭიროებს დამატებით ადამიანურ, ფინანსურ და სხვა სახის რესურსებს. ასევე, სახელმწიფო საწარმოების ამოქმედებისა და მათი შემდეგი ფუნქციონირებისთვის საჭირო იქნება სახელმწიფო დაფინანსება, ანუ დოტაციები. ამ დროს მთავარი ინვესტორი ისევ სახელმწიფო უნდა იყოს. შესაბამისად, დადებით ფისკალურ ეფექტს ვერც მოკლევადიან პერიოდში და ვერც გრძელვადიან პერიოდში ვერ მიიღებს სახელმწიფო, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც ეკონომიკურ ზრდას მიაღწევს.

უკეთესი იქნება, რომ მენეჯმენტის გაუმჯობესების მეთოდი გამოიყენონ არამომგებიან და კერძო ინვესტორთათვის ნაკლებად მიმზიდველ დარგებზე, როგორცაა: კავშირგაბმულობა, სამხედრო წარმოება, ენერგეტიკა და სხვა.

აქციებად გაყიდვა - ეს მეთოდი გულისხმობს მთავრობის კუთვნილებაში არსებული კომპანიების აქტივების გასხვისებას აქციების სახით საფონდო ბაზარზე, იმ პრინციპით, რომ აუქციონის არსით მფლობელის სტატუსი გადადის მასზე, ვინც უფრო მეტს გადაიხდის. ამ დროს მოკლევადიან პერიოდში ფისკალური ეფექტი იქნება იმაზე ბევრად მეტი, რაც გვაქვს პრივატიზაციის ჩვეულებრივი მეთოდის შემთხვევაში, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტშიც მეტი თანხა შევა. (ელიაძე, თ. 2014)

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სიკეთე რაც აქციებით გაყიდვას ახლავს თან არის ის, რომ ხდება საფონდო ბაზრის ჩამოყალიბების სტიმულირება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან აქ საფონდო ბაზარი მეტ-ნაკლებად არ ფუნქციონირებს. ეს ფაქტორები აუცილებლად შეუწყობს ხელს მწარმოებლურობის ამაღლებას, რაც დასაქმების დონის გაზრდისა და მთლიანი სამამულო პროდუქტის ამაღლების წინაპირობაა. ეს ეფექტი მოსახლეობისთვისაც დადებითი იქნება, რადგან შესაძლებელი იქნება საფონდო ბაზარზე აქციების შეძენა, რომლისგანაც მიღებულ დივიდენდებს მათთვის დამატებითი შემოსავლის მიცემა შეუძლია. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

თუმცა, მიუხედავად ამისა, უნდა გამოვყოთ უარყოფით მხარეც. აქციებით გაყიდვის დროს მთავარი ყურადღება ეთმობა აქციების ფასს და არა სახელმწიფოს

მიერ შემოთავაზებულ პირობებს. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო ინტერესებისა და მოსახლეობის ინტერესთა კონფლიქტი.

სტატუს-კვო ნიშნავს არსებული სიტუაციისა და მდგომარეობის შენარჩუნებას. არამატერიალური და მატერიალური აქტივები არის სახელმწიფოს საკუთრებაში და ისინი განწირულია გამარცვა-განადგურებისთვის. როცა სახელმწიფოს არ გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსები, ის ვერ მიიღებს დადებით ფისკალურ ეფექტს, ვერ შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ანუ ვერ გაზრდის ქვეყნის დასაქმების დონეს, მაშასადამე ვერ უზრუნველყოფს მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

პრივატიზაციის პროცესის შედეგიანი და დროული წარმართვა ყველაზე მეტად საჭიროა იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ დაუსრულებიათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტადია.

მიუხედავად უამრავი დადებით შედეგისა, პრივატიზაცია კვლავ ბევრი ხარვეზით ხასიათდება. ყველაზე დიდი დარღვევა არის მისი გაუმჭვირვალობა, რის გამოც ამ საქმიანობას საზოგადოების თვალში უარყოფითი და არასანდო იმიჯი უყალიბდება.

ბევრ პრობლემას ვხვდებით აღნიშნული საქმის იჯარა-გამოსყიდვის ფორმით ჩატარების შემთხვევაშიც. ძველ დროში პრივატიზაციის აღნიშნული ფორმა ითვალისწინებდა მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობას და ითვალისწინებდა საწარმოთა მიერ იჯარით აღებული ქონების განვადების მეშვეობით გამოსყიდვას. მოიჯარეს ევალეზობდა გადაეხადა გამოსასყიდი თანხა და, ასევე, ყოველწლიურად გადასახადი ჰქონდა საიჯარო ქირაც, ეს კი მყიდველისთვის წარმოადგენდა დამატებით გადასახადს და აჭიანურებდა ქონების გამოსყიდვის პროცესის მიმდინარეობას. სამინისტროსა და მოიჯარეს შორის მსგავსმა დამაბულმა ურთიერთობებმა გამოიწვია 600-ზე მეტი აქტიური ხელშეკრულების გაუქმება. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ პრივატიზაციის აღნიშნულმა ფორმამ ვერ გამოიღო შედეგი.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად 1998-2000 წლებში იჯარა გამოსყიდვის ფორმით სამინისტრომ და ადგილობრივმა ორგანოებმა გასცეს 1758 ობიექტი, აქედან 674 ობიექტი გაიცა 1998 წელს, 149 ობიექტი გაიცა 1999 წელს, ხოლო დარჩენილი 45

ობიექტი- 2000 წელს. 2004 წლის 1 იანვრის მონაცემებით იჯარა-გამოსყიდვის ფორმის მეშვეობით გაცემულ 299 ობიექტის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებებს აკონტროლებდნენ ტერიტორიული ორგანოები. აქედან 178 მოიჯარეს ერიცხებოდა თანხის დავალიანება. 17 მოიჯარეს გაუუქმდა ხელშეკრულება პირობების დარღვევის გამო და, ასევე, სასამართლოში შეტანილი იყო 34 მოიჯარეზე სარჩელი. (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი, 2005)

ანალოგიური სიტუაცია იყო კონკურსის ფორმით გაცემული ობიექტების პრივატიზების შემთხვევაშიც. ამ ფორმის ერთ-ერთი ნაკლი ის იყო, რომ კონკურსის მიმდინარეობისას ობიექტების გადაეცემოდა საექვო რეპუტაციისა და სახელის მქონე კომპანიებს.

2004 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კონკურსის მეშვეობით კერძო საკუთრებაში გადაცემული 203 ობიექტიდან თანხის დავალიანება ერიცხებოდა 71 მყიდველს. 3 მყიდველთან გაუქმდა ხელშეკრულება პირობების დარღვევის გამო, ხოლო 8 მყიდველზე სასამართლოში იყო შეტანილი სარჩელი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აუქციონის ფორმის დროს მხოლოდ ფასზე ორიენტაციის გაკეთება დამაკმაყოფილებელ შედეგს ვერ მოგვცემს. მართალია, ამ დროს ბიუჯეტში შეტანილი თანხა მაღალია, მაგრამ ამ მეთოდით პრივატიზებულ ობიექტს მხოლოდ ფულის გადახდის ვალდებულება მიყვება, რომლის დაფარვის ვადაც ერთი თვეა. შესაბამისად არსად არ არის აქცენტი გაკეთებული სოციალურ პირობებზე, რაც, თავისთავად, უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალური მაჩვენებლების განვითარებაზე.

კიდევ ერთი გავრცელებული პრობლემაა, როცა მყიდველი ვერ ახერხებს კანონით დადგენილ ვადაში სრულად დაფაროს პრივატიზებული ობიექტის ღირებულება. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა საზოგადოება ნამდვილად მზად იყო გადაეხადა თანხა, თუმცა ერთი თვე არ იყო მისთვის საკმარისი ფულადი რესურსების მობილიზაციისთვის, რის გამოც ეს გარიგება ჩაშლილა. ეს ვითარება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აიძულებდა თანხის დაფარვის პერიოდი 3 თვემდე გაეზარდა, მაგრამ რადგან აუქციონის დროს თანხის დაფარვის ვადა მკაცრად შეზღუდულია, ობიექტი პრივატიზდება კონკურსის წესით. (სახელმწიფო ქონების მართვა: პრივატიზება და ნორმატიული დოკუმენტები 2003)

ასევე მოსაწესრიგებელია ხელშეკრულებაში მოცემული საკონკურსო პირობების სამართლიანად შესრულების კონტროლიც. აღნიშნული საკითხი საჭიროებს კონკურსის პირობების შესრულების მიმდინარეობისა და ამ პროცესში ჩატარებული სამუშაოების შესწავლას ადგილზევე.

სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მსხვილი და საშუალო საწარმოების პრივატიზაცია საქართველოსთვის ნაკლებად რენტაბელური პროცესი იყო. მსხვილ საწარმოებზედმეტად დიდი ზომისა იყო და, ამასთანავე, მათი აქტივები ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო: ჭარბი სამუშაო ძალა, დიდი დავალიანებები და სხვა. მნიშვნელოვანი სექტორები, როგორცაა სატელეკომუნიკაციო მრეწველობა, ტრანსპორტი და ენერგეტიკა, საჭიროებდა მოდერნიზაციას, რათა ინვესტორთათვის მიმზიდველი გამხდარიყო. ეს სამინისტრო რეორგანიზების პროცესში მოყვა, მისი სამართალმემკვიდრე ამ ეტაპზე არსებობს დეპარტამენტის ფორმით და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნაწილია.

ასევე აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები არის რედაქციულად დასახვეწი. განსაკუთრებით შემდეგი: ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე და ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს კანონის სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ მერვე მუხლში განსაზღვრულია პრივატიზებიდან ამოღებული თანხის გამოყენების მიმართულებათა პრიორიტეტები: წარმოების დარში ახალი სამუშაო პოზიციების შექმნის ღონისძიებების ჩატარება, მცირე ბიზნესის წარმოების განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვა და პრივატიზაციის პროცესში წარმოქმნილი ორგანიზაციული ხარჯების დაფარვა. თუმცა აღნიშნულ მუხლს რეალურად არ აქვს არანაირი ძალა და პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხების განაწილება ხდება ამ მუხლის უგულებელყოფით. შესაბამისად, ეს ნორმა ძალადაკარგულია.

საქართველოს კანონის სახელმწიფო პრივატიზების შესახებ მეოთხე მუხლში გამოყოფილია ის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც არ

ექვემდებარება პრივატიზებას, თუმცა ზოგიერთი ობიექტი ამ სიიდან უკვე არის პრივატიზებული ან იგეგმება მისი პრივატიზაცია.

ასევე პრივატიზაციის პროცესს ახლავს ბევრი შემაფერხებელი გარემოება: ინსტიტუციონალურად გაუმართავი კერძო საკუთრების უფლებათა დაცვა და სასამართლო სისტემა. ინვესტორები დიდ ყურადღებას აქცევენ სასამართლოს ობიექტურობის ხარისხს. ისინი დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში ხელისუფლების ორგანო ობიექტურად გადაწყვეტს მას და რომ ქვეყანაში არსებობს ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია მისი ინტერესების დაცვა.

პოსტსოციალისტური ქვეყნები და მათ შორის საქართველო ტრანსფორმაციის პროცესში არიან. აღნიშნულ პროცესში იგულისხმება სოციალისტური სისტემის შეცვლა კაპიტალისტური სისტემით, როგორც ევოლუციური, ისე რევოლუციური გზით.

ტრანსფორმაცია შესაძლოა იყოს ინსტიტუციური და სისტემური. ინსტიტუციური ტრანსფორმაციის მახასიათებლებია: კერძო სექტორის დამკვიდრება, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, თავისუფალი კონკურენციის დროს სახელმწიფოს გარანტიის დაკანონება, სახელმწიფო საკუთრების განკერძოება და პრივატიზაციის განხორციელება.

ამდენად, აღნიშნული პროცესი ეკონომიკური სისტემების სხვადასხვა დარგში საბაზრო ძალების ჩამოყალიბებას განაპირობებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლისთვისაა სასარგებლო, რადგან შედეგად ვიღებთ გაუმჯობესებულ ეფექტურობას, რისი საშუალებითაც სთავაზობს მომხმარებლებს იაფ პროდუქტს და ასევე თავისუფალი არჩევანის უფლებას.

ასევე, პრივატიზაცია ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ზრდის, რაც იძლევა ფასების შემცირების საშუალებას და შრომის ნაყოფიერების ზრდის გარანტიას.

საზოგადოდ, ყოველთვის გავრცელებული იყო აზრი, რომ პრივატიზაცია არის მეთოდი, რომლის დროსაც შეიძლება ერთი ხელის მოსმით შევცვალოთ სახელმწიფო სექტორი კერძო სექტორით.

ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემით სახელმწიფოს ხარჯები მის საკუთრებაში არსებული ქონების შენახვასა და დაფინანსებაზე მნიშვნელოვნად მცირდება და ნულის ტოლი ხდება. მაშასადამე, საპრივატიზაციო კომპანიების აქციებისა და აქტივების გასხვისება განაპირობებს სახელმწიფოსთვის მოგების გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ მასობრივი და დაჩქარებული პრივატიზება არ არის ეფექტიანი, როცა სახელმწიფოში არ არსებობს კონკურენცია და როცა ის სუსტია. ასეთ დროს პრივატიზება უბრალოდ საკუთრების გადანაწილების საშუალებაა მცირერიცხოვან პრივილეგიურულ ჩინოვნიკებს შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე მეწარმეობის სტიმულირება კერძო სექტორის თვითდაფინანსების საფუძველზე. ტრანსფორმაციული კრიზისის მიზეზთაგან ერთ-ერთ ძირითადია კერძო საკუთრებაში მყოფი საწარმოების უმოქმედობა ან მათი მცირე დატვირთვით მუშაობა.

კერძო საკუთრებაში ქონების გადაცემის ჩატარების შედეგად სასურველია, რომ მივიღოთ წარმატებული მფლობელების ფენა, რაც, თავისთავად, არის საშუალო ფენის გაჩენის წინაპირობა. სხვა სიტუაციებში აღნიშნული საქმიანობა კარგავს აზრს და ის ვერ მოგვცემს ყველაზე საჭირო და სასურველ შედეგს, როგორცაა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა. მაშასადამე, პრივატიზება არის სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ამალგების ძალიან სასარგებლო იარაღი. ის მნიშვნელოვანი და არსებითი მოვლენაა, მისი სწორი კურსით წარმართვა ქვეყნის წინსვლასა გამოიწვევს.

4.3. შერეული ეკონომიკა, საკუთრების შერეული ფორმები

ინვესტირების თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, მიღებული ობიექტი, შემძენისთვის ანუ ამ შემთხვევაში ინვესტორისთვის, საინტერესოა საინვესტიციო თვალსაზრისითაც. ხშირია შემთხვევები, როცა სახელმწიფო თავად განსაზღვრავს და მოითხოვს, რომ შემძენმა მიღებულ ობიექტში განახორციელოს ინვესტიცია. ამასთანავე, პრივატიზაცია შედეგის მომტანი გზაა ეკონომიკისა და ადგილობრივი მრეწველობის რეაბილიტაციის მისაღწევად. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ გვაძლევს შემდეგ განმარტებას:

ინვესტიცია არის ყველა სახის ინტელექტუალური ან ქონებრივი უფლება ან ფასეულობა, რომელიც გამოიყენება და დაბანდდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეწარმეო საქმიანობაში მოგების მისაღებად. (ხურცია, ლ. 2006)

ინვესტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი (იურიდიული ან ფიზიკური პირი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაცია), რომელიც ინვესტიციას დებს საქართველოში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოში არსებობდეს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, რადგან მისი არსებობა ხელს უწყობს ქვეყანაში პრივატიზების პროცესის ეფექტიანობის ზრდასა და გაფართოებას. ამასთან, აღნიშნული კანონის თანახმად, უცხოელ ინვესტორებს არ უნდა ჰქონდეთ იმაზე ნაკლები გარანტიები და უფლებები, რითაც საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირები სარგებლობენ, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საქართველოში ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩამოყალიბდა საინვესტიციო სააგენტო, რომლის მიზანია საინვესტიციო გარემოს განვითარება, სახელმწიფო პროგრამების შემუშავება აღნიშნულ სფეროში და სხვა. ამ მიზნის რეალიზაციისთვის კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ უცხოელ ინვესტორებს სთავაზობს შედარებით შეღავათიან სამართლებრივ რეგულირების რეჟიმს. ამის მაგალითია საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ კანონით დადგენილი ინვესტიციებისთვის აუარესებს პირობებს, თუმცა ეს კანონი არ ვრცელდება მისი დამტკიცებიდან 10 წლის განმავლობაში უკვე არსებულ ინვესტიციებზე. ამასთანავე, ადგილობრივი ინვესტორების მსგავსად, უცხოელ ინვესტორებსაც უწესდებათ ზიანის ანაზღაურება შეიარაღებული კონფლიქტებისა და საომარი მდგომარეობის დროს. ასევე აღსანიშნავია, რომ ინვესტიცია უპირობოდ და მთლიანად არის დაცული სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით. (თეთრუაშვილი, ზ. 1999)

პრივატიზაციის პროცესმა განაპირობა ის, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ბევრი იურიდიული პირი სამეწარმეო ინტერესებითა და კანონმდებლობით დადგენილი სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. იმ პერიოდში საფონდო ბაზრის განვითარებისა და არსებული პრივატიზაციის პროცესის დასახვეწად მნიშვნელოვანი იყო საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და არსებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ეფექტური და გამჭვირვალე ფორმირება.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სწორად შერჩევა არის ერთ-ერთი გადამწყვეტი საკითხი სამეწარმეო საქმიანობის სწორად და ეფექტურად მართვისთვის. ამ მიზნით საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ ნათლად აყალიბებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შემდეგ სახეებს: სოლიდარული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება, ინდივიდუალური საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება და კოოპერატივი. ინდივიდუალური მეწარმე არის ინდივიდუალური საწარმოს მეპატრონე ფიზიკური პირი. მისი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია, რომ ორგანიზაცია იყოს სამეწარმეო წესის შესაბამისად გამართული და მას ჰქონდეს მოწესრიგებული საბუღალტრო და საკასო საქმე. ის თავისი სახელით გამოდის სამართლებრივ ურთიერთობებში. დანარჩენი სამართლებრივი ფორმები კი არიან იურიდიული პირები. თუ საწარმოში, გარდა კოოპერატივისა, პარტნიორთა რიცხვი 50 კაცზე მეტია, მაშინ ის აუცილებლად სააქციო საზოგადოებად უნდა ჩამოყალიბდეს.

საწარმო უფლება-მოვალეობათა მქონე სუბიექტად წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარეგისტრირდება სამეწარმეო რეესტრში, თუმცა ეს არ ეხება სახაზინო საწარმოებს. საქართველოში აღნიშნულ რეესტრს აწარმოებს ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო დეპარტამენტში. საგადასახადო ორგანოში განცხადება უნდა შეიტანონ ჩამოყალიბებული საზოგადოების ადგილსამყოფელის შესაბამისად. ყველა საწარმოსთვის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ განცხადება შეიცავდეს ჩამოთვლილ რეკვიზიტებს: ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი ანუ ადგილსამყოფელი, ინფორმაცია დამფუძნებელ პარტნიორთა შესახებ, სამეურნეო წლის დასაწყისისა და დასასრულის შესახებ მონაცემები.

აღნიშნულის გარდა, კანონმდებლობით ასევე შეიძლება გათვალისწინებული იყოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის. აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური მეწარმე საკუთარი საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პირადად აგებს პასუხს. კომანდიტური საზოგადოების ის პირები, რომლებიც პერსონალურად

პასუხისმგებელი პარტნიორები არიან და სოლიდარული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე უშუალოდ, მთლიანად, შეუზღუდავად, პირდაპირ ანუ სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საწესდებო კაპიტალის ფორმირების დროს შესატანი შეიძლება იყოს როგორც არამატერიალური, ისე მატერიალური ქონებრივი ობიექტი, მომსახურების გაწევისა და სამუშაოს შესრულების გარდა. ასევე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ ფულადი ფორმით.

საინვესტიციო საქმიანობისა და პრივატიზაციის ერთმანეთთან დაკავშირება ბევრი საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მათი კავშირიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში საინვესტიციო გარემოს განვითარებას, თავისთავად პრივატიზაციის პროცესის დახვეწასა და განვითარებასაც უწყობს ხელს. (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 2005)

თავი 5. საქართველოს ინსტიტუციური რეფორმების პოლიტიკური სტრატეგია

5.1. ლიბერტარიანიზმის ქართული მოდელი და მისი დღევანდელი

მდგომარეობა

სოციალურ-პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონის მიხედვით პოლიტიკური მოწყობის ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ფუნქციების და როლის შეზღუდვას მინიმუმამდე, ლიბერტარიანიზმი ეწოდება. ამ იდეოლოგიას საფუძვლად უდევს პიროვნების თავისუფალი ნება, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. (კოდუა, ე. 2004)

2003 წლიდან მოყოლებული სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული იყო იმ ინსტიტუციური გარდაქმნებისკენ, რომლებსაც ლიბერალიზმი უნდა დაენერგა ქვეყანაში. რეფორმები მიმართული იყო არსებული რეჟიმის ნგრევისკენ და ძველი სისტემის არაეფექტიანობის მთავარ მიზეზად დასახელდა ბიუროკრატის მაღალი დონე სახელმწიფოს მხრიდან, რამაც ქვეყანა კორუფციისა და მექრთამეობის „ინსტიტუციურ ხაფანგში“ შეიყვანა. სწორედ ამიტომ, ლიბერალიზმის მომხრე საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ქართული ლიბერტარიანიზმის დანერგვა ორი მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო. პირველი შეეხებოდა კორუფციის დაძლევას, ხოლო მეორე უშუალოდ ბაზარს და მისთვის მაქსიმალური თავისუფლების მინიჭებას სახელმწიფო რეგულაციებისაგან.


ბაზრის ლიბერალიზაცია გულისხმობდა სახელმწიფოს მაქსიმალურ გამიჯვნას ეკონომიკისგან. პირველი რეფორმა შეეხებოდა ლიცენზირებისა და ნებართვების შემცირებას. დარჩა მხოლოდ 45 ლიცენზირებას და 52 ნებართვას დაქვემდებარებული სფერო, რომელთა ოდენობა კანონის რეფორმირებამდე 909 გახლდათ. (საქართველოს კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ, 2005) გარდა ამისა შემცირდა გადასახადების რაოდენობაც და არსებული 21 გადასახადი 6-მდე დავიდა. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010) ეტაპობრივად ხდებოდა საგარეო ვაჭრობის კვოტების შემცირება მინიმუმამდე. იმპორტის 80% გათავისუფლდა გადასახადისგან, ხოლო დარჩენილი 20% მხოლოდ 0,4%-ით იბეგრებოდა. ამ რეფორმებმა საქართველოს მოუტანა მიმზიდველი, თავისუფალი ბიზნეს-გარემო ინვესტორებისა და მეწარმეებისათვის. გამარტივდა, როგორც ბიზნესის დაწყება, „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დანერგვით, ისე მისი წარმოება.

სახელმწიფომ თავისი რეგულაციები შეამცირა დამქირავებლებსა და დაქირავებულების ურთიერთობებისგან გამიჯვნითაც. 2006 წელს მოხდა შრომის კანონის მოდერნიზებისას არსებული 250 პუნქტიდან მხოლოდ 55 დატოვეს. (საქართველოს შრომის კოდექსი, 2010) სახელმწიფომ კერძო ხელშეკრულებებს მიანდო ისეთი საკითხების გადაწყვეტაც, რომლებიც შეეხებოდა ვალდებულების გასტუმრებას. კერძოდ, თუ წარსულში კრედიტის გამცემს შეეძლო გარანტიად მოეთხოვა მსესხებლისგან საბაზისო კაპიტალის ქონა და, უფრო მეტიც, ურთიერთობას გარანტიებს შუალედური ინსტანციაც უწესრიგებდა, ახალი კანონით სრულიად გაუქმდა ორივე მოთხოვნა. აქციონერებს შეეძლოთ სრულიად განეკარგათ მოგება სურვილისამებრ და არავინ აიძულებდა მათ მოგებიდან ბიზნესის გასაგრძელებლად საჭირო რესურსის დაბეგვას.

მთავრობის ლიბერტარიანული იდეებისადმი ლტოლვის კიდევ ერთი დასტური გახლდათ 2005 წელს მიღებული, რომლითაც ანტიმონოპოლიური სამსახური სრულიად უფუნქციო და უუნარო აღმოჩნდა და იგი ჩაანაცვლეს კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტოთი. (საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, 2005) სახელმწიფო ასევე განიხილავდა ფულის ემისიიდან გასვლის საკითხსაც ნაციონალური ბანკის გაუქმების გზით. (Puppo, L. 2013) გარდა ამისა, 2008 წლიდან აქცენტი გაკეთდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნაზე. ხოლო უკვე 2010 წლიდან შეიქმნა თავისუფალი ტურისტული ზონები. ეს გულისხმობდა იმას, რომ შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქებში ინვესტორის მიერ 1 მლნ ლარის ოდენობის ინვესტირება სასტუმროს მშენებლობაზე მას მოუტანდა 15 წლიან თავისუფლებას როგორც ქონების, ისე მოგების გადასახადისგან. (საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ, 2010)

ამ რეფორმებმა საქართველოს მოუტანეს კონტრასტული შედეგები, რომლებიც შეგვიძლია ავხსნათ სხვადასხვა რეიტინგებში საქართველოს ადგილმდებარეობიდან გამომდინარე.

დიაგრამა 30. Doing business რეიტინგში საქართველო 2009-2019 წლებში



წყარო: The Doing Business, 2019, (10.11.2019)

ცხრილი 6. The Heritage Foundation რეიტინგში საქართველო 2013 წლის

მონაცემებით

ეკონომიკის თავისუფლება	21
ბიზნესის თავისუფლება	16
სამუშაო უფლებები	3
ვაჭრობის თავისუფლება	6

წყარო: The Heritage Foundation, 2019, (10.11.2019)

ცხრილი 7. საკუთრების და კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში საქართველო

2011 წლის მონაცემებით

საერთაშორისო საკუთრების უფლებების ინდექსი	113
გლობალური კონკურენციის ინდექსი	131


წყარო: International Property Right Index, 2011, The Global Competitiveness Report, 2012, (10.11.2019)

რეპორტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზნესის თავისუფლების მხრივ საქართველომ საერთაშორისო დონეზე მოიპოვა აღიარება, თუმცა იყო კი რეალურად ეს მაჩვენებლები ავთენტური?! (Timm, C. 2013) ამ საკითხს უამრავი ექსპერტი ჩაუღრმავდა. ფაქტია, რომ ქვეყანა, რომელიც Doing Business-ისა და The Heritage Foundation-ის კვლევებით წამყვან პოზიციებზე იმყოფებოდა, ამავდროულად სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა კონკურენტული გარემოს შექმნის და საკუთრების უფლების დაცვის კუთხით. ეს პრობლემები წარმოშვა სხვადასხვა ფაქტორებმა. პირველი გახლდათ ის, რომ საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, ხოლო იმპორტდამოკიდებულება ხშირად ნებით თუ უნებლიეთ, წარმოშობს

მონოპოლიურ გარემოს კონკრეტული იმპორტიორისთვის, რომელსაც კონკრეტული კომპანიისგან აქვს ექსკლუზივი პროდუქციის შეტანაზე. რასაკვირველია, მწარმოებლისთვის ეს სიტუაცია ხელსაყრელია, რასაც ვერ ვიტყვით იმპორტიორ ქვეყანაზე. გარდამავალ ეკონომიკებში, ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ, თუ რაოდენ დიდია სახელისუფლებო წრეების მიერ კორუფციულ გარიგებებში ჩართვის ცდუნება, რაც წარმოშობს ელიტარულ კორუფციას. ექსკლუზიური კონტრაქტის მქონე იმპორტის განმახორციელებელი ფირმის კეთილდღეობის წისქვილზე პირდაპირ დაახამს წყალს ის ფაქტი, თუ ხელისუფლება ამ პროდუქციის კონკურენტ სხვა კომპანიებზე დააწესებს შეზღუდვებს იმპორტისას. ეს საბოლოოდ მოიტანს მანკიერ კონკურენტულ გარემოს და ეკონომიკა არაეფექტიან ვითარებაში აღმოჩნდება.


შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ პერიოდში ეკონომიკურ ზრდას განაპირობებდა თავად სახელმწიფოს განხორციელებული ინვესტიციები, რომელთა მსხვილი ნაწილი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის იყო გაღებული. უმუშევრობა ამ შემთხვევაშიც პრობლემა იყო. დასაქმებულთა წილი ეკონომიკურ განვითარებაში უარყოფითი სიდიდე იყო და 1.6%-იანი შემცირების მიმართულებით ხასიათდებოდა.

დიაგრამა 31. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ჯამურად 2007-2018 წლები (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, (10.11.2019)

დიაგრამა 32. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2007-2018 წლები (ათასი აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, (10.11.2019)

მოელოდნენ, რომ უცხოური ინვესტიციები იმდენად მასშტაბური იქნებოდა, რომ დაეხმარებოდა ქვეყანაში ტექნოლოგიათა დანერგვასა და ახალი ცოდნის გაზიარებას, ეს კი თავისთავად შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს და გაზრდიდა ექსპორტის შესაძლებლობებს. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. მართალია ინვესტიციები განხორციელდა, მაგრამ მათი უმეტესობა მხოლოდ კაპიტალტევად დარგებში ჩაიღო, ასეთ დარგებში კი დასაქმების მაჩვენებლები ძალიან დაბალია.

საქართველოში 2009 წელს დაფიქსირდა უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაც 16.9% იყო. მაგრამ ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მაჩვენებელმა იკლო და 2012-ში 15 პროცენტს გაუტოლდა. რეალობა ისაა, რომ დასაქმებულთა 2/3 არის თვითდასაქმებული. მათი უმეტესობა სოფლის მეურნეობის დარგებში საქმიანობს და მათი მთავარი დანიშნულებაა საკუთარი მოხმარების პროდუქციის შექმნა.


დიაგრამა 33. 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 1998-2018*



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, (10.11.2019)

ასევე ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგებს ექსპორტის მხრივ. ექსპორტის დივერსიფიცირება მხოლოდ უმნიშვნელო იყო და მისი კონკურენტუნარიანობა თითქმის არ გაზრდილა. სამაგიეროდ გაიზარდა იმპორტის მოცულობა და მან საგრძნობლად გადაასწრო ექსპორტის მაჩვენებლებს. ამ ფაქტმა კი შედეგად მოიტანა ის, რომ საქართველოს აქვს უარყოფითი საგარეო ვაჭრობის სალდო. ეს კი მაკროეკონომიკური თვალსაზრისით დიდი პრობლემაა.

დიაგრამა 34. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი 1995-2019 წლებში (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, (10.11.2019)

ამ ფაქტების შეჯერებით შეგვიძლია გავანალიზოთ უახლოესი წარსულის მდგომარეობა და მიმოვიხილოთ ეკონომიკური პოლიტიკა. როგორც ვხედავთ პოლიტიკა წარმატებული იყო მხოლოდ გარკვეულ ასპექტებში. მოკლევადიანი თვალსაზრისით მოხდა ინვესტიციების მოზიდვა და მცირე ხნით ზრდის სტიმულირება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ვერ ჩაითვლება მიღწევად.

ამასთანავე ეს შედეგები არც კი გავრცელდა მოსახლეობის მთელ ფენებზე. შესაბამისად შედეგად ვერ მივიღეთ სიღარიბის დაძლევა და უმუშევრობის დონის შემცირება. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი კი სწორედ ის არის, რომ დაძლიოს ეს პრობლემები და სოციალური დაცვის მძლავრი მექანიზმი შექმნას, რომელსაც ადამიანური კაპიტალის ხელშეწყობითა და განვითარებით უზრუნველყოფს.

5.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხია მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) განვითარება. აღნიშნული სფერო პასუხისმგებელია დასაქმების ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე. სწორედ ამ ძირითადი მიზეზების გამო შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნესსექტორს ნებისმიერი ქვეყნისთვის „ეკონომიკის ხერხემლის“ ფუნქცია აკისრია. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი სოციალური დატვირთვა აქვს, იგი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირებას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ ამ სფეროს სტაბილური განვითარება ეკონომიკის სტაბილური განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. ბოლო პერიოდებში განვითარებული ქვეყნების მსკ-ს 50-70%-ს აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, განვითარებული ქვეყნების მთავრობები პრიორიტეტულად მიიჩნევენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მაღალი ტემპების შენარჩუნებას.

სწორედ მცირე და საშუალო სექტორია პასუხისმგებელი საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის პროცესში საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირების საკითხზე. საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო ინსტიტუტების ფორმირება სწორედ მათი ფუნქციონირების შედეგია და ამ პროცესებში მსხვილ საწარმოთა როლი მინიმუმამდეა დაყვანილი. ხოლო რაც უფრო ძლიერია ეს სექტორი მით უფრო მეტია შანსი რომ ჩამოყალიბდეს ჯანსაღი ინსტიტუტები, რომლებიც ბაზარზე სრულფასოვანი კონკურენციისა და განვითარებული სტანდარტების დანერგვას შეუწყობენ ხელს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია განვიხილოთ აუდიტის სამსახური, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საშუამავლო კომპანიები და სხვა მსგავსი ინსტიტუტები, რომლებიც თანამედროვე ეკონომიკური გარემოს განუყოფელი ნაწილია.

მცირე საწარმოებს მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია აკისრიათ, მათ შესწევთ უნარი მსხვილი მასშტაბებით „აითვისონ“ დაუსაქმებელი სამუშაო ძალა, რომელიც გამოთავისუფლებულია მსხვილი საწარმოებიდან, შეამცირონ ან მეტ-ნაკლებად განმუხტონ ეკონომიკური კრიზისისა თუ ვარდნის პირობებში წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობა. ამდენად, ნებისმიერ რეფორმაში თუ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ჩაიდოს სამეწარმეო აქტივობის გამოცოცხლება, რომლის საკმაოდ მსხვილ სეგმენტს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესი.

მცირე საწარმოები საკმაოდ ეფექტიანია მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში: მცირე მექანიზმები, დეტალები და ნახევარფაბრიკატები, რისი წარმოებაც მსხვილი საწარმოებისთვის არარენტაბელურია, ამიტომაც დასავლეთის ქვეყნებში დამკვიდრებულია მცირე საწარმოების მიმართ სისტემური მიდგომა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული საქართველოში დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ინსტიტუციების ჩამოყალიბება და საკანონმდებლო ბაზის შექმნის მცდელობა. ამ დროიდან მოყოლებული მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა ეკონომიკური განვითარების ძირითად პრიორიტეტად იქნა მიჩნეული. სწორედ ამიტომ 1999 წელს მიღებული კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ ამ სექტორის განვითარების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავდა. აგრეთვე პრეზიდენტის ბრძანებით ჩამოყალიბდა „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“, რომელიც ამგვარ საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით

ახორციელებდა სპეციალურ ღონისძიებებსა და დახმარების პროგრამებს. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016)

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტად იზრდებოდა მცირე და საშუალო საწარმოთა აქტივობების პროცესი და მას სტაბილური და ეფექტიანი სახე მიეცა. კვლევების შედეგად გამოვლინდა ამ სექტორისთვის აუცილებელი ხელისშემწყობი საერთაშორისო გამოცდილება, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მაგალითზე და დაიწყო მათი დანერგვა პრაქტიკაში. თუმცა 90-იან წლებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სახელმწიფოს არაეფექტიანი მმართველობა ამ სფეროს განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორებად იქცა: კორუფციის მაღალი დონე, გადასახდებისგან თავის არიდება და შემოსავლების დამალვა, რაც ბიუჯეტის მუდმივ დეფიციტს იწვევდა, მოუქნელი საგადასახადო სისტემა, ბიუროკრატია, კორუმპირებული საჯარო მოხელეები, ჩრდილოვანი ეკონომიკა და სხვ.

ექსპერტები ხშირად აკრიტიკებენ მთავრობებს, თითქოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობა და ბიზნეს გარემოს გაჯანსაღება არ არის პრიორიტეტული. ამ მოსაზრებას ამყარებენ იმ არგუმენტებით, რომ არ ხორციელდება მცირე და საშუალო სექტორის ხელისშემწყობი ღონისძიებები ეკონომიკური პოლიტიკის დონეზე. ასევე სერიოზულ პრობლემას ვაწყდებით თვითონ მცირე და საშუალო სექტორისთვის განკუთვნილ ტერმინოლოგიურ განმარტებებთან დაკავშირებითაც. ასევე ამ სექტორისთვის განკუთვნილი სპეციალური კანონისა და ნორმატიული აქტების გაუქმების შედეგად ამ სფეროს ბიზნესმაჩვენებლები გაუარესდა. თუმცა ცალსახად მთავრობის დადანაშაულება ამ საქმეში არაკორექტული იქნება, რადგან გლობალური საფინანსო კრიზისის და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად წარმოება არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ერთობლივად განხორციელებული მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები ხელს უწყობს საკითხების გადაწყვეტას. თუმცა ძირითად შემთხვევებში ეს ღონისძიებები ფრაგმენტული ხასიათისაა და საპროექტო ვადის ამოწურვასთან ერთად ასრულებენ სასიცოცხლო ციკლს. კიდევ ერთი საკითხი არის ტექნიკური დახმარებების და სხვა მსგავსი ხელშეწყობების მდგრადობის შეფასების შეუძლებლობა, რადგან არსებული


მონაცემთა ბაზა არ იძლევა საშუალებას შეფასდეს ამ კუთხით განხორციელებული აქტივობები.

სახელმწიფო, როგორც ძალაუფლების მქონე ინსტიტუცია, განუზომლად დიდ როლს ასრულებს მცირე და საშუალო სექტორის განვითარების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს როლის ხაზგასასმელად ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა ქართველ მეწარმეებთან მოკლე კითხვარის სახით, რომელიც მათი სახელმწიფო პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას ასახავს. მეწარმეთა შერჩევის კრიტერიუმები იყო: ა) საწარმოს ზომა/სიდიდე (მომუშავეთა რიცხოვნობა და წლიური ბრუნვა), ბ) საქმიანობის სფერო. გამოკვლევულ საწარმოთა 25% საქმიანობს ვაჭრობის, 17% - სოციალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების (სილამაზის სალონი, სამკერვალო და სხვ.), 10% - დამამუშავებელი მრეწველობის (ძირითადად კვების პროდუქტების წარმოება, საცხობი, საკონდიტრო და სხვ.), 10% - სასტუმროებისა და რესტორნებია (რესტორანი, კაფე, მცირე სასტუმრო), 7% - ჯანდაცვის (სტომატოლოგიური და სხვა სახის სამკურნალო დაწესებულებები), 7% - მშენებლობისა და 7% - საინფორმაციო ტექნოლოგიების (ინტერნეტ-კაფე, კომპიუტერული მომსახურება და სხვ.), 5% - განათლების სფეროებში. შესაბამისად, კვლევის შედეგებში აისახა თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიკური სფეროს მეწარმეთა მოსაზრებები, პრობლემები და რეკომენდაციები. კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობა განაპირობა იმ ფაქტორმაც, რომ გამოკითხვა შეეხო სხვადასხვა სიდიდისა და საქმიანობის ხანგრძლივობის მქონე საწარმოებს. კერძოდ, მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით, გამოკვლევულ საწარმოთა 22% მიკრო ზომისაა, 71% - მცირე ზომის, ხოლო 6% - საშუალო ზომის. რაც შეეხება წლიურ ბრუნვას, გამოკვლევული საწარმოების 80%-ის ბრუნვა 100 ათას ლარზე ნაკლებია, ხოლო 20%-ის - 100 ათას ლარზე მეტი. გარდა ამისა მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნიეთ გაგვერკვია, თუ რამდენი ხანია აღნიშნული საწარმოები ახორციელებენ საქმიანობას. ჩვენი რესპონდენტების უმეტესობა 50% საქმიანობს 10-20 წელია, 9% - 20 წელზე მეტია, 23% - 5დან 10 წლამდე, ხოლო 18% - 5 წელზე ნაკლები ხანია. ამით მივიღეთ ის შედეგი, რომ რესპონდენტების უმეტესობა ბიზნესსაქმიანობის განხორციელების პროცესში საქმიანობდა მინიმუმ ორი ხელისუფლების პერიოდში, რაც გვაძლევს საშუალებას, რომ უფრო ვალიდური შედეგები მივიღოთ.

საქართველოში 2018 წლის მონაცემებით დარეგისტრირებულია 251732 შპს (მათ შორის აქტიური 68404) და 440416 ინდივიდუალური მეწარმე (მათ შორის აქტიური 91394). ჩვენს მიერ გამოკითხულია 500 მცირე და საშუალო სექტორის წარმომადგენელი დედაქალაქის მასშტაბით, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიღებული შედეგები არის რელევანტური და მიახლოებული რეალობასთან.

რესპონდენტებს ვთხოვეთ, დაესახელებინათ ის ცვლილებები, რომლებიც მათმა საწარმომ განიცადა მთლიანი საქმიანობის მეორე ნახევარში.

დიაგრამა 35. რესპონდენტთა დაჯგუფება საქმიანობის ბოლო ნახევარში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით



წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის შედეგები


როგორც პასუხებიდან ირკვევა, ჩვენი მეწარმე სუბიექტები პოზიტიურ ტენდენციებს ავლენენ საქმიანობის ბოლო პერიოდში, რადგან გაიზარდა მათი გაყიდვები, თანამშრომელთა ოდენობა, პროდუქციის ასორტიმენტი. ეს შედეგი ლოგიკურიცაა, რადგან ჩვენი რესპონდენტები საკმაოდ დიდი ხანია ახორციელებენ საქმიანობას და შეიძლება ითქვას, რომ ისინი კონკურენტუნარიანები არიან.

შემდეგი შეკითხვა შეეხებოდა იმ ფაქტორების ჩამოთვლას, რომელიც ხელს უშლით მათ, რომ კიდევ უფრო განვითარდნენ. აქ რესპონდენტებმა დაასახელეს მოსახლეობის დაბალი სოციალური მდგომარეობა, გადასახადებისა და გადასახდელების განაკვეთების სიდიდე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვები, მონოპოლიები, ბიზნესის კანონმდებლობის დაუხვეწაობა და ყველა მეწარმის ძირითადი პრობლემა - ინფლაციის მაღალი დონე. აღსანიშნავია, რომ ეს ის პრობლემებია, რომელთა გადაჭრაც საქართველოს ხელისუფლებას გაცხადებული აქვს

თავის ეკონომიკურ ხედვაში და შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავრობის მხრიდან ყურადღება სწორადაა გამახვილებული.

შემდეგი შეკითხვით გვინდოდა საწარმოების ტექნიკური განვითარების დონე გაგვერკვია, რადგან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესების პირდაპირი ვალდებულება დაგვაკისრა. შედეგად ხელისუფლებამ განახორციელა არაერთი პროექტი, რომლითაც დახმარება გაეწია მეწარმეებს ახალი ტექნოლოგიების შეძენაში.

დიაგრამა 36. რესპონდენტთა დაჯგუფება საწარმოს ტექნოლოგიური აღჭურვის მიხედვით




წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

შედეგები საკმაოდ პოზიტიურია, რადგან სახელმწიფო ჩართულობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნის შესაბამისად ტექნოლოგიების მოდერნიზება მეტ-ნაკლებად მიმდინარეობს საწარმოებში, გარდა ამისა, აქ ხაზი უნდა გაესვას თბილისის მერიის პროგრამას „დაიწყე ბიზნესი მერიის დახმარებით“, ორგანიზაცია AGVANTAGE-ს „გადამამუშავებელ საწარმოთა მხარდამჭერი პროგრამა“, „იაფი სესხის“ პროგრამა და სხვ. პროექტები, რომლებმაც რეალურად გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ გაამკაცრა როგორც მოთხოვნა სტანდარტებზე, ისე ხელი შეუწყო მოდერნიზებას სხვადასხვა პროექტის წამოწყებით. თუმცაღა სუბსიდიების პროგრამებს საკმაოდ ჰყავთ კრიტიკოსები, რომლებსაც უამრავი არგუმენტი მოჰყავთ ამ პროგრამების ნაკლოვანებების დასადასტურებლად. ჩვენი აზრით, სუბსიდირება გარკვეულ ეტაპამდე დასაშვებია და აუცილებელია, რათა სუსტი ეკონომიკური სუბიექტი გააძლიეროს და წახალისოს ბიზნესის. (ხარიტონაშვილი ჯ. 2008)

მომდევნო შეკითხვა შეეხებოდა უშუალოდ მეწარმეთა მოლოდინებს, თუ რამდენად პოზიტიურად არიან განწყობილნი მომავლის მიმართ. თუმცა რესპონდენტები ნამდვილად არ იყვნენ პოზიტიურად განწყობილნი, რადგან ამჟამად ინფლაციის მაღალი დონეა საქართველოში და ლარის გაუფასურება, მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც ბიზნესი კრედიტებზეა მეტწილად დამოკიდებული, საკმაოდ უარყოფით მოლოდინებს ქმნის მომავლის მიმართ.

დიაგრამა 37. რესპონდენტთა დაჯგუფება მომავლის მიმართ განწყობის შეფასების კუთხით



წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

გარდა ამისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია, რამდენად იმოქმედა მთავრობის მიერ საბანკო რეგულაციების გამკაცრებამ, რაც გამოიხატა როგორც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზღვრის დაწესებით, ისე სესხის გაცემის კრიტერიუმების გართულებით. ამიტომ რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ ის სირთულეები, რომლებსაც ისინი აწყდებიან საბანკო კრედიტის აღების დროს. როგორც ირკვევა, არსებითად პრობლემურია საბანკო პროცენტები, მიუხედავად იმისა, რომ იგი დარეგულირებულია სახელმწიფოს მხრიდან, მაინც არაა ბიზნეს სუბიექტებისთვის მომხიბვლელი.


დღეისათვის საქართველოში კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას. ეს განპირობებულია იმით, რომ ძირითადად გაიცემა მოკლევადიანი კრედიტები სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციებისათვის. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბანკების კრედიტების საერთო მოცულობაში ძალიან მცირე ხვედრითი წილი უკავია გრძელვადიან სესხებს

ინვესტიციებზე, საწარმოთა დაკრედიტებაზე. სამწუხაროდ, ბანკები სუსტად უჭერენ მხარს მცირე ბიზნესს.

სალიზინგო ოპერაციები საქართველოს კომერციული ბანკებისათვის შედარებით ახალ პროდუქტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სალიზინგო ოპერაციები ფართოდ განვითარდა განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა გამოცდილების გადმოღება მეტად სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის. თუმცა, მათ საქართველოში თავისებურებები ახასიათებთ, კერძოდ აქვთ შეზღუდული ხასიათი, რაც განპირობებულია ინფლაციით, ბანკებისათვის მსხვილი საკრედიტო რესურსების არარსებობით, სალიზინგო ოპერაციების სამართლებრივი ბაზის არასაკმარისი დამუშავებით.

რესპონდენტმა მეწარმეებმა გვიპასუხეს კითხვაზე, თუ რამდენად თვალსაჩინოა ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმები ბიზნესისათვის გარემოს გაუმჯობესების კუთხით.


დიაგრამა 38. გამოკითხულთა დაჯგუფება საქართველოში ბიზნეს გარემოს ცვლილების აღქმის მიხედვით ბოლო 2 წლის განმავლობაში



წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

პასუხებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეწარმეებისთვის სახელმწიფო პოლიტიკა ან სრულიად არადადამაკმაყოფილებელია, ან არ აქვთ ცოდნა გატარებული რეფორმების შესახებ, რაც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი საქმიანობის პიარის ნაკლებობითაა გამოწვეული. ამას არგუმენტებს ამყარებს შემდეგი შეკითხვის პასუხებიც:


დიაგრამა 39. გამოკითხულთა დაჯგუფება სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვასთან დამოკიდებულებით



წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

ბოლო შეკითხვა შეეხებოდა სახელმწიფო პროგრამების ცნობადობასა და მათში ჩართულობის სურვილს რესპოდენტების მხრიდან. როგორც ირკვევა, სახელმწიფო პროგრამები გაცილებით მეტ ნდობას იმსახურებენ ბიზნესმენების მხრიდან, ვიდრე ბანკების მიერ შეთავაზებული პროგრამები.

დიაგრამა 40. რესპონდენტთა დაჯგუფება სახელმწიფო პროგრამებით ინფორმირებულობისა და მათში ჩართულობის მიხედვით



წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, (10.11.2019)

როგორც ვხედავთ აქაც პიარის ელემენტების ნაკლებობაა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, რადგან პროგრამებში ჩართვის სურვილი რესპოდენტებმა გამოთქვეს, თუმცა მათი დიდი ნაწილი ინფორმაციის ნაკლებობას აწყდება. ამ დროს მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ადეკვატურად გამოიყენოს ეს პოტენციალი, გაზარდოს პროექტების ცნობადობის დონე, გამართოს სპეციალური ღონისძიებები,

რათა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რა პროექტებში ჩართვა რა შედეგებს მოუტანს მათ საქმიანობას.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ბიზნესმენები სახელმწიფოსთან პირდაპირ დიალოგს ვერ მართავენ, რადგან სახელმწიფო თავისი საქმიანობის პიარით ნაკლებად არის დაკავებული, სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ინფორმაციის გავრცელების დონე და სწორად გაიყვანოს ბიზნესმენები სხვადასხვა სეგმენტებზე, რათა მათ თავიანთი საქმიანობის პოტენციალის ამაღლებაში დაეხმაროს. სახელმწიფოს გააჩნია რეალური რესურსი ამის განსახორციელებლად, მისი პროგრამები საკმაოდ შთამბეჭდავია და ასევე მის ხელთ არსებული ბერკეტები ქართველ მეწარმეებს შესაძლებლობას მისცემს გახდნენ კონკურენტუნარიანიები საერთაშორისო მასშტაბით. თუმცა ამ ყველაფრის ეფექტიანი მართვა მოითხოვს ინსტიტუციურ გაძლიერებას და გამრავალფეროვნებას სახელმწიფოს მხრიდან.

გლობალური საბაზრო სისტემის პირობებში უმნიშვნელოვანესია პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. ხარისხი განსაზღვრავს მეწარმის წარმატებას, რის გამოც მეწარმეებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს მაღალი ხარისხის მქონე საქონლისა და მომსახურების წარმოება. დღეისათვის ქართულ რეალობაში მომხმარებლის ლოიალობის მოსაპოვებლად შიგა თუ გარე ბაზარზე საჭიროა კონკურენტუნარიანი საქონლისა თუ მომსახურების წარმოება. საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ერთ-ერთი პრინციპი სწორედ მოთხოვნის შესაბამისი წარმოებაა, რაც ქართველ მეწარმეებს უბიძგებს კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის პრობლემებისადმი ეფექტიანი გადაჭრის მეთოდების შერჩევისკენ. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი ძლიერ კორელაციაშია საკანონმდებლო ბაზასთან, და მას დიდი როლი აქვს ხარისხის მართვის პროგრამაში. ეს საკითხები თავისთავად მოიცავს მომხმარებლის უფლებათა დაცვას. სწორედ ამ მიზნით იქმნება ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები და მსოფლიო თანხმდება ერთიან სისტემაზე, რათა გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბაზრებზე გასვლისას და საგარეო ვაჭრობის განხორციელებისას ქვეყნები აწესებდნენ თავიანთ ბაზარზე შემოსული საქონლის ხარისხის მონიტორინგს. აქედან გამომდინარე საჭიროა საქართველოში მიღებული რეგულაციები ეთანაწყობოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც


მოუხსნის ადგილობრივ მეწარმეებს საექსპორტო საქონელზე უხარისხობის გამო ბაზარზე ვერშედწევის რისკს.

აუცილებელია სტანდარტიზაციის ახალი სისტემის შექმნა საქართველოში, რომელიც ეკონომიკური რეფორმების კვალდაკვალ დაწერგავს წარმოებაში მაღალ ხარისხს. პროდუქციის ხარისხის მართვის ეფექტურობა დამოკიდებულია გამოკვლევათა შედეგების ავთენტურობაზე. სერტიფიკაცია წარმოადგენს ხარისხის მხრივ პროდუქციისა თუ მომსახურებისადმი წაყენებული მოთხოვნების შესრულებულობის გარანტიას, იგი აუცილებელი ხასიათისაა. სერტიფიკაციის სტატუსი დამოკიდებულია სტანდარტების სტატუსზე. ჩვენს ქვეყანაში არსებობდა ხარისხის შეფასებისა და კონტროლის მეთოდები პროდუქციის სერტიფიკაციამდეც, ოღონდ ეს მეთოდები ატარებდა დირექტიულ ხასიათს.

5.3. ეკონომიკის მიმდინარე მიმართულებები

„ინსტიტუტურ ხაფანგზე“ და მისი დაძლევის გზებზე საუბრისას ძალაუნებურად ბოლოდროინდელ საბანკო-საფინანსო სფეროს რეფორმამდე მივდივართ. როდესაც 2006 წელს საქართველოს მთავრობის ლიბერტარიანული მიდგომები იყო ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი, მიკროსაფინანსო სექტორისთვის შემოიღეს რეგულაცია, რომელსაც უნდა უზრუნველყო მცირე საწარმოებისა და აგრო სფეროსთვის ფინანსების აკუმულირება და მარტივად ხელმისაწვდომობა. ამ დროს ბაზარზე გამოჩნდა ორი ლიდერი მიკროსაფინანსო კომპანია „კრედო“ და „ფინკა“. აღნიშნული ორგანიზაციების პარალელურად ქართულ საფინანსო სექტორში აღმოცენდა უამრავი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლებიც აკრედიტებდნენ ისეთ სუბიექტებს, რომლებსაც ბანკებში სესხის აღება შეუძლებელი ჰქონდათ გარკვეული სახის მიზეზების გამო (ცუდი საკრედიტო ისტორია, უზრუნველყოფისთვის საჭირო გირაოს არქონა, საქმიანობის ტიპი და სხვ.)


დიაგრამა 41. ფინანსური სექტორი: ინფრასტრუქტურა (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) 1999-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, (10.11.2019)

პროცესმა საბოლოოდ „მევახშეობას“ მიანიჭა კანონიერი ჩარჩოები და ჩამოაყალიბა დაკრედიტების საკმაოდ არაჯანსაღი ფორმები. არაჯანსაღი შეგვიძლია ვუწოდოთ გამომდინარე მინიმუმ საპროცენტო განაკვეთიდან, თუმცაღა ამაზე ოპონირებაც შეიძლება, რადგან თავისუფალი ბაზარი სწორედ რომ მრავალფეროვან არჩევანს უნდა აძლევდეს მომხმარებელს და, ამის შესაბამისად, მომხმარებელი თავად უნდა წყვეტდეს, რა პროცენტში და სად აიღოს სესხი. მაგრამ დაბალი სოციალური ფონი ხშირად თავისუფალი ბაზრის პრინციპებთან ვერ ადაპტირდება და სწორედ ამიტომ მოხდა, ის რაც მოხდა. უმეტესი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხები „კრედიტ ინფოს“ ბაზაში არ აღირიცხებოდა, რადგან ბაზაში დარეგისტრირების საფასური მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის საკმაოდ ხარჯიანი გახლდათ, ან სულაც პირიქით, ამ ორგანიზაციების ხიბლი სწორედ ის იყო, რომ მათთან აღებული სესხები არსად იყო ასახული და მომხმარებელს ბანკთანაც არ უფუჭდებოდა ურთიერთობა, რადგან ბანკი მსგავს ორგანიზაციებთან მომხმარებლის კავშირს უარყოფით შეფასებას აძლევს. სწორედ ამიტომ ამ ტიპის ორგანიზაციებში აღებული თანხები ხშირად ბანკების პროცენტების გადასახდელად იყო მიმართული, რამაც საბოლოოდ შექმნა არაჯანსაღი გადახდის მოდელი და ჩამოაყალიბა საკრედიტო დავალიანების გასტუმრების ალტერნატიული მექანიზმები.


დიაგრამა 42. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დავალიანების მოცულობა 2003-2019 წლებში (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

ამის შემდეგი პროცესი სახელმწიფოს მხრიდან იყო საბანკო რეგულაციების გამკაცრება, რამაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზეც იმოქმედა, რადგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის დადგენით ისინი გაკოტრების პირამდე მიიყვანა. მათ ვეღარ შეძლეს თავიანთი პირობების მოდერნიზება ახალ კანონთან შესაბამისობით. ამ დროს კი სექტორის ორი ლიდერი, „კრედო“ და „ფინკა“, გადავიდა საბანკო სექტორში სრულიად გაურკვეველი მიზეზების გამო. ალბათ მათი მხრიდან ეს ნაბიჯი აიხსნება იმით, რომ საბანკო ინსტიტუტები საქართველოში უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე მიკროსაფინანსო და მათი გარდაქმნა გამოიწვია „პრესტიჟის“ ძიებამ. თუმცა რეგულაციებმა ბანკების გამსხვილებაც გამოიწვია და ეს ორი ორგანიზაცია სრულიად არაკონკურენტუნარიან ბანკად გადაიქცა.

დიაგრამა 43. ფინანსური სექტორი: ინფრასტრუქტურა (კომერციული ბანკების რაოდენობა) 1995-2018 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019, (10.11.2019)

ამჟამად საქართველოს საბანკო სისტემა ოლიგოპოლიურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი და რთულია ვისაუბროთ, თუ რამდენად ეფექტიან ეკონომიკას მოგვითქვან ადნიშნული მდგომარეობა. ფაქტი ერთია, სახელმწიფომ „მევახშეობის“ კანონიერ ჩარჩოებში მოქცეული „ინსტიტუციური ხაფანგიდან“ გამოსვლის რეგულაცია დანერგა, თუმცა რა შედეგებს მოიტანს საბოლოოდ და რამდენად დაძლეული იქნება იგი, ამას დრო გვიჩვენებს.

დღევანდელი გარემოს მდგომარეობა, სადაც ჩვენ გვიწევს ცხოვრება, დაბინძურებულია ინდუსტრიული ქარხნებისა თუ სატრანსპორტო საშუალებების მავნე ტოქსიკური გამონაბოლქვით. ტექნიკური ნარჩენებისაგან დაბინძურებული მიწა, წყალი და ჰაერი ჩვენი და ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობისათვის დიდ საფრთხეს ქმნის, ამიტომ დღის წესრიგში დგება ისეთი ბიზნესსაქმიანობისა და ტექნოლოგიების დანერგვა-დაპროექტება, რომლებიც მაქსიმალურად შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას და იმავდროულად შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას მოგვცემს.

პრაქტიკულად ყველა კვლევა აჩვენებს, რომ წარმოებისა და მოხმარების ნიმუშები გრძელვადიან პერსპექტივაში არამდგრადია. იმ შემთხვევაში, თუ პლანეტის მთელი მოსახლეობა მოიხმარს იმავე რესურსს ერთ სულ მოსახლეზე, როგორც დღეს საშუალო მოქალაქე განვითარებულ ქვეყანაში, რესურსებზე საერთო მოთხოვნა 4-ჯერ გადააჭარბებს დედამიწის შესაძლებლობებს. (McDonald, C. 2015)

შესაბამისად ნათელია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში რესურსების მაჩვენებელსა და სტრუქტურაში რადიკალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რასაც მსოფლიოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკა გამოიყენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში - განმეორებითი და უფრო მძიმე კრიზისი საფრთხეს შეუქმნის გლობალური ეკონომიკის მდგრადობას, ერების კეთილდღეობას და გაზრდის რესურსებისათვის ბრძოლის (მათ შორის - შეიარაღებული კონფლიქტის) ალბათობას.

მსოფლიო რესურსების არამდგრადი გამოყენების კიდევ ერთი შედეგია მთელი რიგი ეკოლოგიური რისკების ზრდა, დაწყებული გლობალური რისკებიდან, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ოზონის შრის წარმოქმნა, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და ა.შ

„მწვანე ეკონომიკა“ ეყრდნობა პრინციპს „თანასწორობა“, მათ შორის თაობათაშორის თანასწორობას, რომელიც გულისხმობს, რომ არსებულმა თაობამ არ უნდა უგულებელყოს მომავალი თაობების საჭიროებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პლანეტის რესურსის იმ დონეზე გამოყენება, რომელიც მომავალ თაობას დაუკარგავს შესაძლებლობას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები. ეს მხოლოდ არაეთიკური კი არა, არამედ დამღუპველი იქნება მთელი კაცობრიობისათვის.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიმდინარეობს კვლევები გრძელვადიანი მდგრადი გადაწყვეტილებების მისაღებად, წარმატება მიიღწევა მწვანე ეკონომიკაში - ეს არის გზა, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ მთავარ მიზნად დაისახა და მთავრობებმაც დაუჭირეს მხარი.

თანამედროვე სამყაროს ეკონომიკაში ტერმინ „მდგრად განვითარებას“ საკმაოდ ფართო მნიშვნელობა ენიჭება და იგი არსებითად გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას მომავალი თაობის ინტერესების გათვალისწინებით. (Report of the World Commission on Environment and Development: our common future, 1983) „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფცია საკმაოდ ფართოა. ამასთანავე, შედარებით ახალია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებისათვის. ტერმინის განსაზღვრა და გაგება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვანაირად შეიძლება. მიუხედავად ბევრნაირი განსაზღვრებისა, მწვანე ეკონომიკის ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ ეკონომიკის „გამწვანება“ შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი.


სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა, მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების საშუალებით, უზრუნველყოს ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური გარემო, რათა თავისუფლად განვითარდეს ბიზნესი, რაც თავის მხრივ განაპირობებს, როგორც მთლიანად ბიზნესსივრცის, ისევე „მწვანე ბიზნესისა“ და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას. ეფექტიან ეკონომიკურ ჭრილში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება ძირითადად სამართლებრივი, ეკონომიკური, საბაზრო და საინფორმაციო ინსტიტუტების ჯანსაღ განვითარებას ემყარება. განვიხილოთ ქართულ სინამდვილეში ამ მხრივ განხორციელებული რეფორმები. ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს კონტექსტში თუ მივუდგებით საკითხს, არსებობს კანონები, რომელთაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს: კანონი დაცული

ტერიტორიების შესახებ; კანონი ბუნების შესახებ; კანონი წყლის შესახებ; კანონი ბირთვული და რადიაციული დაცვის შესახებ; ტყის კოდექსი და კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ და სხვ. ზოგიერთი ეს ცვლილება იყო მცდელობა იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად შემცირებულიყო ბარიერები ეკონომიკისა და კერძო სექტორის განვითარებისათვის. გარემოზე ზემოქმედების კონკრეტული საქმიანობის პროცედურების შეფასებასთან არის დაკავშირებული ორი კანონი. „გარემოზე ზემოქმედების შესახებ კანონი“ - მოიცავს საქმიანობებისა და პროექტების ჩამონათვალს, რომლებიც ეკოლოგიური ექსპერტიზის საგანს წარმოადგენს და მოითხოვს გარემოსდაცვით შეფასებას; „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ კანონი“ არეგულირებს ეკოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რაც ეხება იმ საქმიანობებს, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონით არის განსაზღვრული. კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ“ წარმოების სტანდარტების საფუძვლებს ადგენს, ჰარმონიზებულია ევროკავშირის სტანდარტიზაციის პრინციპებთან. საქართველოს სტანდარტების ეროვნულმა სააგენტომ, ეკონომიკის განვითარების სამინისტროს ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის განყოფილებამ გამოაქვეყნა სია, რომელიც მოიცავს ISO და სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებს (GEN), მათი ქვეყანაში დანერგვის მიზნით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოსცა გარემოს ხარისხის სტანდარტები.

ეკონომიკური ინსტრუმენტები ქმნიან ინსტიტუციების ერთობლიობას, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მხრით. მაგალითისთვის ავიღოთ 2017 წლიდან საქართველოს მთავრობის დადგენილება ავტომობილების განბაჟების ტარიფების ცვლილების შესახებ. ამ დადგენილებით მომხმარებლისთვის სტიმული შეიქმნა, რომ გადასულიყვნენ ჰიბრიდულ თუ ელექტრო მანქანებზე, რადგან მათი განბაჟება გაცილებით იაფი ჯდება და, შესაბამისად, მსგავსი ავტომობილების რაოდენობა ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა. თუ 2016 წლის მონაცემებით ჰიბრიდული და ელექტრო მანქანების პროცენტული წილი მთლიან ავტომობილში 5,7% იყო, 2017

წელს ეს რიცხვი 24%-მდე გაიზარდა. (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2019)

დიაგრამა 44. ჰიბრიდული და ელექტრო ავტომობილების რაოდენობა 2017-2019 წლებში



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2019, (10.11.2019)

საბაზრო ინსტრუმენტები ვაჭრობაში ჩართული ობიექტების ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება და ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმ ინსტიტუტების ეფექტიანობაზე ზრუნვა, რომლებიც ეროვნულ პროდუქციას საექსპორტო პოტენციალს აუმაღლებს. ამ კუთხით საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო DCFTA, რისი საშუალებითაც ევროკავშირის ბაზარი საქართველოსთვის გაიხსნა საქართველოსთვის მთავარ სავაჭრო პარტნიორს რუსეთი წარმოადგენდა, თუმცა 2006 წლის რუსული ემბარგოს მაგალითზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ რამდენად წინგადადმული ნაბიჯი იყო ქართული ეკონომიკისთვის ახალ, მაღალი სტანდარტების ბაზარზე გასვლა მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის მოცულობა ამ პერიოდში 51%-ით დაეცა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019)

საინფორმაციო ინსტრუმენტების მხრივ აღსანიშნავია სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი ინსტიტუტის ფორმირების საკითხი, რაც ამ ეტაპზე ქართული რეალობის გამოწვევაა. გარემოსდაცვითი საკითხების კუთხით მომუშავე NGO-ები მუდმივად უნდა აწვდიდნენ საზოგადოებას ინფორმაციას არსებულ საკითხებზე და საზოგადოების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მწვანე ეკონომიკისათვის“.

„მწვანე კომპანია“ არის კომპანია, რომელიც ფოკუსირებულია შეამციროს ენერჯის გამოყენება და ნახშიროჟანგის გამოყოფა, ანუ კომპანია მწვანედ არ ითვლება,

სანამ პროდუქციიდან სრულიად არ გამოიღვევება ტოქსიკური ნივთიერები. დროის ცვლილებასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალური და, ხშირ შემთხვევაში, პრესტიჟის საკითხიც არის ცალკეული ფირმებისა თუ კომპანიებისათვის იყვნენ უფრო „მწვანეები“, საქართველოში ეს ტენდენცია თანდათანობით მკვიდრდება. განსაკუთრებით კი მსხვილი და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობები არიან ამ საქმეში პიონერები და ცდილობენ, გარემოსადმი მეგობრული დამოკიდებულება დანერგონ იმ სფეროში, რომელსაც ოპერირებენ. „მწვანე ბიზნესის“ აქტუალურობაზე ის ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ ბოლო რამდენიმე წელია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ატარებს ყოველწლიურ დაჯილდოებას სხვადასხვა ნომინაციის მიხედვით. ერთ-ერთ ნომინაციაში წლის „მწვანე სერვისი“ გამარჯვებული გახდა „პროკრედიტ ბანკი“. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე განმეხილა აღნიშნული საკრედიტო ორგანიზაციის მწვანე მენეჯმენტის სისტემა. „პროკრედიტ ბანკი“ საკუთარ თავს მიიჩნევს პასუხისმგებლიან საბანკო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციად, რაც გულისხმობს სოციალურ, ეთიკურ და გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობას. ასე, მაგალითად, „პროკრედიტ ბანკი“ არის ერთადერთი ბანკი ქართულ სინამდვილეში, რომელმაც თავის ქვეგანყოფილებებში დანერგა ეკოგანყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, დაწყებული თავისი თანამშრომლებიდან დასრულებული ფართო საზოგადოებით. ბანკის ეკოგანყოფილება ატარებს ტრენინგებს ბანკის მომხმარებლებისათვის, რაც მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ბანკის პოლიტიკა არის მხოლოდ ბიზნეს სექტორის მომსახურება და, შესაბამისად, ისინი ქართველ ბიზნესმენებს უტარებენ სხვადასხვა ტიპის სემინარებს, რათა თავიანთ საქმიანობაში დანერგონ „მწვანე ბიზნესი“. ბანკს დანერგილი აქვს უნიკალური პროდუქტი ეკოკრედიტი. ეს არის ინვესტიცია ბიზნესებისა და ფიზიკური პირებისათვის, რაც მეტ კომფორტს ქმნის, ამცირებს დანახარჯებს და საშუალებას აძლევს იცხოვრონ სუფთა გარემოში. ეკო სესხით ფიზიკური პირების დაკრედიტება თბილისის მასშტაბით 2012 წლის აგვისტოდან დაიწყო. მისი ძირითადი ბაზისი არის ენერჯის მინიმუმ 20%-იანი დანაზოგის მიღწევა. ეკო სესხი ესაა საშუალება, რომლითაც ფინანსდება ენერგოეფექტური ღონისძიებები, განახლებადი ენერგო ტექნოლოგიები და გარემოსადმი მეგობრული

აქტივობები. იგი გაიცემა ნებისმიერ პირზე მიუხედავად ფიზიკური თუ იურიდიული სტატუსისა. ის საშუალებას აძლევს მომხმარებლებს უზრუნველყონ მეტი კომფორტი სახლში, შეამცირონ კომუნალური დანახარჯები და გარემოზე ნეგატიური ზეგავლენა. ბიზნეს კლიენტებს კი მკვეთრად უმცირებს საოპერაციო ხარჯებს. გაცემის მთავარი კრიტერიუმით, ახალი ტექნოლოგია იმ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლებიც ევროპაშია მიღებული როგორც გარემოსადმი ნაკლები ზიანის მიმყენებელი. ეკო სესხი ეს არის ერთგვარი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც „პროკრედიტ ბანკ“ არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაში.

ქართულ რეალობაში, სხვადასხვა სფეროს მიხედვით აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, კომპანიები ძირითადად გამოდიან ენერგოეფექტური პროდუქციის გამყიდველები და არა რეალურად მწვანე მენეჯმენტის მქონე ორგანიზაციები. პროკრედიტის ეკოს მსგავსი პროდუქტი გააჩნია „საქართველოს ბანკსაც“, ენერგოკრედიტი, თუმცა არ არის გაკეთებული აქცენტი ზოგადად მათ საერთო შიგა გარემოსდაცვით სტრატეგიასა ან სისტემაზე. თუმცაღა აღნიშნულ პროდუქტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან მოზიდული იაფი ფულადი სახსრებით ახორციელებს. პრაგმატული აღქმა ასეთი ტიპის სესხებისა სწორედ ეგ არის. გარდა ფინანსური სექტორისა, რამდენიმე ცნობილი ქართული ფირმა ახორციელებს გარემოსდაცვითი მიმართულებით თავის რეალურ საქმიანობას, დეველოპერული კომპანია „M2“, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა. იგი შიგა პროცესების მართვისათვის იყენებს გარემოსდაცვისაკენ მიმართულ გარკვეულ სტანდარტებს. სამშენებლო ტექნიკა, ძირითადად ავტოსატრანსპორტო საშუალებები, უნდა იყოს მინიმუმ Euro 4 სტანდარტისა, რაც მიმართულია იმისაკენ, რომ აღნიშნული სტანდარტის მანქანები ახალი გამოშვებისაა და მცირე გამონაბოლქვის გამოყოფის გამო ნაკლებად აბინძურებს გარემოს, იმავედროულად „M2“-ის ყველა ობიექტი, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო ბინები, შენდება ენერგოეფექტურობის ნორმების დაცვით, ამ პროცესისათვის ინვესტიციების მოსაზიდად იგი აქტიურად თანამშრომლობს IFC-სთან (მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, განვითარებაზე ორიენტირებული, ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც ექსკლუზიურად კერძო სექტორის განვითარებას უწყობს ხელს).

პირველ ყოვლისა, აუცილებელია შევხებით მდგრად განვითარებას და ეკონომიკური სისტემის ამ მიმართულებით განვითარებას, რადგან მდგრადი განვითარება ყველაზე ეფექტურად ახერხებს რესურსების განაწილებას, როგორც საშუალო, ასევე გრძელვადიან პერიოდში. ის ქმნის ერთგვარად ყველაზე ოპტიმალურ კავშირს ეკონომიკას, საზოგადოებასა და გარემოს შორის და მაქსიმალურად ითვალისწინებს თითოეული რგოლის, სეგმენტის ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების კონცეფცია თანაბრად გამოყენებადია, როგორც ქვეყნების ეკონომიკის დონეზე, ასევე ფირმებისათვის. ჩვენ განვიხილეთ მწვანე ეკონომიკა, რომელიც მიმართულია გარემოსდაცვითი და ენერგოეფექტური სისტემის შექმნა-დანერგვისაკენ, სადაც შემცირებული იქნება ჰაერის, მიწისა და წყლის დამაბინძურებელი ფაქტორების ზემოქმედება. მწვანე ეკონომიკა თავის მხრივ ვერ შეიქმნება მწვანე ბიზნესის გარეშე, ყოველმა კომპანიამ უნდა საკუთარ სოციალურ პასუხისმგებლობად განიხილოს გარემოსადმი მათი მავნე ზემოქმედების შემცირება. აღსანიშნავია სახელმწიფოს როლიც, რომელიც ზემოთ ძირითად ნაწილშიც გამოვყავით. ინსტიტუციური რეგულაციების გარეშე ძნელია მიღწეულ იქნას კონკრეტული შედეგი, რადგან მეტი მოგებისკენ სწრაფვა მუდამ აქვს ბიზნესს, რაც გარემოსადმი მეტი ზიანის მიყენებას გულისხმობს, სწორედ ამიტომ საჭიროა გარკვეული კანონების არსებობა ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობათა გარკვეულ საზღვრებში მოსაქცევად. საქართველოს დღევანდელ სიტუაციასაც შევხებით, ფაქტია, „მწვანე ბიზნესის“ ცნება ჩვენი ქვეყნისთვის ჯერ ახალია და ამ მიმართულებით სამუშაო კიდევ ბევრია.

ნაწილობრივი დოლარიზაცია წარმოადგენს სიტუაციას, როცა უცხოური ვალუტა გამოიყენება საშინაო ვალუტასთან ერთად და აქტივების შესაფასებლად. ამასთანავე, მაღალი ნაწილობრივი დოლარიზაცია ზღუდავს მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობას და ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში იწვევს ფინანსურ არასტაბილურობას. საქართველო, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობა, გამოირჩევა დოლარიზაციის მაღალი დონით. ამასთანავე, ლარის კურსის მიმდინარე რყევები უბიძგებს ქვეყანას ეკონომიკის შეუქცევადი დედოლარიზაციისკენ. ამისათვის საქართველოს მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად შეიმუშავა ეგრეთწოდებული „ლარიზაციის გეგმა“.

აღნიშნული “ლარიზაციის გეგმა“ ძირითადად დაფუძნებულია გონიერ გათვლებზე და მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: კაპიტალის ბაზრის განვითარება ლარით გაცემული გრძელვადიანი სესხებით, სავალუტო რისკების ადეკვატური წილის მიღწევა და ფასების ეროვნულ ვალუტაში დაწესება. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრატეგიის მიმართულებების დიდი ნაწილი აშკარად მაღალი დოლარიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად არის მიმართული, მაინც ბადებს კითხვებს დედოლარიზაციის გეგმის ორ ყველაზე განხილვად საკითხზე: უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ნებაყოფლობითი კონვერტირება ეროვნულ ვალუტაში⁸ და მცირე სესხების სავალდებულო გაცემა ლარით.⁹ (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019)

შემდეგი ორი ინიციატივა აუცილებლად გამოიწვევს ბანკების საოპერაციო ბალანსებში საგულისხმო შეუსაბამობას, აქტივების მხარე საბანკო ბალანსებში (კრედიტები) სწრაფად დედოლარიზდება, მაშინ, როცა ვალდებულებების მხარის (დეპოზიტები) დოლარიზაცია რელატიურად კვლავ მაღალი დარჩება. თუმცა, ეროვნულმა ბანკმა უკვე თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა უზრუნველყოს ბანკების ლიკვიდურობა არსებული მექანიზმების გამოყენებით - რეპო ოპერაციები საერთაშორისო რეზერვებიდან და სესხების რეფინანსირება ლარის შესაბამისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. უნდა აღინიშნოს, რომ იძულებითი ადმინისტრაციული მექანიზმებით დედოლარიზაცია ყოველთვის შეიცავს გვერდითი ეფექტების სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე უარყოფითი ზეგავლენის რისკს. მაგალითად, მცირე სესხების აკრძალვამ შესაძლოა გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთის ზრდა ლარით მოცემულ სესხებზე, რაც უფრო დააბრკოლებს მყარ ეკონომიკურ ზრდას (ბანკები შეეცდებიან მოიზიდონ დეპოზიტები ლარზე, რაც სავარაუდოდ გაზრდის საპროცენტო განაკვეთს ლარით მოცემულ დეპოზიტებზე). ამასთანავე, მკაცრი ადმინისტრაციული ზომები ყოველთვის შეიცავს ფინანსური დესინტერმედიაციის¹⁰ და კაპიტალის გადინების რისკს.

⁸ კონვერტაცია ხდება მიმდინარე გაცვლითი კურსით, კურსთაშორისი სხვაობის 20%-ის სუბსიდირება ხდება სახელმწიფოს მიერ

⁹ 100 ათს ლარზე მცირე სესხები 2017 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 200 ათას ლარზე მცირე სესხები 2018 წლის იანვრიდან

¹⁰ სამეწარმეო-გასაღებით ჯაჭვიდან შუამავლების გამორიცხვა, ანუ მყიდველების მიერ პროდუქციის პირდაპირი რეალიზაცია, და არა საბითუმო და საცალო გადამყიდველების გავლით

ლიტერატურის ფართო განხილვა მიდის დასკვნამდე, რომ დოლარიზაცია ხშირად ეკონომიკური აგენტების მხრიდან რაციონალური რეაქციაა პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობაზე. გარდა იმისა, რომ არაოფიციალურ დოლარიზაციას აქვს რამდენიმე პოზიტიური შედეგი ეკონომიკისთვის (როგორცაა საერთაშორისო ბაზარზე მძლავრი ინტეგრაცია), ის ასევე მოიცავს მრავალრიცხოვან ხარჯებს მთავრობისა და მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფართო მასშტაბებს იძენს.

პირველ რიგში, ეკონომიკაში არსებული ფულის საერთო მოცულობაში ეროვნული ვალუტის მცირე წილი ხელს უშლის მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობას; ეს ზღუდავს ეროვნული ბანკის შესაძლებლობას, გააკონტროლოს ფულის მასა და მოახდინოს ეკონომიკის სტიმულირება, როცა საჭიროა. მეორე რიგში, მაღალი დოლარიზაცია იწვევს სენიორაჟის მნიშვნელოვნად შემცირებას. მესამე - დოლარიზაციის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში ეროვნული ბანკი კარგავს შესაძლებლობას იყოს უკანასკნელი მსესხებელი; ამიტომაც, განსაკუთრებულ სიტუაციებში ეროვნული ბანკი შეზღუდულია უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდურობა უცხოურ ვალუტაში, რადგან საერთაშორისო რეზერვები ლიმიტირებულია. მეოთხე - ეკონომიკაში ორი ვალუტის ბრუნვა იწვევს ტრანზაქციების ხარჯების ზრდას და აუარესებს საგადასახადო სისტემის ეფექტურობას. მეხუთე - როცა ეროვნული ვალუტა განიცდის სწრაფ გაუფასურებას, დოლარიზაციის მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს ვალდებულებების შეუსრულებლობის საგულისხმო რისკი. ამ არგუმენტს საფუძვლად უდევს ის, რომ ვალუტის გაუფასურება ქმნის დამატებით პრობლემებს რისკებისგან დაუზღვეველი მსესხებლებისთვის (ისინი, ვისაც სესხი აქვთ უცხოურ ვალუტაში, ხოლო შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში), რათა დაფარონ სესხები, რაც კიდევ უფრო გაზრდის ბანკების ვადაგადაცილებულ სესხებს და ეჭვქვეშ დააყენებს ფინანსური სისტემის სტაბილურობას. საბოლოოდ, დოლარიზაცია წარმოშობს შეუსაბამო საბანკო აქტივებისა და ვალდებულებების რისკს, რაც კომერციული ბანკებისთვის ართულებს ლიკვიდურობის მენეჯმენტს. საერთო ჯამში, დოლარიზაცია ქმნის ბევრ პრობლემას ეროვნული ბანკისთვის - მიაღწიოს მიზნებს და უზრუნველყოს ფინანსური და ფასების სტაბილურობა.

„ლარიზაციის გეგმის“ ავტორებმა გაითვალისწინეს უცხოური გამოცდილება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს უკვე აქვს გამოცდილება ბაზარზე დაფუძნებულ დედოლარიზაციაში. პოსტსაბჭოთა გარდამავალი პერიოდის ადრეული წლები გამოირჩეოდა წარუმატებელი ინსტიტუციონალური და სტრუქტურული რეფორმებით და უცვლელი საბიუჯეტო დეფიციტით, რამაც ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე, ვალუტის გაუფასურებსა და უკიდურესად გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობამდე მიიყვანა. ხალხმა დაიწყო ეროვნული ვალუტის უნდობლობა და შედეგად ფინანსურმა დოლარიზაციამ ისტორიულად მაღალ დონეს მიაღწია. ვარდების რევოლუციის შემდეგ ახლად არჩეულმა მთავრობამ დაიწყო ამბიციური რეფორმების განხორციელება და რეგიონში ხელსაყრელი პირობებით მოახერხა მიეღწია მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის.¹¹ შედეგად, დოლარიზაციის ინდექსები შემცირდა დაახლოებით 20%-ით. ეს პოზიტიური ტენდენცია მუდმივად გრძელდებოდა ომამდე და მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე (2008წ.), რის შემდეგაც საქართველომ კვლავ დაიწყო რედოლარიზაცია დაახლოებით 70%-მდე.

რეცესია ჩაანაცვლა შედარებით სტაბილურმა პერიოდმა და კვლავ დაიწყო დოლარიზაციის შემცირება 60%-მდე, 2014 წლამდე. თუმცა, რეგიონში ახლანდელმა ეკონომიკურმა კრიზისმა კვლავ წამოჭრა რედოლარიზაციის პრობლემა. მიმდინარე ანალიზის მთავარი მესიჯი უკავშირდება საბაზრო ძალებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სწრაფი გრძელვადიანი დედოლარიზაციის მიღწევაში და ისეთ ქვეყნებს, როგორცაა საქართველო, შეუძლიათ მიაღწიონ დოლარიზაციის ბევრად დაბალ დონეს მხოლოდ მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობით ყოველგვარი, კიდევ უფრო შემზღუდველი, რეგულაციის გარეშე.

არსებობს სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შეისწავლის წარმატებული დედოლარიზაციის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს. თუმცა, მათი მთავარი მესიჯი გულისხმობს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ერთად, არის დედოლარიზაციის მთავარი მამოძრავებელი

¹¹ სწრაფი ეკონომიკური ზრდა, საგადასახადო რეფორმის შემდგომ კონსოლიდირებული ბიუჯეტი და ეროვნული ვალუტის გრძელვადიანი გამყარება

ფაქტორი მაშინ, როცა რეგულაციები ძირითადად გამოიყენება, როგორც დამატებითი საშუალება ზრდადი პროგრესის მისაღწევად.

ბევრი ქვეყანა ცდილობს დედოლარიზებას, მხოლოდ რამდენიმემ მიაღწია წარმატებას ამ მხრივ. მაგალითად მაურო მექაგნიმ (Mecagni, M., Corrales, J., Dridi, J., Garcia-Verdu, R., Imam, P., Matz, J., Macario, C., Maino, R., Mu, Y., Moheput, A., Narita, F., Pani, M., Rosales, M., Weber, S., Yehoue, E., 2015) და სხვებმა ემპირიულად გააანალიზეს 42 ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც თავიდან იყვნენ დოლარიზებული და ამათგან მხოლოდ 11-მა შეძლო წარმატებული დედოლარიზება¹² მაშინ, როცა დანარჩენმა 31-მა ქვეყანამ ვერ შეძლო ამ მიზნის მიღწევა. ავტორებმა გამოყვეს საკვანძო ცვლადი, რომელიც განასხვავებს დედოლარიზაციის პროცესში წარმატებულ და წარუმატებელ ქვეყნებს. პირველ რიგში, ამ კუთხით წარმატებულ ქვეყნებში საწყისი დოლარიზაციის დონე იყო 67,4%, მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი წარუმატებელ ქვეყნებში იყო ბევრად დაბალი - 48,4%. ასევე, დედოლარიზაციის პროცესში წარმატებულმა ქვეყნებმა შეძლეს, რომ მიეღწიათ მაღალი ეკონომიკური ზრდისთვის (წარმატებულ ქვეყნებში საშუალოდ 2,8%-ით მაღალი ეკონომიკური ზრდა იყო დედოლარიზაციის პროცესში წარუმატებელ ქვეყნებთან შედარებით), გააუმჯობესეს ასევე მიმდინარე აქტივების ბალანსი(საშუალოდ 5,3%-ით) და შეამცირეს ფისკალური დეფიციტი (საშუალოდ დეფიციტი გადავიდა მცირე პროფიციტში). საბოლოოდ, წარმატებულ ქვეყნებში დაფიქსირდა გაცვლითი კურსის შემცირება (ვალუტის გამყარება) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დედოლარიზაციის პერიოდის დროს. მიუხედავად ამისა, რეგრესიის ანალიზი ცხადყოფს, რომ გაცვლითი კურსის შემცირება (ვალუტის გამყარება) არის შედეგი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მისი გავლენა დოლარიზაციაზე სტატისტიკურად უმნიშვნელოა.

თუ განვიხილავთ წარმატებული დოლარიზაციის ცალკე შემთხვევას, აღმოვაჩენთ, რომ წარმატებული ქვეყნები გამოირჩევა პოლიტიკის ერთი და იმავე მახასიათებლებით - დედოლარიზაციას მიაღწია მაკროეკონომიკური სტაბილურობის მეშვეობით.

¹² 2003-2008 წლებში საქართველოშიც მიმდინარეობდა გარკვეულწილად დედოლარიზაცია

1980-იანი წლების შუა პერიოდში, პერუს მთავრობამ გადაწყვიტა დოლარიზაციასთან ბრძოლა უცხოური ვალუტის დეპოზიტების ადგილობრივ ვალუტაზე კონვერტაციით. თუმცა ამ პოლიტიკამ საპირისპირო შედეგი გამოიღო: ფინანსური დეზინტერმედიაცია და კაპიტალის გადინება. ინფლაციამ მიაღწია ოთხნიშნა მაჩვენებელს 1990-იანებში და პერუს ეროვნულმა ვალუტამ, სოლმა, დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქციები. ამ მტკივნეული გამოცდილების შემდეგ პერუს მთავრობამ ისწავლა საკუთარ შეცდომებზე და რადიკალურად შეცვალეს დედოლარიზაციის სტრატეგია. ახალი გეგმა ორიენტირებული იყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაზე ფისკალური სიჭარბის მიღწევით, ვალის მნიშვნელოვნად შემცირებით და ინფლაციის სტაბილიზაციით, რისთვისაც შემუშავდა ინფლაციის ტარგეტირების რეჟიმი, რასაც მოჰყვა ვალუტის მნიშვნელოვანი გამყარება 2003-2011 წლებში. მაკრო სტაბილიზაციის პოლიტიკა იყო სრულყოფილი რეგულაციებით, რათა უკეთ ყოფილიყო გათვალისწინებული უცხოური ვალუტასთან დაკავშირებული რისკები და განვითარებულიყო დაცული ბაზარი ხანგრძლივი წინსვლით ეროვნულ ვალუტაში.¹³ შედეგად, მოხერხდა დოლარიზაციის შემცირება დაახლოებით 30 პროცენტით.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველა გზა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისკენ მიდის, დედოლარიზაციის წარმატებული შემთხვევების კვლევებთან ერთად მაკროეკონომიკის თეორია უშვებს ვარაუდს, რომ მთავარი წვლილის შემტანი დედოლარიზაციის პროცესში არის სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიღწევა. ნაწილობრივი შეზღუდვები შეიძლება ჩაითვალოს დამატებით ხელსაწყოებად უფრო სწრაფი და ეფექტური დედოლარიზაციის მისაღწევად და უცხურ ვალუტასთან მიმართებით ინფლაციის რისკების შესამცირებლად. მაგრამ, გონივრულ რეგულაციებს ეროვნულ ეკონომიკაზე აქვთ რისკი ფინანსური შუამავლობის მოსპობისა და კაპიტალის გადინების კუთხით. გარდა ამისა, ქართული "ლარიზაციის გეგმა" ძირითადად კონცეტირებულია ბანკების სესხების მხარის დედოლარიზაციაზე. უფრო დაბალანსებული სტრატეგია უნდა ქმნიდეს მოტივატორებს ხელმისაწვდომი ბანკების ანგარიშების დედოლარიზაციისთვის. სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით

¹³ მსგავსი რამ განხორციელდა ისრაელში, პოლონეთსა და ბოლივიაში

დედოლარიზაციის გზა მიგვაღწევინებს: მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და დაბალ და სტაბილურ ინფლაციას, გაცვლითი კურსის მორგებადობას, მიმდინარე ანგარიშების განმტკიცებას, ფისკალური დეფიციტის შემობრუნებას (მთავრობასთან დამატებითი დაახლოების მეთოდების შექმნა რაც აღრმავებს კაპიტალის ბაზარს); სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების გატარებას, რაც დაეხმარება მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას და ვალუტის დეფიციტს შემობრუნებს. ამიტომ, მთავრობის წარმოდგენილი მკაცრი და გონივრულ რეფორმები მიღწევადაა და მხოლოდ მაშინ აქვთ მუდმივი დედოლარიზაციის შანსი, თუ მას დაემატება მაკროეკონომიკური ფაქტორების განმტკიცება.

5.4. ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტები და სტრატეგია

საქართველოს ბოლო სახელისუფლო ძალის მიერ განხორციელებული მმართველობის პროცესში ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნებულია 3 მთავარ პრინციპზე. პირველი მათგანი არის წარმოების სექტორის ზრდა-განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდა, ეს კი თავისთავად მოიაზრებს უმუშევრობის დონის შემცირებას, კეთილდღეობის ამაღლებასა და არსებული ეკონომიკური პრობლემების დაძლევას. მეორე პრინციპის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, რაც ნიშნავს ეკონომიკურ პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებას და მოსახლეობის ფენებში სოციალური თანასწორობის მიღწევას. მესამე და ასევე მნიშვნელოვანი პრინციპი კი არის ეკოლოგიური მდგრადობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, 2014)

საქართველოში გააზრებული და დანერგილია ისეთი საყოველთაო პრინციპები როგორცაა: ადამიანების უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა, დემოკრატიული განვითარება და კანონის უზენაესობა. სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობს გაატაროს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკა.

ამ ეტაპზე საქართველოს მთავარი პრიორიტეტი არის ევროკავშირი და მასში ინტეგრაცია. ამის მისაღწევად მთავრობა იცავს დემოკრატიულ კურსს და მხარს უჭერს

ევროპულ ფასეულობებს, რაც აუცილებლად გამოიწვევს ქვეყნისა და ევროკავშირის დაახლოებას. ამიტომაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასოცირების შესახებ დადებულ შეთანხმებასა და მის წარმატებით განხორციელებას. ეკონომიკური პროცესების განმავლობაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკუთრების უფლების დაცვა და ასევე ჩამოაყალიბოს თავისუფალი ეკონომიკური გარემო. სწორედ სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ მოგვევლინოს სამართლიანობის გარანტად. (კენჭოშვილი, მ., მექვაბიშვილი, ე. 2019, 81-92)

სახელმწიფოს სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლება და, შესაბამისად, მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა. ეს ნიშნავს რომ კერძო სექტორის წარმომადგენლები გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა იყვნენ შეზღუდულები და საკუთრების უფლება უნდა იყოს დაცული. ეს ნიშნავს რომ სახელმწიფო რეგულაციები გაერთიანებული იქნება თავისუფალ საბაზრო გარემოსთან და შედეგად მივიღებთ მოქალაქეების კეთილდღეობას. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ჩარევის დონე იქნება მინიმალური და ის კერძო სექტორს აღარ გაუწევს კონკურენციას. მხოლოდ იმ სფეროების საქმიანობაში ჩაერევა, რომელშიც მეტად სუსტია კერძო სექტორი და დამოუკიდებლად ფუნქციონირება უჭირს.

უმაღლესი ორგანოების წევრებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური განვითარების მთავარი ხელშემწყობი არის კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი. კონკურენცია უნდა არსებობდეს ორივე - თვით ქვეყნის და საერთაშორისო ბაზარზე. მეტიც, კონკურენცია განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის საზღვრების გაფართოება და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა.

თუ ქვეყანაში ჩამოყალიბდება სტაბილური ეკონომიკური პოლიტიკა, ეს საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. (ერქომაიშვილი, გ. 2017, 175-179)

სოციალური სამართლიანობა და უსაფრთხოება - ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საბაზისო პრინციპია, რომელზე დაყრდნობითაც მოქმედებს ხელისუფლება. განათლების ხარისხის ამაღლება და მისი ხელმისაწვდომობის არეალის გაზრდა,

დასაქმების ხელშეწყობა, ჯანდაცვის სფეროს განვითარება და სოციალური პოლიტიკის გატარება აღნიშნული პრინციპის მთავარი ინსტრუმენტებია.

დასაქმების დონის ზრდა გამოიწვევს ქვეყანაში კეთილდღეობის ამაღლებას. ქვეყნის ხელისუფლების თქმით, ისინი მოსახლეობის ღარიბ ფენებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას შესთავაზებენ და ყველა იქნება უზრუნველყოფილი საბაზისო სოციალური გარანტიით. აქედან გამომდინარე, საქართველოს უმაღლესი ორგანოებისთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის კეთილდღეობა.

ჩატარდა გამოკვლევები და ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ კერძო სექტორი არის არაკონკურენტუნარიანი და ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. ასევე შემაფერხებელ ფაქტორებს განეკუთვნება: ფინანსების შეზღუდული რაოდენობა და ადამიანური კაპიტალის განვითარების დაბალი დონე.

ამ ვითარებაში სახელმწიფომ ინვესტიციების მოზიდვას უნდა შეუწყოს ხელი და ქვეყანაში გამჭვირვალე და ჯანსაღი ბიზნესგარემო ჩამოაყალიბოს. იმისათვის რომ ბიზნესგარემო განვითარდეს და გაფართოვდეს, საჭიროა ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა და დაფინანსება, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. (ბარბაქაძე, ხ. 2016, 18-21)

საქართველო 2020 - ეს არის ქვეყნის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მასში გადმოცემულია არსებული პრობლემები და ის პრიორიტეტები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად. ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონული განვითარება. ამ ფაქტს მოწმობს ბევრი ქვეყნის გამოცდილება და საერთაშორისო ინსტიტუტები. საერთო ეროვნული წარმატება მიიღწევა რეგიონული განვითარების საფუძველზე, ამიტომ ეს ფაქტორი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

რეგიონული პოლიტიკის წარმატებით დანერგვა და გატარება ქვეყანას საშუალებას მისცემს გამოავლინოს რეგიონების შედარებითი უპირატესობა. რეგიონთა პოტენციალი და სპეციფიკა ცნობილი გახდება და ხელისუფლება შეძლებს გამოიყენოს თითოეული რეგიონის სტრატეგიული უპირატესობა ქვეყნის სასარგებლოდ. როგორც ვიცით, რეგიონებს შორის არის დიდი უთანაბრობა, ამის გამოსწორება კი შესაძლებელი იქნება ინფრასტრუქტურის განვითარებისა და

გაუმჯობესების საფუძველზე. მოწესრიგებული რეგიონები გარანტიანა იმისა, რომ საქართველოთი მეტი უცხოელი ინვესტორი დაინტერესდება, ეს კი თავისთავად გულისხმობს ევროკავშირთან დაახლოებას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება სუბნაციონალური ერთეულებისთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება და დეცენტრალიზებული მართვა. აუცილებელია, რომ სტრატეგია ითვალისწინებდეს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მაქსიმალურ ჩართულობასა და მათ საჭიროებებს. (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, 2014)

საქართველოს მთავრობამ აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში მიზნად დაისახა მიაღწიოს შემდეგ საპროგნოზო მაჩვენებლებს:

ცხრილი 8. საქართველო 2020 სტრატეგიის ფარგლებში მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები

მაჩვენებელი	საპროგნოზო
მსპ მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი, ნომინალური)	13000
მსპ მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი, მუდმივ ფასებში)	9200
ჯინის კოეფიციენტი	0.35
ინფლაცია (%)	3.0
უმუშევრობა (%)	<12
გადასახადები (წილი მსპ-ში, %)	25
ექსპორტი (საქონელი და მომსახურება, წილი მსპ-ში, %)	65
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (წილი მსპ-ში, %)	6
სახელმწიფო ვალის მიმართება მსპ-სთან (%)	<40

წყარო: საქართველოს მთავრობა, 2014, (10.11.2019)

აღნიშნული სტრატეგიის მთავარი დანიშნულებაა გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას. ფაქტორების იდენტიფიკაციის შემდეგ კი აუცილებელია განისაზღვროს ის ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითად გადაიჭრება ეს პრობლემები.

საქართველო 2020 მოიცავს ე. წ. ჰორიზონტალურ ღონისძიებებს. აქედან გამომდინარე, მისი მიზანი არ არის ეკონომიკის ცალკეული სექტორის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა ან ამ სექტორთა ანალიზი. სტრატეგია ადგენს სამოქმედო გეგმას და მსგავს დოკუმენტებს, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ხარჯები, პასუხისმგებელი პირები და კონტროლის მეთოდები. ეს გეგმა ორიენტირებული იქნება შესაბამისი სამინისტროების მუშაობაზე.

როცა დაიწყო სტრატეგიის შემუშავება, მნიშვნელოვანი იყო ზუსტად განესაზღვრათ პრიორიტეტები. ამისთვის გამოიყენეს ზრდის დიაგნოსტიკა - მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მთავარი პრობლემების იდენტიფიკაციას. ამ მეთოდის მეშვეობით გამოვლინდა სტრატეგიის სამი მთავარი პრიორიტეტი: ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და განვითარებული ადამიანური კაპიტალის ფორმირება.

არსებობს წინაპირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია, რომ სტრატეგია წარმატებულად დაინერგოს. ერთ-ერთი წინაპირობა არის ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის ჩამოყალიბება. ეს თავისთავად მოიაზრებს დასაქმების დონის ზრდას, სახელმწიფოს მონეტარული პოლიტიკის ავტონომიურობას, ფისკალური პოლიტიკის დისციპლინას და სტაბილურ ფასებს. ეს ყოველივე აუცილებელია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანაში მოხდეს ეკონომიკური ზრდა. (გველესიანი, რ. 2017, 134-139)

ასევე აუცილებელი წინაპირობაა საჯარო მმართველობის ეფექტიანობა. ამისთვის კი აუცილებელია სახელმწიფო უმაღლესი მართვის ორგანოების უფლება-მოვალეობების გაფართოება და ამით სასურველი შედეგების მიღება.

როგორც აღვნიშნეთ, მაკროეკონომიკური სტაბილურობა ეკონომიკის განვითარების საწინდარია. ამის მისაღწევად საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო-კონცეფცია, რომელიც ორიენტირებულია გაატაროს რეფორმები ამ მიმართულებით.

ფისკალური კონსოლიდაცია არის ერთ-ერთი პრიორიტეტი. პოლიტიკის ფარგლებში მთავრობამ მიზნად დაისახა დეფიციტი 2020 წლისთვის 1.5%-ზე დაბლა ჩამოყვანოს. თუ სახელმწიფო შეზღუდვას მიმდინარე ხარჯებს, შედეგად ფისკალური დეფიციტიც აღმოიფხვრება.

დეფიციტის წინასწარ გამოთვლილი მაჩვენებლების საფუძველზე მოხდება საპროგნოზო სიდიდეების განსაზღვრა. ეს უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის სტაბილურ დონეს, რაც გარანტიაა იმისა, რომ ფისკალური სტაბილიზატორები მომავალში რაიმე სახის შოკის არსებობისას თავად, ავტომატურად ირეაგირებენ.

სტრატეგიის განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორია სტაბილური ფასების არსებობა. ამ საკითხზე ეროვნული ბანკი განუწყვეტლივ მუშაობს. ის მონეტარულ პოლიტიკას იმგვარად ატარებს, რომ ინფლაციის დონე მიზნობრივი იყოს და არ გადაიხაროს მკვეთრად. სასურველი დონე ამ ეტაპზე დადგენილია როგორც 3 %.

სახელმწიფო ვალის საკითხი ასევე მეტად საყურადღებოა საქართველოს ხელისუფლებისთვის. ვალის რაოდენობა არის დიდი, პოლიტიკის მიზანი კი მისი სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ვალის უმეტესი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში მოცემული. ეს არ არის კარგი, ამიტომაც მთავრობის წევრები ცდილობენ ეროვნული ვალუტით გამოსახული ვალის წილი გაზარდონ. თუ ეს პრობლემა მოგვარდება, რეფინანსირების რისკები და გაცვლითი კურსის პრობლემებიც მოგვარდება. (თოქმაზიშვილი, მ. 2017, 218-224)

მთავრობის კიდევ ერთი მიზანია სანდო საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც ეკონომიკური რყევების რიცხვს მნიშვნელოვნად შეამცირებს. მცირე საგადასახადო განაკვეთები - ეს პრაქტიკა მომავალშიც შენარჩუნდება, რადგან მისი წყალობით საქართველოს ექნება ბიზნესის წარმოების მხრივ მიმზიდველი სტატუსი.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოში ახალი გადასახადის დაწესება ან არსებული განაკვეთების გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის საშუალებითაა შესაძლებელი.

საქართველოსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და მისი მაღალი დონე. ამ დეფიციტის გამო უცხოური ვალდებულებები მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 100%-ს უდრის. საქართველოს მთავრობის მიზანია დეფიციტის ოდენობა 0-მდე დაიყვანოს. ამისთვის ქვეყანა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მოიზიდავს და საგარეო პოზიციებს ამ მეთოდით განამტკიცებს.

პოლიტიკის მიზნებს შორის ასევე არის რეალური გაცვლით სავალუტო კურსის გამყარება, ისეთი ტემპით, რომელიც ნაკლები იქნება მწარმოებლობის ზრდის

ტემპზე. ამჟამად საქართველოში არის მცურავი სავალუტო კურსი, რომელიც ხასიათდება ავტომატური სტაბილურობით. ასეთი გაცვლითი კურსი უზრუნველყოფს გარე შოკის შედეგების მინიმუმამდე დაყვანას.

ასევე მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს ინსტიტუციური საკითხების გამართულობა. აქ უნდა გამოვეყნოთ ეროვნული ბანკის ავტონომიურობა, რომელიც პასუხისმგებელია მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაზე. ეროვნული ბანკის ავტონომია უზრუნველყოფილია ქვეყნის ორგანული კანონით, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება არ ერევა ეროვნული ბანკის საქმიანობაში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტი იყოს ყოვლისმომცველი. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო უკეთ შეძლებს პოლიტიკის დანახარჯების კონტროლს და სამართლიანად გადაანაწილებს ფინანსურ რესურსებს მიზნებზე. ბიუჯეტში ასახული უნდა იყოს მთავრობის ყველა ხარჯი და შემოსავალი. ყოვლისმომცველი ბიუჯეტი იმის გარანტიაა, რომ სახელმწიფო გაზრდის დანახარჯების ეფექტიანობას და ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემაც აღმოიფხვრება. (გრძელიძე, მ. 2017, 152-157)

იმისათვის, რომ პოლიტიკით განსაზღვრულ მიზნებს რეალობაში მივაღწიოთ, საჭიროა ფისკალური რისკების მონიტორინგი და მართვა. ამიტომ აუცილებელია, რომ მთავრობამ შეიმუშაოს რისკების მართვის მექანიზმი, რომლის დახმარებითაც ის უზრუნველყოფს არსებული რისკების იდენტიფიკაციას და მათი ნეგატიური შედეგების შემსუბუქებასა და მინიმუმამდე დაყვანას.

ხელისუფლების პრიორიტეტია ასევე კერძო და საჯარო სექტორების დაახლოება და მათი პარტნიორობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მიღწევა გაზრდის ჰიდროენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის დარგში ინვესტიციების მოზიდვას.

ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა ვერ იქნება რეალიზებული საერთაშორისო დონორების დახმარებისა და მათთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბების გარეშე. ამ მხრივ უნდა აღვნიშნოთ საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან. საქართველოს ხელისუფლება აპირებს განამტკიცოს მათთან კავშირი და მოითხოვოს ახალი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან კონსულტაციებსა და დახმარებებს.

სტრატეგიული ხედვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მთავრობის რეპუტაციის ამაღლება და მისი იმიჯის განმტკიცება, როგორც პასუხისმგებლობის მქონე, სანდო ორგანოსი. ხელისუფლებას ბიუჯეტის აგრეგატების რიცხოვრივ ოდენობაზე აქვს თავად დაწესებული გარკვეული ლიმიტები. იმისათვის, რომ მეტი გამჭვირვალობა ყოფილიყო და უფრო სანდო სტატუსი მოეპოვებინა, მთავრობამ გადაწყვიტა, ზოგიერთი ფისკალური პრინციპი კანონში აესახა.

სტრატეგია რომ წარმატებულად დაინერგოს, საჭიროა სახელმწიფო ორგანოებმა იმუშაონ კოორდინირებულად და მონაწილე მხარეებს შორის იყოს მჭიდრო უკუკავშირი. სახელმწიფოს მიზნებში ასევე მოიაზრება ადამიანური რესურსების კოორდინაცია და სისტემის განვითარება, რათა საჯარო სამსახურებში დასაქმდეს მაღალკვალიფიციური კადრები შესაბამისი მატერიალური მოტივაციის მისაღებად. საჯარო მმართველობა მაშინაა ეფექტური, თუ ის აუმჯობესებს ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო გარემო-პირობებს.

ზემოთ მოცემული მიზნების რეალიზაციისთვის საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საჯარო პოლიტიკის მმართველობის მეთოდოლოგიის დახვეწასა და მათ თანხვედრას სახელმწიფო ბიუჯეტთან. ხელისუფლების წევრები კაპიტალური პროექტების ანალიზისას იყენებენ ხარჯებისა და სარგებლიანობის შედარების მეთოდს, რაც ზრდის ფინანსების წარმართვის ეფექტიანობას. ასევე მიზნის მისაღწევი გზა არის პოლიტიკის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა ინფორმაციის საჯაროობითა და დაინტერესებული მხარეების უშუალო მონაწილეობით მნიშვნელოვან პროცესებში.

სტრატეგიის მიზნებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის განვითარება და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამის მისაღწევად კი აუცილებელია მთავრობამ გაითვალისწინოს ყველა ის უპირატესობა, რაც ქვეყანას გააჩნია და მაქსიმალურად გამოიყენოს ის. ასევე აუცილებელია ეკონომიკური ზრდის შემაკავებელი ფაქტორების გამოვლენა და მათი მინიმიზაცია. კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი იმის გარანტიაა, რომ ეკონომიკის ზრდის სიკეთეები მოსახლეობის ფართო მასებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. (ყორდანაშვილი, ლ. 2017, 525-529)

ქვეყანაში ისევ დაბალია მრეწველობის დონე და არც მისი განვითარების პერსპექტივა ჩანს. ასევე ექსპორტის ვითარებაც არასახარბიელოა. იმდენად

არადივერსიფიცირებულია ექსპორტის მაჩვენებლები, რომ ახალი ბაზარი თითქმის აუთვისებელი რჩება. უცხოურ ბაზრებზე დამკვიდრება მეტად უჭირს ქართულ პროდუქციას, რაც განაპირობებს დაბალ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მთავარ მიზანს წარმოადგენს მწარმოებლურობის შემაფერხებელი ბარიერების იდენტიფიკაცია და მათი მინიმუმამდე დაყვანა. შედეგად კი გაიზრდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და ბიზნესის დაწყების გამარტივება არის ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, როცა საქმე ბიზნესს ეხება. ამისათვის კი აუცილებელი პირობაა კანონმდებლობისა და საქმიანობის გამჭვირვალობა. საკუთრების უფლება თუ არ იქნება დაცული, ეს სფერო ვერასოდეს განვითარდება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სანდო და მოსახერხებელი საგადასახადო გარემოსა და კანონმდებლობის ფორმირებას, რაც უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და კერძო სექტორის დასაწინაურებლად აუცილებელი პირობაა. ხელისუფლება ორიენტირებულია ევროკავშირზე და ამიტომაც ჩვენი საბაჟო კანონმდებლობა მაქსიმალურად შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსში მინიმალური რაოდენობის ცვლილებები განხორციელდება.

საკუთრების უფლების დაცვის დონის ასამაღლებლად, აუცილებელია, ქვეყანაში სასამართლო იყოს დამოუკიდებელი და ასევე მოსამართლეები, ამ სფეროში მოღვაწე პირები უნდა იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე. არა მხოლოდ საკუთრების უფლებაა დასაცავი, არამედ აუცილებელია, ინტელექტუალური საკუთრებაც დაცული იყოს და არსებობდეს მექანიზმი, რომელიც კონტროლს გაუწევს ადამიანთა უფლებებს ამ განხრით.

როგორც ვიცით, ბიზნესი ისეთი სფეროა, სადაც ხშირია დავები და კონფლიქტები. ამიტომ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მათი მოგვარების აუცილებლობასაც. ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საჭიროა კომერციული დავების გადასაწყვეტი მექანიზმის შექმნა, ამისთვის კი პირველ რიგში სასამართლოს კომპეტენტურობა უნდა იქნეს ამაღლებული. საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაენერგა საერთაშორისო ბაზარზე ცნობილი და

წარმატებული მეთოდი-დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი, რომელიც აამაღლებს არბიტრთა კვალიფიკაციას.

მიზნებს შორის ასევე უნდა გამოვყოთ ბიზნესის ლიკვიდაციის გამარტივება. იმისათვის, რომ ბაზარმა ეფექტიანად იფუნქციოს, მხოლოდ ბიზნესის დაწყების მარტივი პირობები არაა საკმარისი, საჭიროა ასევე მარტივი იყოს მისი შეწყვეტა. დახურვის პროცედურის გამარტივება საშუალებას მისცემს გადახდისუუნარო კომპანიებს, გადავიდნენ მათთვის უფრო ხელსაყრელ სფეროში, ეს კი გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას.

ბიზნესის ლიკვიდაციის გასამარტივებლად ხელისუფლება უზრუნველყოფს კანონმდებლობისა და პროცედურების შემსუბუქებას, რაც ნიშნავს, რომ გამარტივდება ადმინისტრაციული პროცესებიც. (ბოლქვაძე, ბ. 2017, 103-107)

სახელმწიფო მომსახურების დახვეწა პირდაპირ გავლენას მოახდენს ბიზნესგარემოზე. ბიზნესმენებს უნდა ჰქონდეთ შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროდუქტებსა და მომსახურებაზე. ამიტომ მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ეს საკითხია. სახელმწიფო ინსტიტუტების მოწოდებული მომსახურების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეამცირებს დროით რესურსებს. ამიტომ აუცილებელია დაიხვეწოს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირება და გამარტივდეს საჭირო ინფორმაციის ელექტრონულად მიღებისა და კომუნიკაციის საშუალებები.

თუ სახელმწიფო შეძლებს ზემოთქმული მიზნების რეალიზაციას, საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად გაფართოვდება, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის წამოწყებებს, უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და ქვეყნის მწარმოებლურობის ამაღლებას. ასეთ შემთხვევაში კი ქვეყანა დაწინაურდება საერთაშორისო რეიტინგებსა და გამოცემებში, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქვეყნის იმიჯს.

ცხრილი 9. საქართველო 2020-ის მიხედვით მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები ინვესტიციებისათვის

მთლიანი ინვესტიციები (წილი მსპ-ში, %)	35
გლობალურიკონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) (საქართველოს პოზიცია)	40
რეგულირების ხარისხი (WGI) (ქულა)	0.78

წყარო: საქართველოს მთავრობა, 2014, (10.11.2019)

სახელმწიფოს მიზნებს შორის ასევე დიდი ადგილი უკავია ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობას. ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკა ორიენტირებულია ინოვაციური საქმიანობის განვითარებასა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდაზე. ქვეყნის პოლიტიკა საბაზისო პრინციპად იღებს ეკოლოგიის დაცვას და ორიენტირებულია გარემოს დაცვაზე. ამიტომ ე.წ. „მწვანე ეკონომიკა“ არის სახელმწიფოს მიზანი.

ინოვაციას არ ექნება მომავალი, თუ ქვეყანაში არ იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ამიტომ ინფრასტრუქტურის მოწყობაც სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტთა შორისაა. აქ მოიაზრება ინკუბატორების დანერგვა, ტექნოპარკების გაშენება, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გადამზადება, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების გამართვა და საგანმანათლებლო სფეროში ინოვაციების როლის ზრდა.

ინოვაციების სფეროში გატარებული რეფორმების მთავარ შედეგად მთავრობა მიიჩნევს შემდეგს: ბიზნესისა და სამეცნიერო სფეროს დაახლოება, ინოვაციების სტაბილური და დამაკმაყოფილებელი დონის უზრუნველყოფა, ტექნოლოგიური მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა, ქართული ექსპორტის ორიენტაცია უფრო კონკურენტულ პროდუქტებზე და ადგილობრივი წარმოების გაფართოება.

ცხრილი 10. საქართველო 2020-ის მიხედვით მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი (KEI) (საქართველოს პოზიცია)	45
გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII) (საქართველოს პოზიცია)	60
ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა (TFP) (ყოველწლიური, %)	3,20
ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი (ICI)	36
გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი (GIIt)	50

წყარო: საქართველოს მთავრობა, 2014, (10.11.2019)

ექსპორტის ზრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის სასურველ მიზნად მოიაზრება. საქართველოს მთავრობას უნდა რომ პარტნიორობა გაუწიოს კომპანიებს საექსპორტო ბაზრების შესწავლის და ათვისების პროცესში.

ხელისუფლების პრეროგატივაა ქართველი მწარმოებლების ინტერესების დაცვა საერთაშორისო ბაზრებზე და პროცესების ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის დახვეწა და განვითარება.

ექსპორტის მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აგრარული პროდუქცია. ამ პროდუქციის ხელშესაწყობად საჭიროა განვითარდეს სურსათის უვნებლობა და ქართული პროდუქტი ევროპულს გაუტოლდეს სტანდარტებისა და ნორმების დაცვის მხრივ.

ცხრილი 11. საქართველო 2020-ის მიხედვით მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისთვის

ექსპორტი (საქონელი და მომსახურება) მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებით (%)	65
საქონლის ექსპორტის წილი მსკ-სთან მიმართებით (%)	30
ვაჭრობის შესაძლებლობის ინდექსი (Enabling Trade Index 2012)	25

წყარო: საქართველოს მთავრობა, 2014, (10.11.2019)

ტრანსპორტისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანია. იმისათვის, რომ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული, საჭიროა პოლიტიკის მიმართულებებში ეს საკითხიც შევიდეს. აღნიშნული მოიაზრებს სატრანსპორტო ლოჯისტიკური ცენტრების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის სექტორების უზრუნველყოფას ინვესტიციებით და საერთაშორისო სატრანსპორტო სივრცეში ინტეგრაციას.

ტრანსპორტის დარგის გარდა უნდა დაიხვეწოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის ინფრასტრუქტურა. ყურადსაღებია ასევე წყალმომარაგების სისტემის მართვა და ნარჩენების მონიტორინგი. ასევე ისეთი საკითხები, როგორცაა: ენერგოდამოუკიდებლობა, რეგიონების გაზით უზრუნველყოფა და ამ პროექტთა ზემოქმედება გარემოზე.

ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოში უმუშევრობის დონე. ამიტომაც სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება და ამ სფეროს განვითარება. ეკონომიკური ზრდა თავისთავად ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

პოლიტიკა მიზნად ისახავს ადამიანური რესურსების უნარების ამაღლებას, განსაკუთრებით კი ახალი თაობისა და შედარებით დაბალკვალიფიციური კადრების. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია ისეთი პირების განვითარება, რომლებიც რაიმე ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ქვეყანაში ამაღლდეს განათლების დონე და ხარისხი.


ცხრილი 12. საქართველო 2020-ის მიხედვით მთავრობის მიერ გაცხადებული საპროგნოზო მაჩვენებლები ინფრასტრუქტურის განვითარების და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისთვის

ელექტროენერჯის მთლიანი წლიური წარმოება (ტერავატ*საათი)	14,0
ელექტროენერჯიაზე წვდომა (ბიზნესის წარმოების ანგარიშის მიხედვით)	35
ლოგისტიკის ინდექსი (ქულა)	3,3
გზების დაფარვის მაჩვენებელი (%)	45

წყარო: საქართველოს მთავრობა, 2014, (10.11.2019)

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიზნების რეალიზაციისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ყოველწლიური ზრდის ტემპი 7 პროცენტი იყოს. ამისათვის კი ინვესტიციების მოცულობა წელიწადში 10 პროცენტით უნდა იზრდებოდეს. აქედან გამომდინარე პოლიტიკის მიზნებში მკაფიოდ არის გამოყოფილი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და გამარტივება. ამ მხრივ საქართველოში ორი შემაფერხებელი ფაქტორია: შიგა დანაზოგების სიმცირე და არაეფექტიანი შუამავლობა ფინანსების სფეროში.

დიაგრამა 45. კაპიტალის მთლიანი ფორმირება და დანაზოგები საქართველოში 1997-2019 წლებში (მსპ-ის %)



წყარო: World bank, 2019, (10.11.2019)

ამ პრობლემების გადასაჭრელად ხელისუფლება უზრუნველყოფს კლებად დეფიციტს, რაც შედეგად გაზრდის დანაზოგების მოცულობას. მთავრობა გაატარებს დანაზოგებზე ორიენტირებულ ფულად-ფისკალურ პოლიტიკას, რომლის რესურსების უმეტესობაც მოხმარდება კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორულ ურთიერთობებს.

დანაზოგების სტიმულირების მიზნით ასევე დაინერგება დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომელიც იქნება გამჭვირვალე და სანდო მექანიზმი. აღნიშნული რეფორმა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბანკებში ფულის განთავსების რისკებს.

დანაზოგების მოცულობის გასაზრდელად გატარდება ასევე საპენსიო რეფორმაც, რომელიც ინვესტიციებისთვის დამატების წყაროს შემქნის. ამავე მიზნით საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების გამოშვებას, რაც განავითარებს კაპიტალის ბაზარს.

ამ ღონისძიებების წარმატებით დაწერვის შემთხვევაში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზრდება საკრედიტო რესურსების რაოდენობა, რაც გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს კი აუცილებლად გააიაფებს ინვესტიციებისთვის საჭირო რესურსების მოძიებას, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის დასაქმების დონეზე, კეთილდღეობის მაჩვენებლებსა და მთლიანი სამამულო პროდუქტის მდგომარეობაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოსთვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა რთული პროცესი იყო, განსაკუთრებით კი საწყის ეტაპზე. აღნიშნული განაპირობა ისეთმა მოვლენებმა როგორცაა: სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე დამაბულობა, სამოქალაქო დაპირისპირებები, კრიმინოლოგიური გარემო, სატრანსპორტო და ენერგო ბლოკადა და სამუშაო ძალის ინტენსიური მიგრაცია და სხვ. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მიზეზებისა, რომლებმაც გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის საწყის წლებში კუპონზე ჰიპერინფლაცია, ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების დაცემა და ქვეყანაში უმუშევრობის მასიური ზრდა.

აუცილებელი გახდა რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარება. საქართველოს მთავრობა ასეც მოიქცა, თუმცა ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, განსაკუთრებით სიღარიბისა და უმუშევრობის შემცირების კუთხით, ისევე ბევრი პრობლემა გადაიჭრა მაგრამ ბევრია ისევე გადასაჭრელი. აღსანიშნავია, რომ წინა რამდენიმე წლის მონაცემებით ეკონომიკური ზრდის ტემპი საგრძნობლად გაუმჯობესებულია, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი მოსახლეობის უმეტესობა დღესაც სიღარიბეში ცხოვრობს და მათი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ამიტომაც საქართველოს მთავრობამ დაისახა ახალი მიზანი - ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება და ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი ზრდისთვის ბაზის შექმნა.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას თან მოჰყვა ეკონომიკური რეფორმების ორი მძლავრი ტალღა. 90-იან წლებში, პირველ ნახევარში, ქვეყანაში იყო ძალიან რთული კრიზისი, რამაც გამოიწვია რეფორმების გატარების აუცილებლობა. ამ რეფორმებმა კი საფუძველი ჩაუყარა ეკ. სისტემის აღმავლობას. აღნიშნულმა პოლიტიკამ გაამართლა და საქართველოში დაიწყო ეკონომიკური ზრდა, თუმცა ეს მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ამ პერიოდში ისევე შეინიშნებოდა კრიზისის ნიშნები.

რეფორმების მეორე ტალღა მოგვიანებით, 2004 წელს დაიწყო. ამ რეფორმების მთავარი დანიშნულება იყო საბაზრო სისტემის ლიბერალიზაცია. მათ შედეგად შემცირდა ნებართვები, ლიცენზიები და გადასახადები. ქვეყანა დაადგა ლიბერალიზმის გზას.

ბალცეროვიჩის გეგმა საქართველოს ეკონომიკისთვის მძიმე გადასატანი აღმოჩნდა, რადგან არ მოერგო ჩვენი ქვეყნის არსებულ რეალობას. ამან საზოგადოება ჩააგდო მძიმე სოციალურ კრიზისში, რაც დღემდე ვერ დავძლიეთ საბოლოოდ. ის, რომ თავად რეფორმების ავტორი იყო მის განმახორციელებლებთან დიალოგისთვის ვიზიტით, სულად არ გახლდათ რეალური შედეგების მომტანი. იმ პერიოდში ხელისუფლებამ პრიორიტეტი არა რეალურ ქმედებებზე, არამედ საიმიჯო პიარის კამპანიაზე აიღო, რამაც საბოლოოდ ეფექტიანი განვითარების კურსი ქვეყანას ვერ ააღებინა. მხოლოდ ის გარემოება, რომ ექსპერტი პირადად იყო ჩართული რეფორმების გატარების პროცესში, ვერ მოიტანდა შედეგებს. აქ საჭირო იყო პოლიტიკური ნება. საბოლოოდ ბალცეროვიჩის ათ პუნქტანი გეგმა განახორციელა ქვეყანამ, თუმცა არა იმ სქემითა და ტემპით, როგორც პოლონეთის წარმატებულ მაგალითში იყო მოცემული.

ინსტიტუციები საზოგადოების განვითარების უპირველეს საფუძველს წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ საზოგადოებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს ეფექტიანი ინსტიტუციური გარემოს შექმნა. დიდ სირთულეს წარმოადგენს იმის განსაზღვრა თუ რომელი ქმედებები იწვევენ „ინსტიტუციური ხაფანგის“ შექმნას, ამგვარად რეფორმების გატარებისას არ არსებობს არანაირი გარანტიები, რომ თუნდაც სხვათა გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება მათი თავიდან არიდება. „ინსტიტუციურ ხაფანგებს“ ახასიათებთ პროპორციული დამოკიდებულება ტრანზაქციული და ტრანსფორმაციული დანახარჯების მიმართ, სწორედ ეს განსაზღვრავს იმას თუ რამდენად „უღირს“ საზოგადოებას ეფექტიან ინსტიტუციაზე გადასვლა.

➤ მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რეფორმების აუცილებლობა გამოიწვია არა იმ ფაქტმა, რომ ქვეყანას არ გააჩნდა განვითარების ეფექტიანი ტრაექტორია, არამედ იმან, რომ არ არსებობდა საბაზრო ეკონომიკისთვის საჭირო არანაირი ინსტიტუციური გარემო თუ საკანონმდებლო ბაზა. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ არ არსებობდა რაიმე „მზა რეცეპტი“, რომლის დახმარებითაც ქვეყანა დაიწყებდა ეკონომიკური რეფორმების გატარებას და არც იმის გარანტია არსებობდა, რომ კონკრეტული რეფორმა იქნებოდა წარმატებული. საბჭოური ეკონომიკის ნაშთების ეფექტიანი გამოყენება და საბაზრო ეკონომიკაზე უმტკივნეულოდ გადასვლა მარტივი არ აღმოჩნდა საქართველოსთვის. ამას

ადასტურებს 90-იან წლებში შექმნილი მძიმე სოციალური პირობები, ქვეყნის სტატისტიკური მაჩვენებლები და სხვ.

➤ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს ინსტიტუციური გარემოს სიჯანსაღის საკითხი ანუ ე.წ. „ინსტიტუციური ხაფანგის“ ფენომენი. არაეფექტიანი ინსტიტუტების ერთობლიობა ეკონომიკას „ხაფანგში“ აქცევს, რომლის გარღვევა მეტად რთული პროცესია. ამ ფენომენის ფონზე შევისწავლეთ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები და საქართველოსთან გავავლეთ პარალელები, რაც საჭიროა იმისთვის, რომ დავინახოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეფექტიანი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება და რა შედეგებამდე მიჰყავს განვითარების არაეფექტიან ტრაექტორიას ქვეყნის ეკონომიკა.

➤ რეფორმების განხორციელებისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული რადიკალური გადაწყვეტილებები (მაგ. ლიბერალიზმი თუ გეგმიური ეკონომიკა), რადგან ისტორიული გამოცდილება მდიდარია ფაქტებით, რომ სწორედ მსგავს ქმედებებს შეჰყავთ საზოგადოება „ინსტიტუციურ ხაფანგში“.

➤ რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება რომ არაა მარტივი პროცესი, ამას არაერთი ქვეყნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ არაფერი ვთქვათ საკუთარ მაგალითზე. თუმცა ფაქტია, რომ მიდგომები უნდა იყოს ინდივიდუალური ქვეყნის არსებული სიტუაციიდან და სოციალურ-კულტურული გარემოდან გამომდინარე. ამის დასტურად მოყვანილი გვაქვს ბალცეროვიჩის ვიზიტის შეფასება საქართველოში ეკონომისტების მიერ და გამყარებულია მოსაზრება, რომ სხვათა გამოცდილების გაზიარება ყოველთვის ვერ იქნება გარანტი, რომ რეფორმა წარმატებული გამოდგება კონკრეტული ინდივიდის შემთხვევაში.

➤ სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებისას აუცილებელია რეფორმის გამტარებელმა ხელისუფალმა იცოდეს, რომ ერთ საზოგადოებაში ეფექტიანად მოქმედი ინსტიტუცია ვერ იქნება იმის გარანტია, რომ იგი არ იქცევა „ხაფანგად“ კონკრეტული ქვეყნისათვის.

➤ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათი მხარდაჭერითაც სარგებლობს რიგ შემთხვევებში. ამ ორგანიზაციების ეგიდით საქართველოში განხორციელდა მრავალი პროექტი და მათი თანხობრივი მაჩვენებლები საკმაოდ კოლოსალურია. 1992 წლიდან მოყოლებული,

ტრანსფორმაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა სწორედ ამ ტიპის დახმარებებით.

➤ ბოლო ათწლეულში, საქართველომ მსოფლიო ბანკის „Doing Business“ ანგარიშის მიხედვით, ბიზნეს-გარემოს რადიკალური რეფორმები განახორციელა. ამ რეფორმების წარმატების შედეგი იყო რომ ქვეყანამ ბიზნესის კეთების შესახებ 2006 წლის მოხსენებით 112-ე ადგილიდან 2014 წელს მერვე ადგილზე გადაინაცვლა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2005-2012 წლების პერიოდში, ქვეყანას მოწინავე რეფორმატორის სტატუსი მიენიჭა. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო პირდაპირ უცხოურ ინვესტირებას და ეკონომიკურ ზრდას.

➤ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში გატარებულ რეფორმებს და გვევლინება სტაბილურ პარტნიორად, რომელსაც სურს საქართველო დააყენოს ეკონომიკური აღმავლობის გზაზე და ცხოვრების დონე, წარმოების სტანდარტები, კადრების კვალიფიციურობა და სხვა მრავალი ფაქტორი გააუმჯობესოს და აამაღლოს.

➤ DCFTA-ს საშუალებით ქართველ მეწარმეებს საშუალება მიეცათ გასულიყვენ 500 მილიონიან ბაზარზე და შედეგები სულ მალე დადგება, ეს მცირე პერიოდი არაა საკმარისი იმისათვის, რომ ჯეროვნად შევაფასოთ შედეგები და ასეთ მოკლე პერიოდში რაიმე სერიოზულ ნაბიჯებს ველოდოთ, თუმცა ყოველივე ის, რასაც ქართული კომპანიები ახორციელებენ ცნობადობის ზრდის კუთხით, მართლაც შთამბეჭდავია. სწორედ ამ მოვლენებმა ღვინის ეროვნული სააგენტო ჩამოაყალიბა ინსტიტუციად, რომელიც ეხმარება ღვინის კომპანიებს ახალი ბაზრების ათვისებაში.

➤ ბიზნესურთიერთობების გამარტივებამ, რაც ვიზალიბერალიზაციის მთავარი სიკეთეა მეწარმეთათვის, უკვე დადო თავისი პოზიტიური შედეგები, რაც ბიზნესმენებს საშუალებას აძლევს ბიუროკრატიული ნორმებისგან გათავისუფლების პირობებში მოახდინონ თავისუფლად გადაადგილდნენ და ბიზნეს კონტაქტები გაამყარონ ევროკავშირის ქვეყნებში.

➤ ნებისმიერი რეფორმა საბოლოოდ უნდა ემსახურებოდეს იდეას, რომ მოჰყვეს სოციალური კეთილდღეობა. თანამედროვე ეკონომიკებში სოციალური კეთილდღეობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ინსტიტუტად გვესახება მცირემეწარმეობის განვითარება. ეს არის წარმოების ის სფერო, რომელსაც ქვეყნის მსკ-ში დიდი პროცენტული ადგილი უჭირავს. სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობა

ცდილობდა ხელი შეეწყოს მეწარმეობის განვითარებისთვის და ამ მიზნით ახორციელებდა სხვადასხვა ტიპის რეფორმებს. თუმცა ჩვენ შევეცადეთ თავად მეწარმეების შესწავლის საფუძველზე დაგვედო ვალიდური დასკვნები, თუ რა პრობლემებს აწყდებიან რეალურად მეწარმე სუბიექტები და როგორია მათი განვითარების პერსპექტივები.

➤ თანამედროვე მსოფლიო ცდილობს შექმნას ახალი ეკონომიკის ის მიმართულებები, რომლებიც იქნება მომავალი თაობების კეთილდღეობაზე ფიქრით მოტივირებული და დედამიწის შეზღუდული რესურსების გამოყენებას შეძლებენ მაქსიმალურად ეფექტიანად. ამის საშუალებას იძლევა არაერთი ინოვაციური ტექნოლოგია და ის მიღწევები, რაც მოიტანა გლობალიზაციამ. „მწვანე ეკონომიკა“, არის თანამედროვე მსოფლიოს ახალი გამოწვევა და მიიჩნევა, რომ ეკონომიკის მდგრადი განვითარება სწორედ მასთან უნდა გავაიგივოთ. ამ კუთხით საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა და გამოჩნდნენ მეწარმე სუბიექტები, რომლებიც ცდილობენ ამ მიმართულებით განავითარონ თავიანთი საქმიანობა.

➤ თუ გვსურს, რომ პრივატიზაცია წარმატებით წარმიმართოს, საჭიროა ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, როგორც კანონმდებლობაში, ისე პოლიტიკაში. საჭიროა ვიცოდეთ ის, თუ რამდენად შეუძლია სახელმწიფოს შემუშავებული პოლიტიკის რეალურ ცხოვრებაში დანერგვა და რამდენად სტაბილურია ქვეყანაში ხელისუფლება.

➤ ეკონომიკური რეფორმები პოლიტიკურ ნებას გულისხმობს პირველ რიგში და სწორედ ამიტომ ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს საქართველოს სახელისუფლო ძალების ხედვები ქვეყნის მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით. ეს ხედვები მათ მიერ განხორციელებულ რეფორმებში ნათლადაა ასახული.

➤ სახელმწიფომ ინვესტიციების მოზიდვას უნდა შეუწყოს ხელი და ქვეყანაში გამჭვირვალე და ჯანსაღი ბიზნესგარემო ჩამოაყალიბოს. იმისათვის რომ ბიზნესგარემო განვითარდეს და გაფართოვდეს, საჭიროა ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა და დაფინანსება, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

➤ საბანკო პროდუქტები საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზეა დანერგილი და ბანკები, ეს ის სფეროა, რომელიც მუდმივად იყენებს ინოვაციურ

ტექნოლოგიებს. საბანკო პროდუქტების სტატისტიკური ანალიზის შედეგად დავინახეთ, რომ ქართული ბანკები გვთავაზობენ მაღალი დონის საბანკო პროდუქტებს, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების შეუცვლელ ნაწილებად იქცნენ. ეს ყველაფერი კი იმის შედეგია, რომ ისინი მუდმივად ცდილობენ დანერგონ ინოვაციები და ზრუნავენ განვითარებაზე.

არსებული რეალობიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ „ინსტიტუციური ხაფანგების“ თავიდან არიდებით ან მისგან თავის დაღწევით დაინტერესებულმა რეფორმის განმახორციელებლებმა, ინოვატორებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

უნდა შეიქმნას მრავალფეროვანი ინსტიტუციური გარემო, ინსტიტუტების ნგრევის მექანიზმების ჩათვლით, რათა ჩამოყალიბდეს ინსტიტუციური წონასწორობა და „ხაფანგების“ თვითნგრევის შესაძლებლობები. სწორედ ეს უზრუნველყოფს ეფექტიანი ინსტიტუციების განვითარების მაღალ ალბათობას.

ნებისმიერი ქმედება უნდა დაიგეგმოს გრძელვადიან პერსპექტივაში და მისგან მისაღები სარგებელი და შედეგები გრძელვადიან მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, რადგან სწორედ ამ დროს ხდება განვითარების პერსპექტივების ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ „ინსტიტუციური ხაფანგების“ შექმნის და გადალახვის საკითხები.

მსოფლიოს ქვეყნებსა და, მათ შორის საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების კომპარატივისტული ანალიზით უნდა გამოვლინდეს, თუ როგორი რეფორმები სჭირდება ქვეყანას და როგორ მოვარგოთ სხვათა გამოცდილება ჩვენს ქვეყანაში არსებულ რეალობას. სწორედ ასე უნდა გადავიდეს ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზე, რომელიც მას გლობალიზაციის პირობებში გახდის კონკურენტუნარიანს საერთაშორისო ბაზრებზე ინოვაციების და ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ.

აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მონიჭებული ფულადი სახსრების მიზნობრიობა სწორად განისაზღვროს, რათა ყველა ის სიკეთე, რაც მათ პროექტებს ახლავს მაქსიმალურად ეფექტიანი გამოდგეს. ამისათვის საჭიროა სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ერთობლივი თანამშრომლობა და ქვეყნის განვითარების პროგრამაში მკაფიო ხაზგასმითი ჩანაწერები გრანტების მიზნობრიობის შესახებ.

მხოლოდ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება შეძლებს ჯანსაღი ინსტიტუციური გარემოს ფორმირებას. საჭიროა საზოგადოების ჩართულობის მაღალი დონე რეფორმების გატარებისა თუ სხვა ქვეყნისთვის, თუ საზოგადოებისთვის, საჭირო საკითხების გადაწყვეტისას.

საქართველოს ეკონომიკის სუსტ მხარედ შეგვიძლია განვიხილოთ მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ეკონომიკის ქმედითი მამოძრავებელი ბიძგის ვერმიცემა, ახალი სამუშაო ადგილების გენერირების დაბალი დონე და მსკ-ში მათ მიერ შექმნილი მომსახურებისა და პროდუქტის მცირე წილი. საქართველოს ეკონომიკა ძირითადად მსხვილ საწარმოებზე დგას, რომელთაც სუსტი კორელაციური კავშირი აქვთ მცირე და საშუალო საწარმოებთან.

მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლამ, ანალიზმა და ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი დასკვნების და რეკომენდაციების გაკეთების საშუალება მოგვცა:

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ აღნიშნული სექტორის ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები, მათ გამლიერება სჭირდება.

ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების ხელშეწყობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კომპანიების კონკურენტუნარიანობისა. კომპანიების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება არის დაბალი, რისი ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ტექნოლოგიების განვითარების არასაკმარისი დონე და ინოვაციების ნაკლებობაა. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ინოვაციების დანერგვას და კვლევებისა და განვითარების წახალისებას მცირე და საშუალო საწარმოებში, აუცილებელია გაიზარდოს ცნობადობა ინოვაციური მეწარმეობის მნიშვნელობაზე.

მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნა მცირეა საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან დაკავშირებით, როგორც პროდუქტსა და მომსახურებაზე მოთხოვნის, ასევე მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ექსპორტის პოტენციალის განვითარებაზე. მათ წინაშეა არსებული პრობლემების გადაჭრა და ამ მიმართულებით მსოფლიოში არსებული

წარმატებული გამოცდილების გამოყენება ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ნებისმიერი რეფორმა, განმავითარებელი პროგრამა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი თუ სხვ., ხორციელდება მოსახლეობისათვის ცხოვრების დონის ასამაღლებლად და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სწორედ ამიტომ სამოქალაქო საზოგადოება ჩართული უნდა იყოს ამ პროცესებში და მათი სურვილები მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული მმართველი ძალების მიერ.

ექსპორტის წახალისების კუთხით ქართველმა ბიზნესმენებმა ბრენდინგის მთელი რიგი ღონისძიებები გაატარონ და ასევე ჩადონ ინვესტიციები ნიშურ პროდუქციაში, რომლებიც, მათი გათვლებით, მოიპოვებენ ევროპულ ბაზარზე ლოიალობას მყიდველის მხრიდან. განავითარონ ახალი პროდუქცია ან ძველის თანამედროვე სტანდარტებით მოდერნიზება, მაგალითისთვის გამოდგება ქვეყრის ღვინო.

მთავრობამ სწორად უნდა გამოიყენოს ვიზალიბერალიზაცია ბიუროკრატიული ნორმების შესუსტების მხრივ, რაც მოიტანა ვიზალიბერალიზაციამ და ღრმა, ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ. თავისუფლების მაღალი დონე მიმზიდველია ინვესტორებისათვის, რომელთაც სწორად უნდა შესთავაზონ არსებული სიტუაციის მომგებიანობა და დააგენერირონ უცხოური ინვესტიციები.

წარმოებაში ხარისხის მართვის პროცესს კიდევ უფრო მაღალ დონეზე უნდა აყვანა, საჭიროა მაღალტექნოლოგიური წარმოება და მაღალი ხარისხის პროდუქტის შექმნა, რომელიც თავის თავს წარმოაჩენს ღირსეულად და იქნება მაღალი კონკურენტული უნარების მქონე. აგრეთვე საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და აქცენტის აღება პროფესიონალებით დაკომპლექტებული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე, რ. 2010. ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი N 8. თბილისი: სიახლე.
2. აბესაძე, რ. 2014. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
3. ანანიაშვილი, ი. 2008. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი: სიახლე,
4. ანანიაშვილი, ი. 2010. საქართველოს ეკონომიკის პოტენციური მშპ-ისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N5. გვ. 45-75.
5. ასათიანი, რ. 2012. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი: სიახლე.
6. ასათიანი, რ. 2014. საით მიდის საქართველო ? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი: სიახლე.
7. ასლამაზიშვილი, ნ. 2003. საგარეო ვაჭრობა. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
8. ბაბუნაშვილი, თ. 1998. პრივატიზაციის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საკითხები. თბილისი.
9. ბაბუნაშვილი, თ. 1998. საწარმოთა განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზაცია და მათი განვითარების პერსპექტივები. თბილისი.
10. ბაბუხაძია, ა. 2008. შეცდომა თუ დანაშაული?! ნაწილი III. თბილისი: ინოვაცია.
11. ბალარჯიშვილი, ი. 2005. ინსტიტუციური ეკონომიკა და განუსაზღვრელობის შემცირების ეფექტები. თბილისი.
12. ბალარჯიშვილი, ი. 2010. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა: თეორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე პრობლემები. თბილისი.
13. ბალარჯიშვილი, ი. 2012. „QWERTY- ეკონომიკა : ნირვანა თუ რეალობა?“. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N6. თბილისი. გვ. 91-100.
14. ბალარჯიშვილი, ი. 2017. ახალი პოლიტიკური ეკონომია: ლექციების კურსი, თბილისი.

15. ბალცეროვიჩი, ლ. (თარგმ. ა. გრიშკაშვილის მიერ). 2002. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში (პოლონეთის ეკონომიკა). თბილისი.
16. ბალცეროვიჩი, ლ. (თარგმ. ა. გრიშკაშვილის მიერ). 2004. თავისუფლება და განვითარება: თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია. თბილისი.
17. ბალცეროვიჩი, ლ. (თარგმ. ა. გრიშკაშვილის მიერ). 2005. თავისუფლება და განვითარება: სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბილისი.
18. ბარბაქაძე, ხ. 2008. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში. თბილისი.
19. ბარბაქაძე, ხ. 2016. როგორ მონაწილეობს უცხოელი ინვესტორი კომპანიის შექმნასა და საქმიანობაში. ბიზნესი და კანონმდებლობა N 4. გვ. 18-21.
20. ბასარია, რ., მესხია, ი. 1995. გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები. თბილისი.
21. ბასილია, თ., ბაქრაძე, პ., ბეგიაშვილი, გ. 1998. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. რეფორმის პირველი შედეგები. თბილისი: ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრი.
22. ბასილია, თ., სილაგაძე, ა., ჩიკვაძე, თ. 2001. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
23. ბახტაძე, ლ. 2006. გარდამავალი ხანის ეკონომიკა: სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის. თბილისი.
24. ბახტაძე, ლ., კაკულია, რ. 2009. გარდამავალი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები. თბილისი.
25. ბახტაძე, ლ. 2013. საფინანსო სისტემის ფორმირებისა და განვითარების პრობლემები ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში. JOURNAL "ECONOMIC PROFILE" KUTAISI UNIVERSITY № 12.
26. ბერიშვილი, ხ. 2017. ბიზნესის ეთიკის განვითარების ზოგიერთი საკითხი. რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი N2, ტ X. თბილისი თსუ გამომცემლობის სტამბა. გვ. 133-141.

27. ბერიშვილი, ხ. 2017. გენდერული დისბალანსისა და ფენიმიზმის როლი გლობალურ ბიზნესში. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თბილისი თსუ გამომცემლობა. გვ. 90-95.
28. ბერიშვილი, ხ. 2018. საერთაშორისო ბიზნესის მართვა. თბილისი: უნივერსალი.
29. ბერულავა, რ. 1997. ინგლისურ-ქართული უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი. თბილისი: იბერთედ-პრესი.
30. ბოლქვაძე, ბ. 2017. საინვესტიციო და საპრივატიზაციო პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხისათვის. თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თბილისი. გვ. 103-107.
31. გაბრიჭიძე, ა. 2005. „საქართველოს საბანკო სისტემის რეფორმის საკითხები“. თსუ სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკა“. გვ. 65-72.
32. გაბრიჭიძე, ა. 2009. საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფის გზები. თბილისი
33. გამსახურდია, გ. 1995. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი: მერიდიანი.
34. გამსახურდია, გ. 1997. ფინანსების როლილ საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბილისი: მერიდიანი.
35. გველესიანი, რ. 2008. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი: ინტერესთა ერთიანობა და კონფლიქტები, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N3. თბილისი.
36. გველესიანი, რ. 2010. კონკურენციის პოლიტიკის ამოცანები და პრობლემები. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ # 3. თბილისი.
37. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი. 2008. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი I. თბილისი.
38. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი. 2009. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი II. თბილისი.
39. გველესიანი, რ. 2017. ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევების ეფექტიანი რეალიზაციის პირობები. თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თბილისი. გვ. 134-139.

40. გვიჩია, მ., კაკაშვილი, ნ. 2005. გარდამავალი პერიოდის სავალუტო პოლიტიკის პრობლემური საკითხები. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები, ტომი 8. თბილისი.

41. გრძელიძე, მ. 2017. შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის საერთაშორისო გამოცდილება, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი. თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თბილისი. გვ. 152-157.

42. გრიშკაშვილი, ა., წიკლაური, ნ. 1996. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი.

43. გრიშკაშვილი, ა., იაკობიძე, დ. 1998. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი.

44. გრიშკაშვილი, ა., ვეშაპიძე შ. 2003. გზა ევროკავშირისკენ: კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი დახასიათება. თბილისი.

45. გრიშკაშვილი, ა. 2005. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია. თბილისი.

46. დათაშვილი, ვ. 2005. ტექნოკრატია თანამედროვე ეკონომიკის საფუძვლები. თბილისი

